ყველაფერი სპორტზე

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 161 (12 537) 11 ივლისი პარასკევი 2008 წელი ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპიადის დაწყებამდე დარჩა 28 დღე



BUNDES LIGA

ბუნდესლიგამ 83 მილიონი მოისროლა

გერმანული ტრანსფერები »»» 9

ბეკენბაუერი კლინსმანისგან სიურპრიზს ელის

ბაიერნი »»» 8

# ფინკე თბილისშია

## Sprechen Sie Deutsch?



ერთი დღით ჩამოსულ კანდიდატს საქართველოს ნაკრებზე ბევრი კითხვა ექნება

## კიდევ ერთი გერმანელი მწვრთნელი დაჩრდილული გუნდისთვის



# მაკამ ჩახმახს სიცილიაში გამოჰკრა



პირველად WTA-ს მეოთხედფინალში »»» 12

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ვიტ ჯორჯიამ ყირიმი გამარჯვებით დაასრულა

უკრაინულ შეკრებაზე მიღწეული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, "ვიტ ჯორჯია" უეფას თასზე ღირსეულად უნდა გამოვიდეს. ვეტერინარები დღეს თბილისში ბრუნდებიან, გუშინ კი ყირიმში ბოლო ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს და ქვედალიგელი "კრიმტეპლიცა" 4:0 გაანადგურეს.

ანგარიშიდანაც ნათლად ჩანს, რომ მატჩი ქართველთა დამაჯერებელი უპირატესობით წარიმართა. **ნესტორ მუმლაძის** გუნდმა თამაშის ბედი პირველივე ტაიმში გადაწყვიტა. "ვიტ ჯორჯიამ" მატჩი ორი განსხვავებული შემადგენლობით ჩაატარა.

პირველი ტაიმი: ლურბელეიშვილი – ხურცილავა, ყველაშვილი, კასრაძე, კაიშაური – მაისაშვილი, ჯანელიძე, ლანიაშვილი, კვალინიძე – ბერიაშვილი (25. ლუქაშვილი), როსტიაშვილი.

მეორე ტაიმი: ბედიაშვილი – ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე – რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე – ლიპარტია, ვ. კვარაცხელია.

გოლები: 1:0 როსტიაშვილი (6), 2:0 ბერიაშვილი (21), 3:0 ლუქაშვილი (33. პენ.), 4:0 მელქაძე (58).

**ლევან ჯანეზაშვილი**

# 16 წლის ქართველი სპარტაკმა აიყვანა



მოსკოვის "სპარტაკის" ძირითად გუნდში დიდი ხნის შესვენების შემდეგ ქართველი ფეხბურთელი გამოჩნდა.

გუნდის ოფიციალური ვებგვერდის ინფორმაციით, "სპარტაკის" განაცხადში 16 წლის **ირაკლი ჭეჟია** შეიყვანეს.

დაგვეთანხმებით, ასეთი სოლიდური კლუბის ძირითადში 16 წლის ბიჭის გამოჩენა მოვლენაა და რადგან ქართული გვარისაა, მისით დავინტერესდით.

ჭეჟია საკმაოდ ტანმაღალი ცენტრალური მცველია (186 სმ). ის "სპარტაკის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. მასზე სხვა ინფორმაცია არ გვქონდა.

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელმა გელა შეყილაძემ კი საინტერესო ამბავი გვიამბო.

*"ირაკლი ჭეჟიას ვიცნობ, ის თბილისში შარშან რუსეთის 17-წლამდელთა ნაკრებს ჩამოჰყვა. დავინტერესდი მისი წარმომავლობით და აფხაზეთიდან ლტოლვილი აღმოჩნდა, რომელიც ომის შემდეგ მოსკოვში ცხოვრობს. მან 5 და 7 ნოემბერს საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ ითამაშა და ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. რუსეთის მოქალაქე კი არის, თუმც ვცადე დალაპარაკება, საქართველოს ნაკრებში ნამდვილად არ გვაწყენდა მისი დამატება, მაგრამ გარკვევით მითხრა, რომ საქართველოს ნაკრებში თამაში არ სურდა"*, - გვითხრა შეყილაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ტატანაშვილი ძირითადშია



ჩეხეთის პირველობა 2 აგვისტოს იწყება, ამ სეზონში ჩეხურ ლიგაში ორი ქართველი ლეგიონერი ითამაშებს: **გიორგი განუგრავა** „მლადა ბოლესლავში", ხოლო **დიმიტრი ტატანაშვილი** პლზენის „ვიქტორიაში". „ვიქტორიამ" 9 ივლისს ორი გუნდით ითამაშა "მოსტთან". სათადარიგოებმა 2:1 მოიგეს, ხოლო ძირითადი გუნდი მეტოქეს დაუზავდა. დიმიტრიმ ძირითად გუნდში ითამაშა, მეორე ტაიმში, რომელიც გუნდმა 1:2 წააგო.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მაინც დააქლეს



რუსულმა მედიამ „პეტროვსკის" სტადიონზე ნალჩიკის მიერ „ზენიტის" ძლევა (4:3) დიდ სენსაციად მონათლა. შეგახსენებთ, რომ ამ სენსაციის ერთ-ერთი გმირი ქართველი ლეგიონერი **ალექსანდრე ამისულაშვილი** იყო, რომელმაც 69-ე წუთზე თავურით გადამწყვეტი, მეოთხე გოლი გაიტანა. თუმცა რუსული პფლ-ის საიტმა ჩვენებურს არცთუ კარგი შეფასება, 5,5 დაუწერა. ამის მიზეზი, ალბათ, საკუთარ კარში გატანილი გოლი და რამდენიმე შეცდომაა დაცვაში. იქვე, ბევრმა რუსულმა წყარომ აღნიშნა ამისულაშვილის აქტიურობა, რომელიც ყველგან ასწრებდა, როგორც დაცვაში, ისე - შეტევაში.

# ჰერბერტ ცანკერის ცეკვა მგლებთან

## კიდევ ერთი გერმანელი მწვრთნელი ზუგდიდში?



ცანკერს ტოპმიოლერი არა, მაგრამ სხვა გერმანელი მწვრთნელი შეიძლება ზუგდიდში ჩამოჰყვეს

**გახსოვთ 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი თავკაცი ჰერბერტ ცანკერი? დიახ, ის უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზუგდიდშია და იქაური "ბაიას" თავკაცის ამპლუაში სასელექციო სამუშაოს წარმართავს. ცანკერი პირველი ლიგის "ბაიას" "სტაჟიანი კონტინგენტის" გარდა ახლებსაც ავარჯიშებს და მათგან საუკეთესოებს არჩევს. სხვათა შორის, "ცანკერი მგლებთანაც ცეკვავს" - ზუგდიდის "მგლების" ძირითადი შემადგენლობის უკვე ყოფილი სამი ფეხბურთელი, "ბაიას" წევრია. "მგლების" კიდევ რამდენიმე მოთამაშე "ბაიაშია" ტესტირებაზე და ამ დღეებში შესაძლოა მათი საკითხიც დადებითად გადაწყდეს.**

**ერთი სიტყვით, ცანკერი დიდ გარჯაშია. ცანკერს ზუგდიდში დავუკავშირდით და საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ.**

- თავის დროზე 17-წლამდელთა ნაკრებში მუშაობისას ქართული ფეხბურთი და საქართველო იმდენად შემიყვარდა, რომ თქვენი ქართული ენაც კი შევისწავლე. ბუნებრივია, როცა "ბაიას" პრეზიდენტი დამიკავშირდა და საქართველოში მუშაობა შემომთავაზა, თქვენი ქვეყნისა და ქართული ფეხბურთის სიყვარულმაც დიდი როლი ითამაშა ჩემს საბოლოო გადაწყვეტილებაში.

**- ადრე თბილისში ცხოვრობდით და უმთავრესად დედაქალაქში საქმიანობდით. ახლა კი რეგიონში მოგიწევთ ცხოვრება.**

- გელა შეყილაძესთან, ლევან ხომერიკთან და საერთოდ ჩემს იმდროინდელ სამწვრთნელო შტაბთან ერთად მთელი საქართველო შემოვიარე, ზუგდიდშიც არაერთხელ ვიყავი. ასე რომ, რეგიონი და აქაური ცხოვრება ჩემთვის მიუჩვეველი არ ყოფილა. აქ ჩინებული ვითარება დამხვდა. კარგი ბაზა, მოედნები, გარემო, კეთილი და თბილი ხალხი...

**- ზუგდიდი ახლოსაა აფხაზეთთან. ამ ბოლო ხანს, იქ ვითარება დაიძაბა...**

- ცხოვრება ომია. აქ ხალხი ცხოვრობს, მუშაობს და მეც ჩემს საქმეს ვუძღვები. მე და ჩემი შტაბი ქართულ ფეხბურთს ვემსახურებით, ე. ი. საქართველოს.

**- კონტრაქტი უკვე გაგიფორმებიათ...**

- დიახ, სამწლიან ხელშეკრულებას მოვაწერე ხელი და საქმესაც შევუდექი. "ბაიას" თავკაცი ვარ და მთავარის გარდა, ყველა ასაკობრივ გუნდში მევალება საქმის გაძღოლა. ადგილობრივი მწვრთნელებიც მეხმარებიან.

**- საინტერესოა, თუ საიდან დაიწყეთ ეს ახალი საქმე?**

- უმთავრესად ვითარებას გავეცანი, მინდოდა ნათელი სურათი შემექმნა არსებულ ვითარებაზე. მართალი გითხრათ, კმაყოფილი ვარ. იმიტომ არ ვამბობ, რომ უკვე ჩემი კლუბის პრეზიდენტია, მაგრამ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ზვიად სიჭინავას ფეხბურთი ესმის და საქმის მართვაც ჩინებულად ეხერხება.

**- "ბაიას" ბავშვთა სხვადასხვა ასაკის რამდენიმე გუნდი ჰყავს. რამდენი ბავშვი და ჭაბუკი ფეხბურთელია თქვენს განკარგულებაში?**

- თუ არ ვცდები, სულ სამი ათასამდე ბავშვი და ჭაბუკი ფეხბურთელია.

**- რამდენადაც ვიცით, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელებიც, მათ შორის ზუგდიდის "მგლების" ყოფილი მოთამაშეებიც აგიყვანიათ.**

- ახალგაზრდებიც გვყავს და გამოცდილებიც. "მგლების" 7 თუ 8 ფეხბურთელებიც გვყავს, მათგან ჯერ სამის დატოვება გადავწყვიტეთ, მაგრამ მათ გვარები ჯერ ნამდვილად არ ვიცი. სჯობს ამაზე კლუბის პრეზიდენტს ან სხვა რომელიმე ხელმძღვანელს დაეკითხოთ.

**- ამ სეზონშივე ხომ არ გეგმავთ უმაღლეს ლიგაში "ბაიას" გადაყვანას?**

- ურიგო ნამდვილად არ იქნება. ჩვენ საამისოდ ბოლომდე ვიბრძოლებთ, მაგრამ რამდენად შესაძლებელი იქნება ამისი გაკეთება, ჯერ ვერ გეტყვით. ერთი სიტყვით, ამ სეზონში თუ არა, მომდევნო ჩემპიონატში უცილობლად უნდა გადავიდეთ უმაღლეს ლიგაში. კლუბის პრეზიდენტთან სწორედ ამაზე გვქონდა საუბარი. ზვიად სიჭინავა ამ ჩანაფიქრის რეალიზებისთვის ყველაფერს გააკეთებს.

**- სად მოემზადებით?**

- ჯერ სელექცია გვაქვს და ამ პროცესს ზუგდიდში ჩავამთავრებთ. მერე კი ურეკში წავალთ შეკრებაზე.

**ჰერბერტ ცანკერთან საუბარს ამით მოვრჩით და "ბაიას" პირველკაც ზვიად სიჭინავას შევეხმიანეთ.**

*"რაც შეეხება ახალ ფეხბურთელებს, ბევრს არ ვიცნობ, მაგრამ "მგლებში" ვინც თამაშობდა, მათზე კი გეტყვით. კუტალიას, წურწუმიასა და მეკარე მანუჩარ ივარდავას საკითხი უკვე გადაწყვეტილია. ეს ფეხბურთელები "ბაიაში" ითამაშებენ. ჩვენთან "მგლების" კიდევ რამდენიმე ფეხბურთელია. მათ ვაკვირდებით და ვნახოთ რას იტყვის ჰერბერტ ცანკერი და მისი სამწვრთნელო შტაბი.*

*"მგლებისა" და "ბაიას" გაერთიანება? ჩვენ "მგლების" პასუხს ველოდებით. "მგლების" პრეზიდენტი ლაშა დარასელია ჯერ არ შეგვხმიანებია. თუ ეს საქმე გამოვა და გავერთიანდებით, მაშინ უმაღლესი ლიგის შემადგენლობას ცალკე შევარჩევთ. იმ გუნდისთვის, რომელიც უმაღლეს ლიგაში იასპარეზებს, ცალკე ჩამოვიყვან ახალ მთავარ მწვრთნელს გერმანიიდან. ამ საკითხზე, გარკვეული მოთელვითი სამუშაოები უკვე ჩავატარე, მაგრეამ, ამ ეტაპზე, კონკრეტულად ჯერ ნურაფერს მკითხავთ"*- გვითხრა სიჭინავამ.

**დავით ცაბაძე**

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

პასუხისმგებელი რედაქტორი: **პაატა გელაშვილი**; რედაქტორები: **გია თვალაბეიშვილი, შალვა ბიბილაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი: **მიხეილ ჯაში**; გავრცელების სამსახური: **დავით მაისურაძე**, ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი, ნუგზარ სუარიძე.**

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გაზეთი ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი);
ფაქსი: **+995. 32 42 32 73**; ელფოსტა: **sporti@sporti.ge**; ინდექსი **66435 INDEX.**
რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის საკუთარი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწვრთნელის ხურუში

## სიგარეტი მავნებელია თქვენი იმიჯისთვის




გიხაროდენ, დღეს ფოლკერ ფინკე ჩამოდის! მუყაითი, ბადენვიურტემბერგში სახელდაგდებული კაცი, რომელსაც ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნები ერთი ხანობა თურმე ვერ უკავშირდებოდნენ, ყველანაირ ტელეფონზე მიუწვდომელიაო. ფინკეზე იმდენი დაიწერა და ითქვა, გონებაში კარგად გაჯდა მისი შესაძლო მწვრთნელობა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი უფრო საით იხრება, ამას სახალხოდ ვერ იტყვის, წევრების პოზიცია, თუმც პრინციპული ხალხი ალმასკომში ბევრი არ უნდა იყოს.

ფოცხვერიას პრობლემები შეექმნა თავის კლუბში, ფეხბურთელებს ხელფასი დროულად ვერ გადაუხადა და ბიჭებმაც "ამერში" ვარჯიშზე უარი თქვეს. ბევრზე უკეთესად ვიცნობ ფოცხვერიას, მას შეუძლია, სხვისი გულისთვის გული ამოიღოს და დადოს. მაგრამ ფეხბურთი ბიზნესიცაა და აქ ნაღდი მეგობრობა ძალიან ძნელია. ადამიანებთან ურთიერთობა, საქმე და ფული - ასეთნაირად არის მოწყობილი ყველაფერი.

წელს მიტანებული კაცი დაიმატოს, ვისაც ევროგამოცდილება საერთოდ არ გააჩნია.

შედიხარ კლუბის ოფისში და თვალები სიგარეტის კვამლით გეწვის, დაცვის ბიჭებიც კი მადიანად აფუილებენ და თუ იქ პირველად ხარ, გაგიჭირდება იმის მიხვედრა, ამბიციურ, მზარდ ორგანიზაციაში მოხვდი თუ 90-იანი წლების საქართველოში.

მაგალითად, "ვიტ ჯორჯიაში" უკვე სხვანაირადაა, სისუფთავე, ლამაზი ავეჯი, წესრიგი, ოფისი ოფისს ჰგავს და არა პროფილაქტიკას. ესეც თავისებური კაპიტალდაბანდებაა,



თანამდებობა ამის უფლებას არ აძლევს. იმის ნამდაუწუმ ძახილიც მოსაბეზრებელია, "როგორც შევიტყვეთ", "სანდო , მაგრამ კულუარული წყაროდან გავიგეთ", "კულუარული ინფორმაციით დავადგინეთ"...

ოფიციალურად ითქვა, ალმასკომს რამდენიმე კანდიდატურას წავუყენებთ და უმაღლესმა ორგანომ გადაწყვიტოს ნაკრების თავკაცის საკითხიო.

ალმასკომს კი სახელი გატეხილი აქვს და მის ცოდვებს ახლა არ ჩამოვთვლით, უბრალოდ, აღარ არის საჭირო ამდენი ტყუილი და თადარიგის დაჭერა - თუ ფინკე ან ავრაამ გრანტი ვერ გაამართლებს, ყველაფერი ალმასკომს დაბრალდება და არა ფედერაციის პრეზიდენტს თუ მის უახლოეს გარემოცვას.

დაახლოებით ორი თვის წინათ "ამერის" პრეზიდენტმა ზურაბ ფოცხვერიამ გვითხრა, როგორც ალმასკომის წევრი, ფინკეს კანდიდატურას მხარს არ დავუჭერო. ჯერ უცნობია ალმასკომის სხვა და შეცდომები, უფრო სწორად შეცდომა შეცდომაზე. ფოცხვერიამ ერთ-ერთ ინტერვიუში ისიც გვითხრა, ჩემმა გუნდმა ხარისხიანად რომ ითამაშოს, წელიწადში სამი მილიონია საჭიროო. არ ჰქონდა ამხელა ბიუჯეტი გიორგი დევდარიანის "თბილისს" და გია გეგუჩაძის "დინამოს", მაგრამ დაგვანახეს, რომ საინტერესო ფეხბურთის თამაში ქართულ გუნდებსაც შეუძლიათ. "ამერი" კი საით მიდის, ვერ გავიგე, ზედიზედ ორჯერ მოგებულმა საქართველოს თასმა ვერც კლუბის პოლიტიკა განსაზღვრა და ვერც ის დაადგინა, რა ხელწერის გუნდია "ამერი". დაიხარჯა ფული, მწვრთნელმა და ფეხბურთელებმა ბევრი იშრომეს, მაგრამ მერე? "ამერი" სადღაც ჩარჩა, ასე ფეხბურთს აღარ თამაშობენ.

ფული დაიხარჯა უპერსპექტივო ფეხბურთელებში, მწვრთნელების სწორად შერჩევაც არ არის იოლი, ისიც გაუგებარია, გუნდი ევროტურნირზე გავიდეს და ორმოც "ვიტ ჯორჯიამ" არ იყიდა უპერსპექტივო ფეხბურთელები და შეიძინა ახალი ოფისი, სადაც ფეხბურთელი მივა, მწვრთნელი, ბიზნეს-პარტნიორი თუ ჟურნალისტი, სერიოზული ორგანიზაციის აურაში ექცევა.

თითქმის წელიწადნახევრიანი პაუზის შემდეგ დავით სირაძემ პირველი საკლუბო გოლი გაიტანა. სირაძე ნაკრებისთვის საჭირო კაცია. ყაბარდოულ "სპარტაკში" ის მეორე ბუნდესლიგიდან გადავიდა და იქნებ, სწორადაც მოიქცა. რუსული ფეხბურთი წინ მიდის და საშუალო ასაკის ფეხბურთელისთვის ვინძლო იქ თამაში სჯობდეს. სხვა საქმეა ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლისთვისაც რუსეთზე ბევრად უკეთეს გარემოში მოხვედრა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა.

მწვრთნელი კი ყველგან ჯილას ეძებს. იური სიომინმა მალხაზ ასათიანის თავის გუნდში გადაყვანა მოისურვა, ზურაბ ხიზანიშვილი კი იმავეს ელის მარკ ჰიუზისგან - ფეხბურთს თავისი ხურუში აქვს.




## მენთეშაშვილის რეპეტიცია

ლატვიის „ვირსლიგაში" გუშინ ერთი მატჩი გაიმართა. ჩემპიონი „ვენტსპილსი" „იურმალას" ესტუმრა და **რიმკუსის** გოლის წყალობით 1:0 დაამარცხა. **ზურაბ მენთეშაშვილი** ჩემპიონთა რიგებში 90-ე წუთამდე იყო, ბოლო წუთზე კი ის დროის გაყვანის მიზნით შეცვალეს **ევგენის კოსმაჩოვსით**. „ვენტსპილსი" ერთპიროვნულად ლიდერობს ჩემპიონატს, გუნდს 37 ქულა აქვს, უახლოეს მდევარ „სკონტოს" კი – 26 (თუმცა რიგელებს ოთხი თამაშით ნაკლები აქვთ გამართული). ვიტს რიმკუსი 11 გოლით ბომბარდირთა დავაში ლიდერობს. ეს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩის წინ („ვეტსპილსი" უელსის ჩემპიონი „ლიანელის" ეთამაშება) ბოლო რეპეტიცია იყო.

## სახოკიამ ისევ გაიტანა

სომხეთის ჩემპიონატში თავისი მეორე გოლი გაიტანა „მიკას" ახალწვეულმა **ზაზა სახოკიამ**. „მიკა" შინ 1:3 დამარცხდა „ბანანცთან", მატჩის 78-ე წუთზე მასპინძელთა ერთადერთი გოლი ქართველი ფორვარდის ანგარიშზეა. ამ ტურში ერთმანეთს ორი „ქართული" გუნდი შეხვდა. „განძასარმა" 4:1 გაანადგურა „ულისე". სტუმართა რბევას სათავე **დავით ხანიშვილმა** დაუდო, რომელმაც მე-10 წუთზე გაიტანა. „მიკა" 24 ქულით მეორე ადგილზეა, „განძასარი" 21 ქულით მეხუთეა, ხოლო „ულისე" 13 ქულით – მეექვსე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ხიზანეიშვილს ძირითადში მოიაზრებენ

"აუგსბურგმა" ახალი სეზონისთვის მზადება რამდენიმე დღის წინ დაიწყო, მაგრამ თამაში ჯერ არ ჩაუტარებია. პირველ საკონტროლო მატჩს **ოთარ ხიზანეიშვილის** ახალი გუნდი დღეს გამართავს "აიდლინგის" წინააღმდეგ. ხიზანეიშვილი სრული დატვირთვით ვარჯიშობს და თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, დღეს აუცილებლად ითამაშებს. კლუბის გულშემატკივართა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და გამოკითხვები კი ცხადყოფს, რომ ქართველი მცველის ძალიან ეიმედებათ. ქომაგებიცა და მწვრთნელებიც მას "აუგსბურგის" ძირითად შემადგენლობაში მოიაზრებენ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

## უგოლო იაშვილი

მორიგ სპარინგმატჩში გერმანული "კარლსრუე" სამოყვარულო "შლუხტერნს" დაუპირისპირდა და როგორც მოსალოდნელი იყო, იოლად გაიმარჯვა. **ალექსანდრე იაშვილის** გუნდმა მეტოქეს 10 უპასუხო ბურთი გაუტანა. თავად იაშვილი მოედანზე შესვენების შემდეგ შევიდა, მაგრამ აქტიურობისა და რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, მეტოქის კარის დალაშქვრა ვერ შეძლო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ყოველთვიური სპორტული ჟურნალი




თქვენთვის წერს ავტორთა ნაკრები:
გიო ახვლედიანი. ილია ბაზღაძე. ...ი გოგიშვილი.
... გოლოვანი. ... მამუკა ... .
დავით კოვზირიძე. მერაბ მამულაშვილი.
... ბიბილაშვილი. ლევან ...შვილი
კაპიტანი გიორგი გორგოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ესაა პიკასოს ბიჭი?!

## ოლიმპმა აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონი გაანადგურა



რევაზ გეწაძე

**დიდი** ფული კარგია, ყველაფერში და ყველანაირად. ფეხბურთი უმაგისოდ ჩაქრება, რომლის მაგალითიც საქართველოა. "ოდესღაც დიდი რომ ყოფილა", დღეს კი უფულობის გამო...

თუმცა, კარლო მჭედლიძის საფეხბურთო აკადემიაში ნანახმა წარმოდგენებში ეჭვის შეტანის უფლება დაგვიტოვა - დიდი ფული დიდი ფეხბურთის გარანტია არაა. გაცილებით ღარიბმა რუსთავის "ოლიმპმა" აზერბაიჯანის ერთ-ერთ უმდიდრეს კლუბს, ვიცე-ჩემპიონ ბაქოს "ოლიმპიკს" 3:0 სძლია. თანაც იოლად, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე.

რუსთავის "ოლიმპი": **მერლანი - გ. ონიანი, მაჭავარიანი, ჭიჭვეიშვილი, თ. ლონლაძე - ფეიქრიშვილი, ბაბუნაშვილი, გაბიდაური, გეწაძე (46. სებისკვერაძე) - მიკუჩაძე, მეგრელაძე.**

საქართველოს ექსჩემპიონმა ანგარიში ჯერ კიდევ მატჩის დასაწყისში გახსნა – თავი **გია მეგრელაძემ გამოიჩინა. გიორგი გაბიდაურმა** "ოლიმპიკის" კარის ბადე მეორედ მეორე ტაიმში შეარხია - შორიდან ძლიერი დარტყმა მეკარემ ვერ მოიგერია. მესამე გოლი კურიოზული გამოდგა - **გიორგი ფეიქრიშვილი** მარცხენა ფლანგზე კუთხურის ალამთან მოძრაობდა და მეკარეს ძალიან მახვილი კუთხიდან გაუტანა - 3:0.

"ოლიმპს" კიდევ ორჯერ შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ სტუმართა მეკარემ მეორე ტაიმში ძალიან კარგად ითამაშა - თუ არ ჩავთვლით ფეიქრიშვილის გოლზე "ჩაძინებას".

რუსთაველებმა 4-4-2 განლაგებით ითამაშეს. **გიორგი ონიანი** მარჯვენა ფლანგზე დააყენეს, რაც იძულებითი ნაბიჯი იყო, მარჯვნივ რუსთაველებს ფეხბურთელი არ ჰყავთ და მწვრთნელმა პრობლემურ პოზიციაზე გამოცდილი მოთამაშე გაამწესა.

"ოლიმპში" იენის "კარლ ცაისის" ყოფილ ფეხბურთელ **გიორგი სეთურიძეს** ელოდებიან, რომელსაც წორედ მარჯვენა მცველის პოზიციაზე ათამაშებენ. გიორგი გერმანიიდან ჩამოვიდა და გუნდს ნახევარი სეზონით შეუერთდება.

რუსთავის "ოლიმპმა" საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა - შემადგენლობის რადიკალური შეცვლის ფონზე, ეს მოულოდნელიც იყო და სასიამოვნოც.

დაცვა საიმედოა - ცენტრში "მგლებიდან" დამატებული **ნოდარ მაჭავარიანი** და **დავით ჭიჭვეიშვილი** სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებენ. საკმაოდ საიმედო იყო მარცხენა მცველი **თემურ ლონლაძე.**

მოედნის ცენტრში გაბიდაური-ბაბუნაშვილის წყვილი სასარგებლოდ მუშაობდა. გაბიდაური მეტოქის შეტევებს კარგად შლის და თავისიანების კომბინაციებს სწრაფად იწყებს. როგორც იქნა, თავისი გუნდი მოძებნა და "ტორპედოს" დროინდელი სილაღე დაიბრუნა **ბაბუნაშვილმა.**

სოლიდურად გამოიყურება "ოლიმპის" ნახევარდაცვის ფლანგები. გიორგი ფეიქრიშვილი და **რეზო გეწაძე** შემტევი სტილის, სასარგებლო მოთამაშეები არიან, რაც გუშინაც დაამტკიცეს: მცველები სულ დაძაბული ჰყავდათ. გეწაძის წინააღმდეგ აზერბაიჯანის ნაკრებში აყვანილი ნატურალიზებული აფრიკელი თამაშობდა, რომელესაც გეწაძემ ქანცი გააცალა და ერთმანეთის მიყოლებით შეცდომები დააშვებინა.

თავდამსხმელ გია მეგრელაძეს **კოკა მიკუჩაძე** ნახევარდაცვისკენ დახეული ეხმარებოდა და აზრიანი პასებით "ოლიმპიკის" საჯარიმოში მუდმივი დაძაბულობის კერას ქმნიდნენ. მეგრელაძეს, ჯერ ოპტიმალური წონა არ აქვს, მაგრამ ბაქოელთა საჯარიმოში იოლად მოძრაობდა.

ბოლო დროს, აზერბაიჯანის ჩემპიონატში უზარმაზარი თანხა ჩაიდო და დონეც ამაღლდა. ბუნებრივია, გვეგონა, რომ ამ ორი ქვეყნის კლუბების კლასში შესამჩნევი სხვაობა იქნებოდა. საბედნიეროდ, შევცდით და ეს სხვაობა ჩვენს სასარგებლოდ დავინახეთ. რუსთავის "ოლიმპმა", რომლის ბიუჯეტიც მაქსიმუმ მილიონი დოლარია, 25-მილიონიანი ბაქოს "ოლიმპიკი" იოლად დაამარცხა.

თუმცა ჯერ სეზონის დაწყებამდე დიდი დროა დარჩენილი და ოფიციალურ მატჩებში უკეთ გამოჩნდება, ახალი "ოლიმპი" რას წარმოადგენს.

**მერაბ მამულაშვილი**

# დავით თარგამაძეს მიონხენგლადბახიც იწვევს



"ფრაიბურგის" შემადგენლობაში **დავით თარგამაძე** იუნიორთა ბუნდესლიგის გამარჯვებული გახდა. ნიჭიერი ქართველით რამდენიმე კლუბი ისედაც ინტერესდებოდა, ახლა კი ასარჩევად აქვს საქმე.

თარგამაძეს კონტრაქტის გაფორმებას სთავაზობს „ფრაიბურგი" და ბუნდესლიგელი „კარლსრუე", სადაც ალექსანდრე იაშვილი თამაშობს.

ბოლო დღეებში კი თარგამაძისადმი ყურადღება მიონხენგლადბახის „ბორუსიამაც" გამოავლინა.

*"დღეს დამიკავშირდა ალექსანდრე იაშვილი და მითხრა, "მიონხენგლადბახი" მზადაა, კონტრაქტი გამიფორმოს. ამის გარდა, "ფრაიბურგის" კონტრაქტიც გამზადებულია ხელმოსაწერად. "მიონხენგლადბახის" ვარიანტი ახალია და ძალიან გამიხარდა. თუმცა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მირჩევნია იქ, სადაც მეტი სათამაშო პრაქტიკა მექნება"*- გვითხრა თარგამაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

# მარცვალაძეს ექიმები ვერაფერს ეუბნებიან



საქართველოს ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი ოთარ მარცვალაძე გასული წლის დეკემბერში უჟგოროდის "ზაკარპატიედან" წამოვიდა და ვერ წარმოიდგენდა, რომ მას შემდეგ ერთ ოფიციალურ მატჩსაც ვერ ჩაატარებდა.

უკვე მერვე თვე გადის, რაც ოთარი უგუნდოდ და უთამაშებლადაა. თუკი ზამთარში "ხარკოვში" კოჭის ტრავმის გამო არ ჩაირიცხა, ახლახან ისეთი ამბავი შეემთხვა, გუნდს ვინ ჩივის...

ერთი თვის წინათ ოთარი უმძიმეს ავარიაში მოყვა და ბედზე გადარჩა. ოთარს მცირე ტკივილები ისევ აწუხებს, არ ვარჯიშობს და როგორც გვითხრა, კიდევ არ იცის, მოედანს როდის დაუბრუნდება - ექიმები კონკრეტულს ვერაფერს ეუბნებიან.

კიევის "დინამოს" საკუთრებაში მყოფი კიდევ ორი ქართველი - **კახა ალადაშვილი** და **დავით იმედაშვილი** კიევში ვარჯიშობენ და დღემდე არ იციან, ახალ სეზონში რომელი კლუბის ფორმას მოირგებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

# დოლიძე ოლიმპიკში ისინჯება



ირაკლი დოლიძე

**ირაკლი დოლიძე** დაახლოებით ერთი თვის წინათ სიმფეროპოლის "ტავრიაში" გასინჯეს. ისტორია ირაკლის თბილისში დაბრუნებით დასრულდა, მაგრამ იგი "ამერში" დარჩენას არ აპირებს. დოლიძე გუშინ აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონ ბაქოს "ოლიმპიკში" გასინჯეს.

ირაკლიმ რუსთავის "ოლიმპის" წინააღმდეგ მთელი შეხვედრა ჩაატარა. პირველ ტაიმში აქტიური გახლდათ, მეორეში კი მთლიანად "ოლიმპიკი" აირია და საერთო ფონზე დოლიძე ველარ გამოირჩა. იგივეს ვიტყვით ბაქოელთა ორივე ქართველ ლეგიონერზე - **მიხეილ ხუციშვილისა** და **რომან ახალკაცის** აქტიურობა ჩაიკარგა.

მატჩის შემდეგ ირაკლიმ გვითხრა, რომ მეორე ტაიმში ცუდად გახდა და თავის გამოჩენას ვინ ჩივის, ერთი სული მქონდა, თამაში როდის დამთავრდებოდაო.

"ოლიმპისა" და "ოლიმპიკის" მატჩი დილით 11.00 საათზე დაიწყო და იმდენად დახუთული ჰაერი იყო, დოლიძეს კი არა, " მოძრაობა "ოლიმპიკის აფრიკელ ფეხბურთელსაც უჭირდა.

მატჩის შემდეგ, წაგებით ხასიათწამხდარმა ბაქოელთა მთავარმა მწვრთნელმა საუბარი არ ისურვა და მის ასისტენტ **ილხამ ალიევს** ვესაუბრეთ.

*"დოლიძის ჩარიცხვაზე ჯერ ვერაფერს გეტყვით. მწვრთნელთა საბჭოს ამის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება არ მიგვილია,"* – გვითხრა ალიევმა.

მან აღიარა, რომ რუსთაველებმა დაჩაგრეს: *"მეტოქე საკმაოდ მომეწონა. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილები ვთამაშობდით და ეს რუსთაველებს უპირატესობას ანიჭებდა, მაინც მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვეს. ქართველებს მთავარი კოზირი მაინც შეუნარჩუნებიათ – ტექნიკა, მოკლე გადაცემებით თამაში, სისწრაფე, სისხარტე, კარგი სათამაშო აზროვნება. ვიცი, ბოლო დროს საქართველოს კლუბებს ფინანსურად როგორც უჭირთ და ამის გამო, ასეთი სოლიდური კლუბის ნახვა ძალიან გაგვიკვირდა."*

**მერაბ მამულაშვილი**

# ბურდული შინიკში?

**ლადო ბურდულმა** ლუგანსკის "ზარია" დატოვა და ახალ გუნდს ეძებს.

საქართველოს ნაკრებში ნათამაშევმა ნახევარმცველმა გუშინ გვითხრა, რომ ორშაბათს მოსკოვში გაემგზავრება და რუსეთის პრემიერლიგის ერთ კლუბთან მოლაპარაკებას დაიწყებს.

ბურდულმა კლუბის დასახელებისგან თავი შეიკავა. ჩვენი ინფორმაციით, ეს გუნდი იაროსლავლის "შინიკია".

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მესხეთში ოთხი ამერელი მივიდა

## გადაწყდა: წლის ბოლომდე ფინანსური პრობლემა მოხსნილია

უმაღლესი ლიგის არაერთ გუნდს შეექმნა პრობლემები სეზონის წინ და არც "მესხეთი" იყო გამონაკლისი. კლუბის პრეზიდენტმა **გია მესხელმა** "ლელოსთან" საუბარში რამდენიმე დღის წინათ აღნიშნა, ფინანსური მდგომარეობა გაურკვეველიაო. გუშინ კი ახალციხელთა კლუბზე კარგი ამბები გავიგეთ და აქვე გამცნობთ.

*"ფინანსური პრობლემის მოგვარებაზე ვიზრუნეთ და შედეგი უკვე გვაქვს. ბიზნესმენების დახმარებით წლის ბოლომდე საკმარისი თანხა უკვე მოვიძიეთ.*

*რაც შეეხება თურქ ინვესტორებს, ისინი ჩვენი კლუბით დაინტერესებულები ისევ არიან. თუმცა ფინანსების ჩადებას იანვრამდე არ აპირებენ. უფრო მეტიც, თურქულ კომპანიას, რომელთა მფლობელებს ჯერჯერობით თავადვე არ სურთ ვინაობის დასახელება, ჩვენთან, აწყურში ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გახსნა სურს. პროექტის განხორციელებას გაისად დაიწყებენ. ამ საკითხზე ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთანაც მქონდა საუბარი და ბავშვთა საფეხბურთო სკოლის გახსნის საქმეში დახმარებაც აღგვითქვეს.*

*"მესხეთთან" დაკავშირებით თურქი ინვესტორებისგან სამწლიან გეგმაზეა საუბარი. მათი მოთხოვნაა გუნდის გაახალგაზრდავება. სწორედ ამაზე გავაკეთეთ აქცენტი. ამ გეგმაში ჩვენი გუნდის ევროტურნირებზე ასპარეზობაცაა ჩასმული, მაგრამ ეს ჯერ ადრეა. ახალ სეზონში ისევ ცხრილის შუა ადგილებზე დასამკვიდრებლად ვიბრძოლებთ"*, - გვითხრა გუშინ მესხელმა.

ფინანსური პრობლემის მოგვარების გარდა ახალციხელთა კლუბში სხვა სიახლეცაა. გუნდში ბევრი ახალწვეულია. მათ შორის "ამერის" ყოფილი მოთამაშეებიც. *"უკვე 10 დღეა, რაც გუნდი შევკრიბეთ და ვემზადებით. აქამდე ფინანსური საკითხი არ იყო გადაწყვეტილი და ჩვენც გაურკვევლობაში ვიყავით. ახლა კი, ცოტა არ იყოს, ამოვისუნთქეთ. მადლობა ყველა იმ ბიზნესმენს, რომლებიც ამ ძნელბედობის დროს გვერდში დაგვიდგნენ. ჩვენ მათ შედეგებით გავახარებთ. შეკრებაც დავგეგმეთ და ახალი ფეხბურთელების დამატებაც შეგვიძლია.*

*ჩვენთან უკვე რამდენიმე ახალი მოთამაშე ვარჯიშობს. ზუგდიდის "მგლებიდან" ნახევარმცველ ვართაგავასა და "ბათუმის" შუახაზელ ბეჟანიძის საკითხი გადაწყვეტილია. ისინი ჩვენს კლუბთან კონტრაქტებს გააფორმებენ. "სიონიდან" ლაშა ვაშაკიძე ვარჯიშობს და კიდევ ერთი ახალგაზრდა ნახევარმცველია, დათუნაიშვილი. თუმცა "ვიტ ჯორჯიაში" ძმები დათუნაიშვილები რომ არიან, მათგან არცერთი არაა. ერთი სიტყვით, ვაშაკიძესა და დათუნაიშვილს ვაკვირდებით და მათ საკითხს გადავწყვეტთ. ჩვენი კლუბის პრეზიდენტ გია მესხელს, "ამერის" ყოფილ ფეხბურთელებთან აქვს მოლაპარაკება და ალბათ ისინიც დაგვემატებიან.*

*ახლა სელექციის პროცესში ვართ და მალე მოსამზადებელ შეკრებას დავიწყებთ, რომელსაც ბორჯომ-ბაკურიანში გავივლით. რაც შეეხება ამხანაგურ მატჩებს, ჯერ მხოლოდ ისაა გადაწყვეტილი, რომ რეგიონალლიგაში მოასპარეზე "ბორჯომის" დუბლებს, სავარაუდოდ, 15 ივლისს ვეთამაშებით. სხვა საკონტროლო შეხვედრების ორგანიზებაზე კი ვმუშაობთ"*, - "ლელოსთან" საუბარში აღნიშნა "მესხეთის" მთავარმა მწვრთნელმა **კობა თედიაშვილმა**.

**მიხეილ მესხი, არჩილ ალავიძე, გიორგი დავითნიძე და გიორგი მემარნიშვილი** – ამერელთაგან "მესხეთს" ამათმა მიაკითხეს.

**დავით ცაბაძე**



მიხეილ მესხი მესხეთში ითამაშებს

# სიონს კახელიშვილი სურს

სეზონის განახლებამდე არცთუ ისე ბევრი დრო რჩება და ბოლნისის "სიონის" დაკომპლექტების პროცესიც დასასრულს უახლოვდება. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ კორღალიძემ** უკვე შეარჩია სასურველი ფეხბურთელები. "სიონის" ახალწვეულთა შესახებ "ლელოს" ბოლო ნომრებიდან სისტემატურად ვიუწყებოდით და აღარ განვმეორდებით.

ახალი კი ისაა, რომ ქვემოქართლელთა რიგები კიდევ ორმა ფეხბურთელმა დატოვა. **გიორგი კვიტაიშვილსა** და **გიორგი ალავერდაშვილს** ახალი გუნდის მოძებნა მოუწევთ. კვიტაიშვილი წლების განმავლობაში იცავდა "სიონის" ღირსებას და მასთან ერთად საქართველოს ჩემპიონობაც იზეიმა, ალავერდაშვილი კი ბოლოს თბილისის "ლოკომოტივში" ასპარეზობდა, რის შემდეგაც "სიონში" ისინჯებოდა.

ბოლნისელებს **გიორგი კახელიშვილის** გადაბირება სურთ, რომელიც ბოლო ორი სეზონის განმავლობაში რუსთავის "ოლიმპის" წევრი იყო. "სიონის" ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება.

ხვალ "სიონი" ბოლნისში ამხანაგურად აზერბაიჯანულ "სიმურგს" შეხვდება, რითიც საკონტროლო მატჩების სერია დროებით შეწყდება. 15 ივლისს "სიონი" შეკრებაზე გრიგოლეთში გაემგზავრება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



გიორგი სეთურიძე

ინტერვიუ მევლუდ მიმინოშვილთან

# ბუათი ბავშვებს აშინებენ, საფეხბურთო კლუბებს პროკურატურით

**ის იყო** ერთ-ერთი უმცირესთაგანი საბჭოთა კავშირის დროინდელი საქართველოდან, რომელსაც ფიფას რეფერის წოდება მიენიჭა. სსრ კავშირის საფეხბურთო პირველობის 80 მატჩის მომსახურებისთვის მინიჭებული აქვს ვერცხლის მედალი, შემდეგ კი, როცა ეს ციფრი სამნიშნა გახდა - ოქროს მედალი გადაეცა. 1977-90 წლებში საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიას ედგა სათავეში, 1990-98 წლებში სფფ-ის მსაჯთა და ინსპექტორთა კომიტეტის ხელმძღვანელია. იმსაჯა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ოფიციალური მატჩი და იყო ეროვნული ჩემპიონატის პირველი შეხვედრის მთავარი მსაჯი.

 აი, ასეთი პიროვნებაა დღეს "ლელოს" სტუმარი - მევლუდ მიმინოშვილი.



1985 წელი. მევლუდ მიმინოშვილი ლელოს რედაქციაში

**- ბატონო მევლუდ, ვინ როგორ იწყებს... თქვენ როგორ დაიწყეთ, რამ მოგცათ ბიძგი საფეხბურთო არბიტრის რისკიან გზას რომ დადგომოდით - შემთხვევითობა იყო ეს თუ აუცილებლობა?**

- ერთიც და მეორეც.

**- ეს როგორ?**

- ხომ გახსოვთ 60-იან წლებში ფეხბურთის ბილეთების შეძენის პრობლემა იყო. ზოგჯერ ღამეებს ვათევდით სალაროსთან. ვიცოდი ფეხბურთის მსაჯები საშვით შედიოდნენ სტადიონზე. როგორ ვიშოვო ეგ საბუთი? ვკითხე ნაცნობ მსაჯს რობერტ გურგენიძეს. მან მირჩია მსაჯთა სემინარები გამევლო. მაშინ უკვე 25 წლის ვიყავი. ვთამაშობდი ფეხბურთს.

**- მალე დაიწყეთ მსაჯობა?**

- კი. დავიწყე დაბლიდან. ოთხ წელიწადში მივიღე რესპუბლიკური კატეგორია. ამის შემდეგ იყო საკავშირო მატჩები.

**- რამდენი შეხვედრა გიმსაჯიათ საკავშირო უმაღლეს ლიგაში?**

- სულ 168.

**- საერთაშორისო?**

- 27.

**- ყველაზე უფრო რომელი შეხვედრის მსაჯობა დაგამახსოვრდათ?**

- მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი იუგოსლავიისა და გერმანიის ნაკრებებს შორის.

**- რით დაგამახსოვრდათ?**

- იმით, რომ ახლო ხედიდან თვალებში და ფეხებში ვუყურებდი ბეკენბაუერს, კალტცს, ჰრუბეშს და სხვებს.

**- ახალბედების დამრიგებელ მსაჯებს იტალიაში "ნათლიმამად" მოიხსენიებენ. ვინ იყო თქვენი "ნათლიმამა"?**

- პირადად მე ქართული სამსაჯო სკოლის სამი ყველაზე ღირსეული წარმომადგენლის კარლო ყრუაშვილის, გიორგი ბაქანიძისა და ილო ბოჭორაძის მაგალითზე ჩამოვყალიბდი, როგორც საფეხბურთო მსაჯი. მათგან ესტაფეტა მაღალ დონეზე მსაჯობაში მე და გურამ გვანცელაძემ მივიღეთ.

**- ფეხბურთში იყო, არის და ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება მსაჯებთან გარიგების, რბილად რომ ვთქვათ, მცდელობა მაინც. გადაყრიხართ ასეთ ფაქტებს?**

- საქართველოს მატჩებში ორჯერ იყო ჩემი მოსყიდვის მცდელობა.

**- სად?**

- ხობში და ბათუმში.

**- საკავშირო ჩემპიონატებშიც?**

- არასოდეს, მინიშნებაც კი არ ყოფილა.

**- მსაჯებს ხავერდოვანი გზა არ აქვთ. ყველაზე მწარედ რა დაგამახსოვრდათ?**

- ერთმა რუსმა კომისარმა გვარად ცილიკმა, არ ვიცი რატომ, 2-იანი დამიწერა.

**- არ იმსახურებდით?**

- რა თქმა უნდა, არა. გავმართლდი და ის შემფასებელი საერთოდ დაითხოვეს.

**- მსაჯობაში დაგიშვიათ შეცდომა?**

- როგორ არა, მაგრამ შეგნებულად რომელიმე მხარის სასარგებლოდ არასდროს.

**- მაყურებელთა და მსაჯთა ურთიერთობაზე რას იტყვით?**

- ვერავინ გადამარწმუნებს, რომ პატიოსნად თუ იმსაჯებ, მაყურებელმა არ დაგაფასოს. ასე მოდის სახელი და ნდობა, რასაც მერე, როგორც იტყვიან, გაფრთხილება თვალის ჩინივით უნდა. სხვანაირად ვერ მოხვდები ელიტაში.

**- როგორ ფიქრობთ, ქართული ფეხბურთის აღორძინებაში ჩვენმა მსაჯებმაც უნდა დაიდონ წილი?**

- რა თქმა უნდა.

**- რას ეტყოდით მათ?**

- ნუ მოექცევიან სხვისი გავლენის ქვეშ, არ უღალატონ სამართლიანობას, მუდამ შეინარჩუნონ პრინციპულობა - აი, მხოლოდ ასეთ მსაჯს მიაგებენ პატივს მაყურებელიც, მეტოქე გუნდებიც და ფეხბურთის ფუნქციონერებიც.

**- ქალთა პირველი საფეხბურთო მატჩიც თქვენ იმსაჯეთ საქართველოში - შვედეთთან. მერე აღარ ჩანდით...**

- ავარიაში მოვყევი, 3 წელიწადი სარეცელს ვიყავი მიჯაჭვული.

**- თუ ახსოვხართ ვინმეს ვეტერანები. დღეს არ არის საჭირო თქვენი და სხვა ვეტერანების გამოცდილება?**

- რას ჰქვია არ არის, მაგრამ ამას კეთილი ნება უნდა. მატჩების კომისრადაც არ გვეძახიან, არც მე და არც ავთო კოკაიას, არც გურამ გვანცელაძეს...

**- მაინც რატომ, თუ იცით...**

- იმიტომ, რომ ჩამოვიტანთ ობიექტურ მასალას, რაც ხელს არავის აძლევს. სულ ესაა. ახალგაზრდებს ხომ ესაჭიროებათ გამოცდილების გაზიარება, არც ეს უნდათ.

**- სამაგიეროდ, ხომ ხედავთ, როგორი ამბავი ატყდა ჩაწყობილ მატჩებზე. სფფ-მ ფაქტები პროკურატურას გადასცა.**

- რათ უნდათ პროკურატურა. რაო, თავად ვერ მოერივნენ? დამისახელეთ თუნდაც ერთი შემთხვევა, როცა სფფ-მ ვინმე დასაჯა. კიდევ ვიმეორებ, რათ გინდა პროკურატურა - მსაჯიც შენია, გუნდიც, ჩემპიონატიც. ნუ გამოიგონებ "ბუას", რომლითაც ბავშვებს აშინებენ.

**- თქვენ თქვით, რომ ვეტერანებს არ გაფასებენ. ამ დროს თქვენი სახელი მიენიჭა სტადიონს აბაშაში, განა ეს დაფასება არ არის?**

- მაგრამ ეს გააკეთა ჩემმა მშობლიურმა რაიონში, მისმა ყოფილმა გამგებელმა, ახლა პარლამენტარმა რომან ბუალავამ. ქართული ფეხბურთის შტაბბინაში უნდა იფიქრონ, რომ ვეტერანთა გამოცდილება და ცოდნა ჩადგეს ჩვენი ფეხბურთის სამსახურში.

**- მინდა გკითხოთ, ვინ ხართ თქვენ, ფეხბურთის არბიტრები?**

- მოკლედ გეტყვით, რომ არა ჩვენ, მსაჯები, სამყაროს დაეკარგებოდა ერთი სახალხო სიხარული - თამაში, რომელსაც ფეხბურთი ჰქვია.

**- შესაძლებელი რომ იყოს ისევ დადგებოდით განვლილი გზის სათავესთან?**

- უყოყმანოდ! ფეხბურთი და მსაჯობა ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა. ბედნიერი ვიყავი და ვარ განვლილი გზით.

**- ამით დავამთავროთ. დიდი მადლობა საუბრისთვის.**

- მადლობა თქვენც ყურადღებისთვის.

ესაუბრა
**თენგიზ ბაჩიჩილაძე**

სპეკულაციები მოსალოდნელი ტრანსფერის გარშემო

# ვან დერ ვაარტი: რეალი, თუ ატლეტიკო?

## მარკამ ჰოლანდიელ ვარსკვლავს ერთ დღეში ორი კლუბი გამოუნახა, ასი ისევ ატლეტიკოზე საუბრობს...

მიდი და გაიგე, გუშინ ესპანური გაზეთები სრული სერიოზულობით წერდნენ, **რაფაელ ვან დერ ვაარტი** "ატლეტიკომ" ხუთი წლით გადაიბირაო. ამ ინფორმაციის გავრცელებიდან 24 საათიც არ იყო გასული, როცა "დიარიო მარკაში" კიდევ ერთი ამბავი დაიბეჭდა. მადრიდული გამოცემა ახლა ამტკიცებს, რომ ვან დერ ვაარტი "ატლეტიკოში" კი არა, "რეალში" გადაბარგდება. რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს, სტატიის ავტორს არც კი უხსენებია, რომ ერთი დღით ადრე ჰოლანდიელი ნახევარმცველის "როხიბლანკოში" გადასვლაზე საუბრობდა. მოკლედ, ჩვენმა კოლეგამ ამჯერად სამეფო კლუბის წარმატებაზე მოგვახსენა და გარიგების დეტალებიც გაგვაცნო. ახალი სტატიის თანახმად უახლოეს დღეებში ვან დერ ვაარტთან ხუთწლიანი კონტრაქტი გაფორმდება. ამავე წყაროდან ვიგებთ, რომ **რამონ კალდერონი** "ჰამბურგის" ანგარიშზე 23 მილიონ ევროს გადარიცხავს. რაფაელს გერმანულ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლის 30 ივნისამდე აქვს გაფორმებული. "დიარიო მარკას" ინფორმაციით გერმანული მხარე თავიდან 30 მილიონს ითხოვდა, მაგრამ ესპანელებმა დიდ ხანს ივაჭრეს და საბოლოოდ სწორედ 23 მილიონზე შეთანხმდნენ. ვან დერ ვაარტს ესპანეთის დედაქალაქში უახლოეს დღეებში ელოდებიან. მან სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს და თუ ყველაფერი რიგზე იქნება, სამუშაო ხელშეკრულებასაც იმავე დღეს გააფორმებს.

მაგრამ ჰოი საოცრებავ, გუშინ გვიან ღამით კიდევ ერთი მადრიდული გაზეთის "დიარიო ასის" ვებგვერდზე ვან დერ ვაარტთან დაკავშირებით მორიგი ინფორმაცია დაიკიდა. ბანალურია, მაგრამ ავტორიტეტული გამოცემა ისევ და ისევ "ატლეტიკოსა" და ჰოლანდიელი ნახევარმცველის ურთიერთობაზე საუბრობს. ძნელად დასაჯერებელია, მაგრამ "დიარიო ასი" "დიარიო მარკასგან" განსხვავებით ამტკიცებს, რომ რაფაელი სწორედ "როხიბლანკოში" გააგრძელებს კარიერას. ალბათ, პარადოქსულია, თუმცა დედაქალაქურ გამოცემაში მოლაპარაკების დეტალებიც გამომზეურდა. თითქოს, **ენრიკე სერესომ** "ჰამბურგს" ორი მილიონი ევროთი მეტი შესთავაზა და გერმანული კლუბისგან პირობა მიიღო, რომ ვან დერ ვაარტს მათ გარდა არავის დაუთმობენ. საგულისხმოა, რომ თავად ფეხბურთელს პოზიცია არ გამოუხატავს, თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, ვან დერ ვაარტი ესპანეთში თამაშზე ოცნებობს. რაფაელი დედით ესპანელია და ამ ქვეყანას მეორე სამშობლოდ მიიჩნევს. სხვათა შორის, პრიმერა დივიზიონში გადაბარგების საშუალება მას ჯერ კიდევ გასული სეზონის დაწყების წინ ჰქონდა. მაშინ ჰოლანდიელს "ვალენსია" იწვევდა, მაგრამ "ჰამბურგს" "ლამურების" მიერ შეთავაზებული 18 მილიონი ევრო ეცოტავა და მოლაპარაკებები შეწყვიტა. ამით უკმაყოფილო ფეხბურთელმა გერმანულ გუნდთან კონტრაქტის 2012 წლამდე გახანგრძლივებაზე უარი განაცხადა. ეს, რა თქმა უნდა, იმის ნიშანი იყო, რომ რაფაელს ბუნდესლიგაში დარჩენა აღარ უნდოდა.

შექმნილ სიტუაციაში ძალიან ძნელია აპრიორი რომელიმე გაზეთს დაუჯერო. ორივე გამოცემა ფრიად ავტორიტეტული და გავლენიანია. როგორც ჩანს, "დიარიო მარკამ" და "დიარიო ასმა" აღნიშნული ინფორმაციები აბსოლუტურად განსხვავებული წყაროებიდან მოიპოვეს. ისინი, რა თქმა უნდა, თავიანთ ინფორმატორებს ენდობიან და ერთმანეთის აზრი ფეხებზე ჰკიდიათ. საინტერსოა, რომელი გაზეთი აღმოჩნდება მართალი. ერთი რამ კი უდავო ფაქტია, ვან დერ ვაარტზე ბევრი გუნდი ინადირებს. სავარაუდოა, რომ ჰოლანდიელი არჩევანს სწორედ პრიმერა დივიზიონზე გააკეთებს. რაფაელმა "ჰამბურგს" უარი რომ უთხრა უკვე მოგახსენეთ, არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მან "ბაიერნიც" უარით გაისტუმრა. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვან დერ ვაარტმა გერმანულ გრანდში გადასვლა რატომ არ ისურვა. რა თქმა უნდა, მას სწორედ ესპანეთის ჩემპიონატში ასპარეზობა უნდა. კლუბის არჩევისას ფეხბურთელის ცოლი ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობდა. რაფაელის მეუღლე პროფესიით ტელეწამყვანია და მხოლოდ ქმრის სამუშაოზე არ ღელავს. ის საკუთარ პროფესიულ ზრდაზეც ფიქრობს და იმ ქვეყანაში გადასვლას მიემხრობა, საიდანაც საინტერესო წინადადებას მიიღებს. "დიარიო ასი" კი ამტკიცებს, რომ ჰოლანდიელი ვარსკვლავის მეუღლემ "ტელემადრიდიდან" არაჩვეულებრივი შემოთავაზება მიიღო. მას საფეხბურთო შოუს წაყვანის შანსი მიეცა. პროექტის თანახმად, გადაცემა ყოველ კვირას, პრიმერადივიზიონური ტურების დასრულების შემდეგ გავა ეთერში. ამ საკითხზე ყურადღება იმიტომ გავამახვილეთ, რომ ვან დერ ვაარტი ცოლთან შეუთანხმებლად ერთ ნაბიჯსაც არ დგამს და თუ "ტელემადრიდის" წინადადებით მოიხიბლება, ესპანეთში გადაბარგებას წინ ვერაფერი აღუდგება. ამ შემთხვევაში საკითხავი მხოლოდ ის იქნება, ვის დარჩება ნიჭიერი მოთამაშე, "რეალს", თუ "ატლეტიკოს".



გუშინდელი მარკა: გაზეთი პირველსავე გვერდზე იუწყება, რომ რეალმა ვან დერ ვაარტი გაინაღდა

გადადგომა

# ბარსელონა სისხლისგან იცლება

## ლაპორტას უახლოესი გარემოცვა განუდგა, კატალონიური გრანდის დირექტორატი ცხრა კაცმა დატოვა


ჟოან ლაპორტას მარტო იოჰან კრუიფილა შემორჩა

"ბარსელონაში" ვნებათაღელვა არ ცხრება. **ჟოან ლაპორტას** პრობლემების შესახებ წინა დღეებში ამომწურავად ვისაუბრეთ. კარგად მოგეხსენებათ, რომ კატალონიური გრანდის უმაღლესი ხელისუფლის წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს. კლუბის საზოგადოების წევრთა უმრავლესობა მის გადადგომას ითხოვს. უკიდურესად უკმაყოფილო დამოკიდებულება რეფერენდუმზეც დაფიქსირდა. სენიორ ჟოანის წასვლას გამოკითხულთა 60-მა პროცენტმა მისცა ხმა. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი თანამდებობიდან წასვლას არ ჩქარობს. იმპიჩმენტისთვის ოპოზიციას ხმათა 2/3 სჭირდებოდა.

ერთი შეხედვით, დაპირისპირებულ მხარეებს პაუზა უნდა აეღოთ და ემოციები დროებით მაინც უნდა დამცხრალიყო, მაგრამ ნურას უკაცრავად, კონფრონტაცია კიდევ უფრო გაღრმავდა. "ბარსელონა" სისხლისგან იცლება. არ ვაჭარბებთ, კატალონიური გრანდის დირექტორატს მაღალჩინოსნები ერთმანეთის მიყოლებით ტოვებენ. გუშინ ესპანეთის დროით 14:00 საათზე დირექტორატის რიგგარეშე სხდომა გაიმართა. დაუჯერებელია, მაგრამ შეხვედრამ თითქმის რვა საათს გასტანა. ბუნებრივია, გუნდის მმართველებმა შექმნილი ურთულესი სიტუაცია განიხილეს და გამოსავლის პოვნა ცადეს. დირექტორების ერთმა ნაწილმა ლაპორტას დაუყოვნებლივი გადადგომისკენ მოუწოდა. პრეზიდენტისგან მათ კატეგორიული უარი მიიღეს. ამის შემდეგ სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. სენიორ ჟოანი "რადიო კადენა სერისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამაყად ამბობდა, დირექტორატის 17 წევრიდან 16 მხარს მიჭერსო. წუხელ კი გაირკვა, რომ "ბარსას" შეფი ცრუ ილუზიებით იკვებებოდა. გაჯიუტებული პრეზიდენტის ჭკუაზე მოსაყვანად დირექტორატიდან 8 მაღალჩინოსანი წავიდა. მათ შორისაა "ბარსელონის" სამი ვიცე-პრეზიდენტიც. საგულისხმოა, რომ ბატონ ლაპორტას მისი გუნდის უახლოესი წევრი **ფერან სორიანოც** განუდგა. არადა, ეკონომიკური განხრის ვიცე-პრეზიდენტი გუშინდლამდე აცხადებდა, რომ პრეზიდენტის იმპიჩმენტის მოთხოვნა არაკანონიერია. როგორც ჩანს, სენიორ ფერანმა საზოგადოების ზეწოლას ვერ გაუძლო და უახლოეს მეგობარს ზურგი შეაქცია. მართალია, სორიანო თანამდებობიდან არ გადამდგარა, მაგრამ ის პრეზიდენტის უპირველეს ოპონენტად იქცა. მის გადაწყვეტილებას კიდევ რამდენიმე დირექტორი ელოდება, თუ სორიანო გადადგება, ისინიც დატოვებენ თანამდებობებს.

ექსპერტების ვარაუდით, ლაპორტას სიჯიუტე დიდ ხანს არ გასტანს. უახლოეს ერთ თვეში "ბარსელინის" აქციონერთა და საზოგადოების წევრთა გაფართოებული ასამბლეა უნდა გაიმართოს. ასამბლეა ყოველწლიურად ტარდება. წესით, ამ შეხვედრაზე სულ სხვა საკითხები უნდა განხილულიყო, მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, დღის წესრიგში, ალბათ, ორად ორი საკითხი დადგება, ლაპორტასთვის უნდობლობის გამოცხადება და რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა.

მეფე შიშველია! თამამად შეიძლება ითქვას, რომ ლაპორტას სკამი შეირყა. მას მხარდამჭერი, ფაქტობრივად, არ დარჩა. ერთადერთი კაცი, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტს მხარდაჭერას უცხადებს **იოჰან კრუიფია**. წუხელ ლეგენდარულმა ჰოლანდიელმა საგანგებო პრესკონფერენცია გამართა და ასეთი რამ განაცხადა: *"ის, რაც ახლა "ბარსელონაში" ხდება უკიდურეს შეშფოთებას იწვევს. პირდაპირ და დაუფარავად ვამბობ, ამ დაპირისპირების პირობებში მოგებული არავინ დარჩება. ჩვენი კლუბი სერიოზულად დაზარალდება. მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება ჩვენკენაა მიპყრობილი. ყველა ხედავს, რომ დირექტორატში განხეთქილებაა. ლაპორტას ოპონენტების რადიკალურ ქმედებებსაც ყველა მშვენივრად ხედავს. ძალიან კარგად მესმის, დემოკრატია უდიდესი მონაპოვარია, მაგრამ ადამიანმა რაციონალიზმი არ უნდა დაივიწყოს. ჩემი აზრით, ახლა პრეზიდენტის გადაყენება და რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა დამღუპველი იქნება. ახალ ხელისუფლებას დრო არ ეყოფა იმისთვის, რომ მომავალი სეზონისთვის გუნდი მოამზადოს. თუ სასწრაფოდ არ დავმშვიდდებით და გონს არ მოვეგებით, ახალ სეზონსაც ჩავაგდებთ. ძალიან ცუდი წინათგრძნობა მაქვს. პრინციპში ამას წინათგრძნობაც არ ჰქვია, ფეხბურთმა საკმაოდ დიდი გამოცდილება შემძინა და სწორედ ეს გამოცდილება მალაპარაკებს. დღეს "ბარსელონას" ერთიანობა სჭირდება. "კამპ ნოუს" ბალახის მჭრელით დაწყებული და პრეზიდენტით დამთავრებული ყველა ერთად უნდა დავდგეთ. ნუთუ ყველას დაგვავიწყდა ის შეცდომები, რომლებიც 25 წლის წინ დავუშვით. გასაგებია, მას შემდეგ მეოთხედი საუკუნე გავიდა, მაგრამ იმდენი მეხსიერება მაინც უნდა გვქონდეს, რომ ერთი და იგივე შეცდომა ორჯერ არ დავუშვათ. მოკლედ, დაპირისპირებულ მხარეებს კეთილგონიერებისკენ მოვუწოდებ. მთავარია, "ბარსელონის" ინტერესები დავიცვათ. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ ლაპორტა უნდა გადადგეს, ობსტრუქციებისთვის უკეთესი დრო უნდა შეარჩიოს."*

სტატია დასაბეჭდად მზად გვქონდა, როცაა გვიან ღამით ახალი ინფორმაცია გავრცელდა. ფერან სორიანომ ბევრი იფიქრა და თანამდებობა დატოვა. ასე რომ, "ბარსელონის" დირექტორატიდან ერთ დღეში ერთბაშად ცხრა კაცი წავიდა. აი, მათი ჩამონათვალიც: **ალბერტ ვისენსი, ფერან სორიანო, მარკ ინგლა, ევარისტ მურატა, ტონი როვირა, შავიერ კამბრა, კლაუდია ვივეს ფიერო, ხოსეპ ლუის ვილიასეკა** და **სანტიაგო ორენესი**.

2003 წლის 15 ივ[illegible]სს ჟოან ლაპორტამ საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა 52 პროცენტი მოიპოვა და **ჟოან გასპარის** სავარძელში მოკალათდა. მაშინ, ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ლაპორტა მისი წინამორბედის ბედს გაიზიარებდა. მართლა როგორ ჰგავს ამ ორი ადამიანის ბედი ერთმანეთს. ხუთი წლის წინ გასპარსაც აუმხედრდნენ და იძულებული გახადეს რიგგარეშე არჩევნები გაემართა. არჩევნები, რომელიც მან პირწმინდად წააგო. მიმომხილველებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამჟამინდელ პრეზიდენტსაც მოუწევს უკან დახევა, მაგრამ თუ მაინც არ დაიხევს, მაშინ ასამბლეა მიუთითებს კარისკენ. მოკლედ, ესპანური პრესა დარწმუნებულია, რომ სენიორ ჟოანის დღეები დათვლილია. კრუიფის გულის ტკივილს არავინ იზიარებს. სიძულვილი იმდენად დიდია, რომ პაციფისტური მოწოდებები არავის დაამუხრუჭებს.

**გვერდი მოამზადა**
**ილია ნიკოლაიშვილმა**


ბარსელონის გადამდგარი დირექტორები

ეროვნული ბიბლიოთეკა

სატრანსფერო საგა

# ინტერი 10 მილიონზე ავიდა

## ჩელსი უკანდახევას არ აპირებს

"ინტერი" მზადაა, **ფრენკ ლემპარდის** სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. ორშაბათს "არისტოკრატებმა" მილანელთა 8-მილიონიანი შეთავაზება უარყვეს. **ჟოზე მოურინიო** დანებებას არ აპირებს. მან ლონდონელებს მორიგი წინადადება გაუგზავნა. "ინტერის" პრეზიდენტი **მასიმო მორატი** მზადაა, მოლაპარაკებებს პირადად გაუძღვეს.

"ჩელსის" ხელმძღვანელობა ჯიუტად იმეორებს, რომ ლემპარდი არ იყიდება. ფრენკს ლონდონურ კონტრაქტში ერთი წელი აქვს დარჩენილი. მას ახალი ხელშეკრულება შესთავაზეს, მაგრამ ფეხბურთელი არც კონტრაქტის ხანგრძლივობამ დააკმაყოფილა და არც ფინანსურმა პირობებმა. სატრანსფერო კანონმდებლობის თანახმად, ლემპარდს გუნდიდან აბარგება შეუძლია. მას, კომპენსაციის სახით, იმ თანხის გადახდა მოუწევს, რასაც "ჩელსი" დარჩენილი ერთი წლის განმავლობაში ხელფასის სახით გადაუხდიდა. ეს თანხა 10 მილიონზე ორჯერ ნაკლებია.

მაშ, რატომ იხდის "ინტერი" ამდენს, თუ შეუძლია, რომ ფეხბურთელი ნახევარ ფასში გადაიბიროს? მიზეზი მარტივია: "ინტერს" "ჩელსისთან" ურთიერთობის გაფუჭება არ სურს. 10-მილიონიანი შეთავაზება ლონდონელთა მიმართ პატივისცემას უსვამს ხაზს. იტალიელებს იმედი აქვთ, რომ ლემპარდს ხელოვნურად არ დააბრკოლებენ.

მაგრამ "ჩელსის" ადვოკატები სატრანსფერო კანონმდებლობის ერთ დეტალზე ამახვილებენ ყურადღებას. დიახ, ფეხბურთელს შეუძლია კონტრაქტის გამოსყიდვა, მაგრამ ის ვალდებულია, კლუბს სეზონის დამთავრებამდე 15 დღით ადრე შეატყობინოს, რომ წასვლას აპირებს. ლემპარდს ეს არ გაუკეთებია. ამიტომ ახლა, კონტრაქტის განყვეტის შემთხვევაში, სასჯელი ელოდება.

ბრიტანეთში მსგავი პრეცედენტი უკვე არსებობს. ორი წლის წინ, შოტლანდიელმა **ენდი ვებსტერმა** "ჰარტსიდან" "ვიგანში" გადასვლა დააპირა. მის ხელშეკრულებაშიც ერთი წელი იყო დარჩენილი და ედინბურგული კლუბისათვის არც მას უთქვამს, რომ ინგლისში გადაბარგება სურდა. ვებსტერის საქმეს ფიფას სააპელაციო კომისია თითქმის ერთი წლის განმავლობაში იხილავდა. საბოლოოდ, მას ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, "ვიგანს" კი "ჰართსის" სასარგებლოდ დამატებით 150 ათასი გირვანქის გადახდა დააკისრეს.

"ინტერს" საქმის გართულება არ სურს. ის "ჩელსის" სარფიან გარიგებას სთავაზობს, რათა უთანხმოება თავიდან აიცილონ. ლემპარდს შეუძლია, ფიფას პრეზიდენტის, **ზეპ ბლატერის** მხარდაჭერის იმედი იქონიოს. ბლატერს მიაჩნია, რომ თუ ფეხბურთელს გუნდიდან წასვლა სურს, ის ძალით არ უნდა დააკავონ, რადგან თანამედროვე ფეხბურთი მონათმფლობელურ კანონებს არ იცნობს. ბლატერი ფიფას სთავაზობს სატრანსფერო კანონმდებლობის კიდევ უფრო გამარტივებას.

"ჩელსი" უკანდახევას არ აპირებს. აი, კლუბის თავმჯ;დომარის, **ბრუს ბაკის** გუშინდელი კომენტარი: *"ფრენკის უფლებაა, არ მოაწეროს ხელი მისთვის შეთავაზებულ ახალ კონტრაქტს, მაგრამ ამავე დროს, დიდი იმედი გვაქვს, რომ ის პატივს სცემს ძველი ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, რომლის თანახმად, ის "ჩელსიში" კიდევ ერთი წელი უნდა დარჩეს. ჩვენი წინადადება ძალაშია. თუ ის გადაიფიქრებს, შეუძლია, ნებისმიერ წუთს მოითხოვოს მასზე ხელის მოწერა."*




ფრენკ ლემპარდი

ლივერპული

# ბენიტესმა ვილია გადაიფიქრა

## მერსისაიდელების მწვრთნელი სხვა ვალენსიელს იყიდის



დავიდ ვილია ვალენსიელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია

ორი დღის წინ **რაფა ბენიტესმა დავიდ ვილია** მოიკითხა. "ვალენსიამ" საუკეთესო თავდამსხმელი 32 მილიონ გირვანქად შეაფასა. "ლივერპულის" თავკაცს ამხელა ფინანსური რესურსები არ გააჩნია. ამიტომ ვილიას ტრანსფერზე ხელი აიღო და მისი თანაგუნდელის, **დავიდ სილვას** შესაძენად დაიწყო ზრუნვა. ვალენსიელები 22 წლის სილვას სანაცვლოდ 16 მილიონ გირვანქას ითხოვენ. "სანის" ცნობით, მოლაპარაკებები ნაყოფიერად მიმდინარეობს. მომდევნო კვირის დასაწყისში გარიგებაც გაიჩარხება.

"ლივერპულში" გადასვლამდე, ბენიტესმა "ვალენსიაში" სამი სეზონი გაატარა. ის კლუბის სამზარეულოს ჩინებულად იცნობს. მწვრთნელმა იცის, რომ "ღამურები" საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას აპირებენ. მათ ახალი სტადიონის აშენება სურთ. "ვალენსიას" მთელი თავისუფალი სახსრები აქეთ აქვს მიმართული. ამიტომ შემადგენლობის გასაძლიერებლად, ჯერ მოთამაშეთა გაყიდვა უხდება.

მაგრამ როგორი ფინანსური პრობლემებიც არ უნდა დაუდგეს გუნდს, "ღამურები" დავიდ ვილიას არ დათმობენ. მისი გაყიდვა გულშემატკივრების უკმაყოფილებას გამოიწვევს. ვილიას აბარგება იმის ნიშანი იქნება, რომ "ვალენსია" არც ამ სეზონში აპირებს მაღალი მიზნებისათვის ბრძოლას. დავიდს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში გაყიდიან, თანაც "ვალენსიისათვის" სარეკორდო თანხად.

აქვე გეტყვით, რომ "ვალენსიის" ახალი თავკაცი **უნაი ემერი** (ის 36 წლის ასაკში, პრიმერა დივიზიონის ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელია) დავიდ ვილიას ახალ კონტრაქტს შესთავაზებს. შეთანხმების შემთხვევაში, ფეხბურთელის კვირეული ხელფასი 100 ათასი ევროთი განისაზღვრება.

მწვრთნელი

# კეირუში დაინიშნა

## სერ ალექსმა ლივერპულის ყოფილ მწვრთნელს დაადგა თვალი

**კარლუშ კეირუში** პორტუგალიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. ამ ინფორმაციას პორტუგალიური სააგენტოები ავრცელებენ. ოფიციალური კომენტარები ჯერ არ გაკეთებულა. არც ისაა ცნობილი, თუ როდის შედგება ახალი მწვრთნელის პრეზენტაცია. გაზეთების ცნობით, კეირუშმა ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მათივე მტკიცებით, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია "მანჩესტერ იუნაიტედს" კომპენსაციის სახით, 1 მილიონ გირვანქას გადაურიცხავს. სეუ კარლუშს წელიწადში 1.1 მილიონ გირვანქას დაუნიშნავენ. "მანჩესტერ იუნაიტედში" დარჩენის შემთხვევაში, მისი ანაზღაურება 1.5 მილიონი იქნებოდა.

"იუნაიტედი" კეირუშის შემცვლელს ეძებს. "სანის" ცნობით, უმთავრესი კანდიდატი **პაკო აიესტერანია**. ის **რაფა ბენიტესის** ყოფილი ასისტენტი გახლავთ. აიესტერანი ბენიტესთან ერთად "ვალენსიაში" და შემდეგ "ლივერპულში" მუშაობდა, თუმცა გასული წლის სექტემბერში ძველ კოლეგებს შორის უთანხმობა მოხდა. მეორე მწვრთნელი მერსისაიდულ კლუბს გამოეთხოვა და "ბენფიკაში" გაემგზავრა.

აიესტერანამდე, მანჩესტერელთა ერთ-ერთი მწვრთნელის, **ბრაიან მაკლეირის** კანდიდატურა განიხილეს. გაიჟღერა "იუნაიტედის" ყოფილი ცენტრალური მცველის, **ლორან ბლანის** სახელმაც. ეს უკანასკნელი "ბორდოს" მთავარი მწვრთნელია. მან გუნდი გასული წლის ზაფხულში ჩაიბარა და პირველსავე სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა.



სერ ალექს ფერგიუსონი
კარლუშ კეირუშის შემცვლელს ეძებს

მოსალოდნელი ტრანსფერი

# გლები: არსენალი 21 მილიონს ითხოვს

## ბრიტანული ტაბლოიდების მტკიცებით, საქმეში ბაიერნი ჩაერია

**ალექსანდრ გლები** "ბარსელონაში" მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაირიცხება, თუ კატალონიელები 21 მილიონ ევროს გადაიხდიან. ეს ინფორმაცია გუშინდელ "მირორში" ამოვიკითხეთ. "არსენალს" მადა გაეზარდა. "მირორის" მტკიცებით, მიზეზი "ბაიერნის" გააქტიურებაა. მიუნხენურმა გიგანტმა გლები მოიკითხა. მან "მეთოფეებს" ბელორუსი ნახევარმცველის სანაცვლოდ, 21 მილიონი ევრო შესთავაზა. ბარსელონელთა წინადადება ასეთია: 17 მილიონი ევრო დაუყოვნებლივ და 4 მილიონი მომდევნო ორი წლის განმავლობაში იმის მიხედვით, თუ რამდენ მატჩს ჩაატარებს გლები და რამდენ ტიტულს დაისაკუთრებს "ბარსა".

ინგლისური სააგენტოების თანახმად, გლებმა კატალონიელებთან კონტრაქტის პირობები უკვე შეათანხმა. 27 წლის ფეხბურთელს ოთხწლიან ხელშეკრულებას უფორმებენ. მისი ხელფასის ოდენობა უცნობია. გლები კლუბების შეთანხმებას ელოდება. "არსენალის" ჭირვეულობის მიუხედავად, ვარაუდობენ, რომ გარიგება აუცილებლად შედგება.

გლების აბარგება ლონდონელებს რთულ მდგომარეობაში აყენებს. გუნდი კიდევ ერთი მაღალი კლასის ნახევარმცველის გარეშე რჩება. სეზონის დასრულებისთანავე, **მატიო ფლამინიმ** "მილანს" მიაშურა. "პანათინაიკოსში" გადადის ბრაზილიელი **ჟილბერტო სილვა**. ბერძნები მის ტრანსფერში 2.8 მილიონ ევროს იხდიან. ჟილბერტოსა და გლების ტრანსფერებში აღებული თანხით, ვენგერს შემადგენლობის გაძლიერება მოუწევს. უცნობია, რომელი ფეხბურთელების შეძენას აპირებს არსენ ვენგერი.




ალექსანდრ გლები

### კლასნიჩი: ოთხი წლით ნანტში

**ხორვატი** თავდამსხმელი **ივან კლასნიჩი** "ნანტში" გადავიდა. მან ფრანგულ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტზე მოაწერა ხელი. 28 წლის ფორვარდს "ვერდერთან" კონტრაქტი ივნისში დაუმთავრდა. გერმანელებმა მისი გაგრძელება შესთავაზეს, მაგრამ კლასნიჩმა ცივი უარი განაცხადა. ფეხბურთელმა გასულ სეზონში მხოლოდ 16-ჯერ ითამაშა და შვიდი გოლი შეაგდო. კლასნიჩს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები ჰქონდა. მას თირკმელი გადაუნერგეს. თანაც ორჯერ.

პირველად, ივანის დონორობა დედამ იკისრა. დედის თირკმელის გადანერგვამ უშედეგოდ ჩაიარა. შემდეგ მას მამის ორგანო გადაუნერგეს და ფეხზე დააყენეს. კლასნიჩმა არა მხოლოდ "ვერდერის" შემადგენლობაში ითამაშა, არამედ ხორვატიის ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზეც გაემგზავრა და იქ ორი გოლი გაიტანა. კლასნიჩი პირველი ფეხბურთელი გახდა, რომელმაც ევროპის პირველობაზე ორგანოს გადანერგვის შემდეგ იასპარეზა. კლასნიჩი "ვერდერიდან" სკანდალით წამოვიდა. მან სასამართლოში უჩივლა კლუბის ექიმებს, რომლებმაც ავადმყოფ თირკმელთან დაკავშირებული მისი პრობლემები დროულად ვერ ამოიცნეს.

### ბენტლი ვილასაც მოუნდა

**"ასტონ ვილამ"** "ბლექბერნს" **დევიდ ბენტლის** გაყიდვა შესთავაზა. ბირმინგემელები მზად არიან, ფეხბურთელის სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. "ვილამ", ეს-ესაა, ჩელსელი ნახევარმცველი **სტივ სიდველი** შეიძინა. **მარტინ ონილის** მორიგი სამიზნე ბენტლია. ინგლისური სააგენტოები ფიქრობენ, რომ ონილმა დააგვიანა. ბენტლის "ტოტენჰემიც" ეპატიჟება. "მამლები" "ბლექბერნთან" მოლაპარაკებებს უკვე დიდი ხანია, მართავენ. ზოგიერთი წყაროს ცნობით, ბენტლის "ტოტენჰემში" ტრანსფერის საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

რაც შეეხება სიდველს, "ასტონ ვილას" მისი შეძენა 5 მილიონი გირვანქა დაუჯდა. ფეხბურთელს კონტრაქტის გაფორმების სანაცვლოდ სოლიდური თანხა გადაუხადეს. თანხის ოდენობა არ ხმაურდება, თუმცა მის სანაცვლოდ, სიდველმა უარი განაცხადა იმ მაღალ ხელფასზე, რომელსაც ლონდონში უხდიდნენ. "ჩელსიში" მისი კვირეული ანაზღაურება 65 ათასი გირვანქა იყო. "ვილაში" ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელს 50 ათასს უხდიან. ბირმინგემელებს ძლევანდელი სახელფასო სისტემის მოშლა არ სურთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი

# მანჩინი, უკვე ოფიციალურად

## ბურდისოს გზა პარიზისკენ მიდის?

"ინტერმა" ოფიციალურად დაადასტურა, რომ "რომადან" **ამანტინო მანსინი** იყიდა. ამის თაობაზე პირველი განცხადება "ნერაძურის" გენერალურმა მენეჯერმა **გაბრიელე ორიალიმ** გააკეთა და იქვე დასძინა, რომ ბრაზილიელ გარემარბთან 4-წლიანი კონტრაქტი გაფორმდება. რაც შეეხება გარიგების საფასურს, ორიალიმ კომენტარისგან თავი შეიკავა. თუმც მედია ირწმუნება, რომ "ინტერს" ეს სიამოვნება 13 მილიონი ევრო დაუჯდა, ფეხბურთელისთვის კი წლიურად 3.5 მილიონი ევროს გადახდა მოუწევს. დასკვნით მოლაპარაკებებში "რომას" სპორტული დირექტორი **დანიელე პრადე** და მისი ინტერელი კოლეგა **მარკო ბრანკა** მონაწილეობდნენ. მხარეებს შეთანხმება არ გასჭირვებიათ. გუშინ, მილანში საგანგებოდ ჩაფრინდა მანსინის აგენტი **ჟილმარ ველოზუც**, რომელსაც კონტრაქტის პერსონალური დეტალები უნდა დაეზუსტებინა...

ამრიგად, უკვე შეგვიძლია, **ჟოზე მოურინიოს** პირველი ტრანსფერი მივულოცოთ. "ინტერში" მისვლის პირველსავე დღეს, მან კატეგორიულად დასვა მაღალი კლასის გარემარბის შეძენის საკითხი. და სწორედ იმ დღიდან დაიწყო სპეკულაციები 27 წლის მანსინის თაობაზეც, რომელსაც "ჯალოროსის" მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტისთან** ურთიერთობა გაუფუჭდა. სხვათა შორის, ტრანსფერის განხორციელებაში ამანაც ითამაშა გარკვეული როლი.

ახლა **ფრენკ ლემპარდის** ჯერია. დიახ, მიუხედავად "ჩელსის" მესვეურთა არა ერთგზის განცხადებისა, რომ გუნდის ლიდერი "სტემფორდ ბრიჯზე" რჩება, ფეხბურთელის აგენტი **სტივ კატნერი** თავისას არ იშლის - ნურას უკაცრავად, ტრანსფერი ჯერაც განხორციელებადიაო...

მოურინიოს სიაში რჩება **რიკარდო კვარეშმაც**. "პორტუ" ფასზე ჭირვეულობს. "ინტერის" ბოსები ფიქრობენ, რომ 25 მილიონი ევრო ნამეტანია. როგორც ხედავთ, ჟოზეს სატრანსფერო სტრატეგია გარემარბებზეა აგებული. მისი ფავორიტი სქემა "ნერაძურიშიც" 4-4-2 იქნება.

■ ■ ■

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ **ნიკოლას ბურდისომ**, შეიძლება, პარიზისკენ აილოს გეზი. მოურინიოს არგენტინელი არ სჭირდება. ჯერჯერობით, დაცვის ცენტრში მას **ივან კორდობა, ნელსონ რივასი, ვალტერ სამუელი** და **მარკო მატერაციც** ეყოფა. გასაჭირი რომ იყოს, **კრისტიან კივუც** იქაა. 27 წლის ბურდისოს კი მათთან კონკურენცია ყოველთვის უჭირდა და ხშირ შემთხვევაში, "მეხანძრის" როლით უწევდა დაკმაყოფილება. ესეც არ იყოს, მოურინიო ალფრთოვანებით არ შეხვედრია ბურდისოს წადილს, პეკინის ოლიმპიადაზე ითამაშოს...



ამანტინო მანსინი

მის ტრანსფერზე "ფიორენტინა", "იუვენტუსი" და "ვილიარეალიც" მუშაობდნენ, მაგრამ თუ "ეკიპს" დავუჯერებთ, ახლა ყველაზე მეტი შანსი "პარი სენ-ჟერმენს" აქვს. პარიზელები ცენტრალურ მცველს ეძებენ. ცნობილი მიზეზების გამო, **ლილიან ტურამთან** გარიგება არ შედგა. ასევე ჩაიშალა "ლე მანის" სერბი მცველის **მარკო ბასას** ტრანსფერიც. ფეხბურთელმა იმხელა ხელფასი მოითხოვა, პსჟ-ს მესვეურებს დრო აღარ დაუკარგავთ. ბურდისოს შემთხვევაში, გართულებებს არ ელოდებიან. არ არის გამორიცხული, არგენტინელმა მცველმა პარიზს არენდითაც მიაშუროს.

დორტმუნდი

# ტიაგო ბორუსიას სამიზნეში

სერია A-დან ბუნდესლიგაში ტრანსფერები გახშირდა: შარშან **ლუკა ტონი**, წლეულს **ანდრეა ბარძალი** და **კრისტიანო ძაკარდო**, რომელთაც "ვოლფსბურგს" მიაშურეს. ახლა ამბობენ, "მგლები" კიდევ ერთ იტალიელს უმიზნებენო, მაგრამ ფეხბურთელის ვინაობა არ კონკრეტდება. "ვოლფსბურგში" არა და, სერია A-დან კიდევ ერთი მოთამაშე, ამჯერად **ტიაგო მენდეში** აპირებს დორტმუნდის "ბორუსიაში" გადასვლასო, წერს "კალჩომერკატო".

ეს ის ტიაგოა, "იუვენტუსში" რომ ვერ მოეწყო. **კლაუდიო რანიერიმ** პორტუგალიელი "ლიონიდან" დიდი ზარ-ზეიმით გადაიყვანა, მაგრამ თითქოს ნიჭიერ ნახევარმცველს არაფერი გამოუვიდა. "იუვენტუსი" ახალ შუახაზელებს ეძებს. სიაში არიან **კრისტიან პოულსენი**, რომელზეც შეთანხმება თითქმის მიღწეულია, და ძალაში რჩება **დეიან სტანკოვიჩის** ვარიანტიც. რა თქმა უნდა, ასეთ სიტუაციაში ტიაგოს ტურინში აღარ დაედგომება...

"იუვენტუსი" დორტმუნდულ მხარესთან მოლაპარაკებებისთვის მზადაა. "ქალბატონი" ფეხბურთელს 13 მილიონ ევროდ აფასებს. ნათელია, რომ "ბორუსიას" ფინანსური გასაჭირიდან გამომდინარე, ამ თანხის გადახდა იოლი არ იქნება. "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, ყოფილი გერმანული გრანდის წარმომადგენლები ამ დღეებში ტურინს ეწვევიან და ფასზე მორიგებას შეეცდებიან. "ბორუსიას" წინადადება ასეთია: 8 მილიონი ევრო ახლავე, დანარჩენი კი 3 წლის განმავლობაში, ნაწილ-ნაწილ. ვნახოთ, როგორი იქნება შემხვედრი წინადადება.





ტიაგო მენდეში

ბაიერნი

# ვინ იქნება კლინსმანის კაპიტანი?

## ბეკენბაუერი სიურპრიზს ელოდება. ბაიერნი გომესისთვის თავს აღარ შეიწუხებს



მარკ ვან ბომელი

**იურგენ კლინსმანს** უყვარს ორიგინალური გადაწყვეტილებები. შესაძლოა, ის ორიგინალური იყოს "ბაიერნის" ახალი კაპიტნის არჩევის დროსაც. მიუხედავად იმისა, რომ იურგენი დამოუკიდებელი პერსონაა, ალბათ, მოუწევს კლუბის პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერის** აზრის გათვალისწინება თუ არა, მასთან კონსულტაციები მაინც. ბოლოს კი გადაწყვეტილებას თავად მიიღებს. როგორც "კაიზერ-ფრანცი" ამბობს, საკაპიტნე კანდიდატურების მხრივ, "ბაიერნს" ნაკლებობა ნამდვილად არ აქვს. ისე კი, მართლა ძნელია, **ოლივერ კანის** მერე შეარჩიო ფეხბურთელი, რომელსაც მისი ქარიზმის ნახევარი მაინც ექნება. რაღაც ქარიზმა კი უთუოდ საჭიროა.

ბეკენბაუერის აზრი მოვისმინოთ: *"ვინც არ უნდა იყოს ახალი კაპიტანი, ეს ვერ იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ტიტულისთვის ბრძოლაში. უბრალოდ, ეს უნდა იყოს გარკვეული სიგნალი მეტოქისთვის, რომელიც ყოველთვის უყურებს და ანგარიშს უწევს იმას, თუ ვინ არის მოწინააღმდეგის გამორჩეული სახე. ამიტომ, მე ვფიქრობ, კაპიტანი ყველასთვის პატივსაცემი ფიგურა უნდა იყოს, ისეთი, როგორებიც თავის დროზე კარლ-ჰაინც რუმენიგე, პაულ ბრაიტნერი და შტეფან ეფენბერგი იყვნენ. ის მისაღები უნდა იყოს გუნდის თითოეული წევრისთვის და, ნუ დაგვავიწყდება, ფანებისთვისაც"*, - აცხადებს ბეკენბაუერი "ბილდთან" ინტერვიუში.

მას მაგალითად მოჰყავს სხვა ევროპული კლუბები. "ჩელსიში" კაპიტანი **ჯონ ტერია**, "ლივერპულში" **სტივენ ჯერარდი**, "მანჩესტერ იუნაიტედში" **რიო ფერდინანდი**... ეს ბიჭები დიდი პიროვნებებიც არიანო, ამბობს ჰერ ფრანცი და ამისკენ მოუწოდებს კლინსმანსაც. თუმც არ გვგონია, "ბაიერნის" თავკაცს განსხვავებული ხედვა ჰქონდეს.

"ბილდის" მტკიცებით, ბეკენბაუერის ფავორიტი **ფილიპ ლამია**, კლინსმანი კი **მარკ ვან ბომელს** ლობირებსო. კანდიდატთა შორის ყოფილან **ლუსიოცა** და **მარტინ დემიკელისიც**.

*"ისინი ჩამოყალიბებული პროფესიონალები არიან, - დასძენს ბეკენბაუერი, - მაგრამ მოდით, საბოლოო გადაწყვეტილებას დაველოდოთ. იქნებ, იურგენმა რაღაც სიურპრიზიც შემომთავაზოს, მეც და თქვენც გაკვირვებული დაგვტოვოს"*.

ამასობაში, კლინსმანი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ "ბაიერნს" "შტუტგარტის" ფორვარდ **მარიო გომესზე** ხელი ჯერაც არ აუღია. მიუნხენელებმა ბადენ-ვიურტემბერგში შეტყობინებაც გაგზავნეს და კონკრეტული წინადადებაც, მაგრამ პასუხი ჯერ არ ისმის. თუკი "შტუტგარტი" თავს იფასებს, რეკორდმაისტერი ახალ-ახალი კონტაქტებით მეტად ნამდვილად აღარ შეწუხდება. მარტივად რომ ვთქვათ - გინდათ გომესის გაყიდვა? ვყიდულობთ, არ გინდათ და კარგად ბრძანდებოდეთ!

*"თუ შტუტგარტული კლუბის ხელმძღვანელობა გადაიფიქრებს და გადაწყვეტს გომესის გაყიდვას, მაშინ ჩვენ მზად ვიქნებით მოლაპარაკებებისთვის. სხვა წინადადება ჩვენ არ გვაქვს. ველოდებით პასუხს"*, - აცხადებს კლინსმანი.

მობილურებზე გავრცელებული აკრძალვის გარდა, კლინსიმ კიდევ ერთი სიახლე დანერგა. "ბაიერნის" ფეხბურთელებს ტრადიციული შეკრებები აღარ ექნებათ. თამაშისწინა ღამეს ისინი ოჯახებში გაატარებენ.

შალკე

# ახალი მეკარე საჭირო არ არისო...

## ნოიერს შიობერი შეცვლის. რაფინია ფიორენტინაში?

"შალკესთვის" წინასასეზონო მზადება ცუდად დაიწყო. პირველივე ამხანაგურ მატჩში (6:0) ძირითადმა მეკარემ **მანუელ ნოიერმა** კოჭის ძვალი გაიტეხა. "ხუმარების" ახალი მწვრთნელი **ფრედი რუტენი** შეშფოთებულია. ნოიერი დაახლოებით ორი თვე ვერ ითამაშებს. ნიჭიერ მეკარეს ოპერაცია უკვე გაუკეთეს. ქირურგიული ჩარევა წარმატებული გამოდგა. "შალკეს" ექიმის შეფასებით, თუ აღდგენითი პროცესი შეუფერხებლად ჩაივლის, მანუელს სექტემბრის შუა რიცხვებისთვის შეეძლება მოედანზე დაბრუნება. ამ დროისთვის, ბუნდესლიგა ერთი თვის დაწყებული იქნება...



მანუელ ნოიერი

ლოგიკურია თუ არა, რომ "შალკემ" ნოიერის შემცვლელის ყიდვაზე იფიქროს? ალბათ, ლოგიკურია, რადგან ბუნდესლიგა ბუნდესლიგად და, წინ ჩემპიონთა ლიგაცაა. მაგრამ რუტენი დარწმუნებულია, რომ ახალი გოლკიპერის ყიდვა საჭირო არ არის. რეზერვში მას ორი მეკარე ჰყავს - **მათიას შიობერი** და **რალფ ფარმანი**. ჰოლანდიელი სპეციალისტი თვლის, რომ ამ ბიჭებს დანაკლისის შევსება შეუძლიათ:

*"ჩვენს განკარგულებაში არიან შიობერი და ფარმანი, ვიტყოდი, შესანიშნავი მეკარეები, რომელთაც შეუძლიათ პასუხისმგებლობის აღება კარის დაცვაზე მანამ, ვიდრე ნოიერი გამოჯანმრთელდება და ძირითადში თამაშს მოახერხებს. ორივეს საკმარისი კლასი აქვს და ჩვენ ამაში ვარჯიშების დროსაც დავრწმუნდით"*, - უთხრა რუტენმა ადგილობრივ ჟურნალისტებს.

შიობერს ბუნდესლიგაში უკვე 219 მატჩი აქვს ჩატარებული. "შალკეს" გარდა, მას "ჰამბურგისა" და "ჰანზას" ღირსებაც დაუცავს. რაც შეეხება ფარმანს, ის გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრების წევრია. გამოცდილების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, აქცენტი 32 წლის შიობერზე გაკეთდება.

*"დიდია ხანია ფეხბურთში ვარ და საკმარისი კვალიფიკაციაც მაქვს საიმისოდ, რათა ჩემი მოვალეობა მაღალ დონეზე შევასრულო. მგონი, ვარჯიშებისას დარწმუნდით იმაში, რომ რუტენს შეუძლია, მენდოს. მანუელის გამო კი გული მწყდება. "შალკეში" იმიტომაც ვარ, რომ გუნდს სწორედ ასეთ სიტუაციებში გამოვადგე"*, - აცხადებს შიობერი.

რაკი "შალკეზე" ვსაუბრობთ, აქვე გეტყვით, რომ იტალიური სააგენტოების ცნობით, "ფიორენტინა" გელზენკირხენელთა მარჯვენა მცველით, **რაფინიათი** დაინტერესებულა. როგორც ფლორენციელთა სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** აცხადებს, "ვიოლა" მზადაა, ბრაზილიელში 12 მილიონი ევრო გადაიხადოს. მაგრამ "შალკე" გარიგებას სკეპტიკურად უყურებს. რუტენი ვერ დათმობს ფეხბურთელს მანამ, ვიდრე ალტერნატივა არ ეყოლება. მას არც ის აწყობს, რაფინია ბრაზილიის ოლიმპიურ ნაკრებში რომაა გამოძახებული.

გვერდი მოამზადა
**გიორგი გელაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნდესლიგა

# ათი გერმანული ტრანსფერი

## 10 ივლისისთვის გერმანიის უმაღლესი დივიზიონის კლუბებმა უკვე 83 მილიონი ევრო დახარჯეს



დორტმუნდის ბორუსიის ახალწვეულები. ქვედა რიგში მარცხნიდან: ჰაინალი, შმელცერი, ბაირამ სადრია და ნური შაჰინი; ზედა რიგში: ნევენ სუბოტიჩი, იურგენ კლოპი, კრუზე, სანტანა და ოვომოიელა

ბუნდესლიგის კლუბებმა 10 ივლისის მდგომარეობით, ტრანსფერებში 83 მილიონი ევრო დახარჯეს. მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ აგვისტოს ფანჯრის დახურვამდე კიდევ არა ერთი გარიგება შედგება. ჯერჯერობით კი, ყურადღებას იპყრობს "ვოლფსბურგის" ხელგაშლილობა, "ვერდერის" მოკრძალება, "ბაიერნის" სიმშვიდე და "დორტმუნდის" ხელმომჭირნეობა. საშუალო დასწრების თვალსაზრისით, დორტმუნდელებს მთელ ბებერ კონტინენტზე ტოლი არ მოეძებნებათ.

ბუნდესლიგის ყველაზე ამბიციურ პროექტს ვოლფსბურგში ამზადებენ. "ბაიერნის" ყოფილმა დამრიგებელმა **ფელიქს მაგათმა** ბავარიული გაქანებით გაშალა ფრთები. მან ორ იტალიელ ფეხბურთელში - **კრისტიანო ძაკარდოსა და ანდრეა ბარძალიში** პალერმოელებს 21 მილიონი ევრო გადაუხადა. "ვოლფსბურგისგან" ამას არავინ ელოდა. საზოგადოება ასეთივე გაოგნებული დარჩა, როგორც ხუთი წლის წინათ, როდესაც გუნდმა "რივერ პლეიტიდან" **ანდრეს დალესანდრო** წაიყვანა.

"მგლებმა" გასული სეზონი შთამბეჭდავად ჩაატარეს. მაგათის შეგირდებმა მეხუთე ადგილი დაიკავეს და უეფას თასზე გავიდნენ. "ვოლფსბურგს" მადა ჭამაში მოუვიდა. გუნდი ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის აპირებს ბრძოლას. ამიტომაც შემადგენლობის გასაძლიერებლად ფულის დახარჯვას კიდევ აპირებს. მწვრთნელს "ფოლკსვაგენის" (კლუბის მფლობელი კომპანია) მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. მაგათი "ბაიერნისთვის" ომის გამოცხადებას აპირებს.

მიუნხენელები ახალი სეზონისთვის ოლიმპიური სიმშვიდით ემზადებიან. **იურგენ კლინსმანი** ბაზრის მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს არ იჩენს, თუმცა ორი ფეხბურთელის დამატება უკვე მოასწრო. ბავარიელთა ახალმა დამრიგებელმა "ჰანოვერში" გაყიდა **იან შლაუდრაფი** და კონტრაქტები გაუფორმა ვერდერელ **ტიმ ბოროვსკისა** და ბენფიკელ **ჰანს იორგ ბუტს**. "ბაიერნმა" ერთიცა და მეორეც უკომპენსაციოდ აიყვანა. თანაც ბოროვსკის ამბავი ჯერ კიდევ იანვარში გადაწყდა.

მიუნხენური გიგანტისთვის ასეთი ხელმომჭირნეობა ჩვეულებრივი ამბავია. გუნდის გენერალური მენეჯერი **ული ჰიონესი** ყოველთვის იმით იწონებდა თავს, რომ სხვა გრანდებისგან განსხვავებით, არასოდეს ხარჯავდა დიდ ფულს და მაინც შთამბეჭდავ შედეგებს აღწევდა. "ბაიერნმა" ტრადიცია გასულ ზაფხულს დაარღვია. მან 72 მილიონი ევრო დახარჯა და ორი ვარსკვლავი, **ლუკა ტონი** და **ფრანკ რიბერი** შეიძინა. გუნდმა მხოლოდ ამ გზით მოახერხა კრიზისის დაძლევა, რომლის შედეგადაც 2006-07 წლების სეზონში, ჩემპიონთა ლიგაში გასვლაც ვერ შესძლო. "ბაიერნი" არ ყიდულობს, მაგრამ არც საუკეთესო ფეხბურთელების გაყიდვას აპირებს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, **ლუკაშ პოდოლსკისა** და **ბასტიან შვაინშტაიგერის** ფასი საგრძნობლად გაიზარდა. ფეხბურთელებს არა ერთი მთხოვნელი ჰყავთ, მაგრამ "ბაიერნის" პოზიცია ურყევია: პოლდიცა და შვაინიც მიუნხენში დარჩებიან.

ტრადიციას არ ღალატობს "ვერდერი". მუსიკოსები მოკრძალებულ, მაგრამ გემოვნებიან გარიგებებს ჩარხავენ. "ვერდერმა" სულ რაღაც 2.5 მილიონი ევრო დახარჯა ავსტრიელი მცველის, **სებასტიან პრიოდლის** ტრანსფერში. ამ უკანასკნელმა ევროპის ჩემპიონატზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. ბრემენელებს კიდევ ორი ახალწვეული ჰყავთ: ბოსნიელი გარემარბი **საიდ ჰუსეინოვიჩი**, რომელიც 900 ათასი ევროდ შეიძინეს და 19 წლის მარცხენა მცველი **ნიკლას ანდერსენი**. ის **თომას შააფთან** თავისუფალი აგენტის რანგში გადაბარგდა.

დორტმუნდის "ბორუსია" ისევ დაკარგული ბრწყინვალების ძიებაშია. კლუბმა გასული სეზონის ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველაზე დაბლა, მე-13 ადგილზე დაასრულა. გასაკვირის არ არის, რომ ის აქტიურ სატრანსფერო კამპანიაშია ჩართული. "დორტმუნდმა" ცენტრალური მცველები - **ფელიპე სანტანა** და **ნევენ სუბოტიჩი**, აგრეთვე ფლეიმეიქერი **ტამაშ ჰაინალი** და მარჯვენა ნახევარმცველი **პატრიკ ოვომოიელა** შეიძინა. ბორუსიელებმა ტრანსფერზე დააყენეს **კრისტიან ვიორნსი, ფილიპ დეგენი** და **სტივ პიენაარი**. რაც მთავარია, გუნდს ახალი მწვრთნელი ჰყავს - **იურგენ კლოპი**. მიმომხილველების აზრით, კლოპს მის წინამორბედ **თომას დოლზე** მძიმე ხვედრი ელოდება.

სხვა გერმანული ტრანსფერებიდან აღსანიშნავია **იენს ლემანის** ბუნდესლიგაში დაბრუნება. ის "შტუტგარტში" ჩაირიცხა და ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. "შალკემ" კი 10 მილიონ ევროდ "ეინდჰოვენის" პერუელი თავდამსხმელი **ჯეფერსონ ფანფანი** შეიძინა. ერთი წლის წინათ, ამ ბიჭს ლონდონის "ჩელსი" ეპატიჟებოდა. როგორც ვთქვით, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე თვენახევარია. ჯერჯერობით კი, დღეისათვის განხორციელებულ 10 საუკეთესო ტრანსფერს გადავავლოთ თვალი:

**შალვა ბიბილაშვილი**

| ფეხბურთელი | საიდან სად | თანხა (ევრო) |
|---|---|---|
| ანდრეა ბარძალი | პალერმო-ვოლფსბურგი | 14 მლნ |
| ჯეფერსონ ფარფანი | ეინდჰოვენი-შალკე | 10 მლნ |
| კრისტიან ძაკარდო | პალერმო-ვოლფსბურგი | 7 მლნ |
| ზვეზდან მისიმოვიჩი | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 4 მლნ |
| ნევენ სუბოტიჩი | მაინცი-დორტმუნდი | 3.5 მლნ |
| ანდრეას ბეკი | შტუტგარტი-ჰოფენჰაიმი | 3.2 მლნ |
| სებასტიან პრიოდლი | შტურმი-ვერდერი | 2.5 მლნ |
| ჰაბიბ ბელაიდი | სტრასბური-აინტრახტი | 2.5 მლნ |
| პატრიკ ოვომოიელა | ვერდერი-დორტმუნდი | 2.5 მლნ |
| იუმით ძორძაზი | რაპიდი-აინტრახტი | 2.3 მლნ |

იტალია. ოლიმპიადის წინ

# კაზირაგის ოქროს იმედი აქვს

## ლიპი ოლიმპიელებს თავის კაცს გააყოლებს

იტალიის ოლიმპიური ნაკრების მწვრთნელი **პიერლუიჯი კაზირაგი**, რომელსაც ამ დღეებში მთავარ "სკუადრაში" დაბრუნებული **მარჩელო ლიპი** ესტუმრა, ოპტიმისტურად უყურებს მომავალ ოლიმპიურ თამაშებს: *"ესპანეთის ნაკრები სამაგალითოა ჩვენთვის. ფეხბურთელებმა საუცხოოდ ითამაშეს და კარგად ორგანიზებულიც იყვნენ. ოლიმპიური ოქრო ყველა სპორტსმენისთვის უდიდესი ოცნებაა".*

კაზირაგისა და **ჯანფრანკო ძოლას** ხელმძღვანელობით, იტალიის ოლიმპიური ნაკრები, ტრადიციულად, კოვერჩანოს ბაზაზე ემზადება. კაზირაგის გაუმართლა, რომ ბევრი მაღალი კლასის ფეხბურთელი, შეიძლება ითქვას, იტალიური ფეხბურთის მომავალი ვარსკვლავები შეკრიბა:

*"ბედნიერი ვარ, ასეთი გუნდი რომ მყავს და კმაყოფილების გრძნობით მივდივარ კიდეც პეკინში. ჩვენ შეგვიძლია, კარგად ვითამაშოთ და თუ ოლიმპიურ ოქროსაც მოვიპოვებთ, ოცნება ახდება. ოლიმპიური თამაშები მსოფლიო თასს ედრება. ჩვენ დიდ პროფესიულ და ცხოვრებისეულ გამოცდილებას მივიღებთ. ამგვარ ტურნირში მონაწილეობაც ხომ უკვე დიდი წარმატებაა".*

შედარებით უფროსი ასაკის ფეხბურთელთა ჩამოთვლისას, კაზირაგიმ ყურადღება შეაჩერა **რიკარდო მონტოლივოზე**, რომელიც "ფიორენტინაში" თამაშობს და რომლის დატოვებასაც აპირებდა გუნდი, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ტურნირში მონაწილეობისთვის. მაგრამ მოხდა ისე, რომ ნიჭიერი ფეხბურთელი ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე დაითანხმეს. კაზირაგის მიაჩნია, რომ მონტოლივო ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურა იქნება.



ძოლა და კაზირაგი

როგორც აღვნიშნეთ, კოვერჩანოს ბაზაზე კაზირაგი ლიპიმ მოინახულა. მასთან ერთად იყო ასისტენტი **ნარჩიზო პეცოტიც**, რომელიც პეკინში გუნდთან ერთად გაემგზავრება. ფეხბურთელების ნახვისა და საუბრის შემდეგ, მწვრთნელები გუნდის ორსაათიან ვარჯიშს ადევნებდნენ თვალ-ყურს. იყო ინდივიდუალური ვარჯიშები, კარში დარტყმები და პატარა მატჩიც. მარჩელომ თანამემამულეებს წარმატება უსურვა და კოვერჩანოს ბაზა დატოვა. შეხვედრის შემდეგ კაზირაგიმ ეს თქვა: *"ბევრი რამ შეიძლება ისწავლო ადამიანისგან, რომელმაც მსოფლიო თასი მოიგო."*

გუნდმა საწვრთნელი პროგრამა დაგეგმა: ორი სავარჯიშო სესია 21 ივლისამდე; თავისუფალი უქმეები; 17 ივლისს, ბუჯანოში, მოყვარულთა გუნდ "ბორგოსთან" შეხვედრა; შემდეგ ტესტ-მატჩი რუმინეთის ნაკრებთან, 22 ივლისს. 25 ივლისს კი მილანიდან გუნდი ჩინეთში გაემგზავრება და 7 აგვისტოსთვის დანიშნული პირველი მატჩისთვის მოემზადება.

**დავით ჩუბინიძე**

პენსია

# ბარბარესმა ბარგი ჩაალაგა

**სერგეი ბარბარესმა** ფეხბურთს თავი დაანება. "ლევერკუზენის" ბოსნიელმა ფორვარდმა გადაწყვეტილება ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღო. ის 36 წლისაა და ბუნებრივია, ადრე თუ გვიან, პენსიაში უნდა გასულიყო, მაგრამ საიმისო ვარიანტებიც ჰქონდა, რომ კარიერა სადმე, ეგზოტიკურ ლიგაში გაეგრძელებინა... მაგრამ, წერტილი დასვა. ასე დასრულდა მისი 12-წლიანი ბუნდესლიგური თავგადასავალი.

*"ნამდვილად არ მინდოდა არსად წასვლა, რათა სადმე ფული მეშოვნა. "ლევერკუზენში" გატარებული ორი წელიწადი ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის სრულიად საკმარისია, საკმარისია სპორტული თვალსაზრისითაც. შემეძლო, კიდევ ორი წელიწადი სადმე მეთამაშა, იყო შემოთავაზებებიც, მაგრამ ახალგაზრდა აღარ ვარ... ჩემი კარიერით ძალიან ბედნიერი ვარ და სჯობს, აქ დავასრულო"*, - უთხრა ბარბარესმა "ბილდს".

ბუნდესლიგაში ჩატარებული 325 მატჩით, ლეგიონერთა შორის ბოსნიელი რეკორდსმენია. თუმც ამ ხნის განმავლობაში, ფორვარდის კვალობაზე, არცთუ შთამბეჭდავი შედეგი აქვს: მხოლოდ 95 გოლი. ბარბარესი გერმანიაში 1991 წლიდან მოღვაწეობს. "ლევერკუზენამდე", მას "ჰანოვერში", ბერლინის "უნიონში", "ჰანზაში", დორტმუნდის "ბორუსიასა" და "ჰამბურგში" აქვს ნათამაშები, "ფარმაცევტებში" კი 2006 წლის ზაფხულში გადავიდა...

**გიორგი გელაშვილი**



სერგეი ბარბარესი

ინტერვიუ ბუდევეინ ზენდენთან

# ჰოლანდიელებს ლამაზი ფეხბურთი გვირჩევნია, მაგრამ შედეგს მარტო ამით ვერ მიაღწევ



**ბუდევეინ ზენდენმა** ჯერ არ იცის, როგორი იქნება მისთვის ახალი სეზონი, უფრო მეტიც, ის არც იმაშია დარწმუნებული, დარჩება თუ არა "მარსელში" ან მიიღებს თუ არა მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში, თუმც ძალიან კი უნდა. ჰოლანდიის ნაკრებისგან მან უკვე მიიღო წინადადება და ახლა სწორედ ამაზე ფიქრობს...

მაგრამ ფეხბურთში ყველაფერი სწრაფად იცვლება. 32 წლის ზენდენს ძალა და ამბიცია არ აკლია. შესაძლოა, სწორედ ამის დასამტკიცებლად გაემგზავროს კიდეც ოლიმპიურ თამაშებზე. "ბარსელონისა" და "ლივერპულის" ყოფილ მოთამაშეს, რომელსაც "ნარინჯისფერი" მაისურით 54 მატჩი აქვს ჩატარებული, სანაკრებო ჯილდო აკლია და ეგებ, პეკინის თამაშებში მონაწილეობა ამადაც ღირდეს.

გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც ზენდენმა ფიფას ოფიციალურ ვებგვერდს მისცა...

**- ბუდევეინ, "მარსელში" რთული სეზონი გქონდათ. არადა, ყველა ელოდა, რომ გუნდის მთავარი ფიგურა იქნებოდით. რა მოხდა?**

- საერთოდ, ფეხბურთში ძალიან ბევრი ფაქტორი მოქმედებს, რომელიც მოთამაშეს ან უკან სწევს, ან პროგრესის გზით მიჰყავს. ჩემს შემთხვევაში, მთავარი როლი მწვრთნელის შეცვლამ (2007 წლის სექტემბერში ერიკ გერეტსის მაგივრად ალბერ ემონი დაინიშნა - რედ) ითამაშა. ამას მოჰყვა ცვლილება ტაქტიკურ სქემაშიც, რაც ასევე ბუნებრივი მომენტია, მაგრამ ახალი ტაქტიკა ჩემს სასარგებლოდ ნამდვილად არ იყო. გერეტსის შემცვლელმა დანერგა ის მოდელი, რამაც შედეგი მოიტანა. მე ვერ ვიქეცი ამ მოდელის ნაწილად, სამწუხაროდ... და იცით, როცა რაღაც სისტემა კარგად მუშაობს, მწვრთნელი მას ვერ შეცვლის... და არც უნდა შეცვალოს, თუნდაც ერთი კარგი ფეხბურთელის გულისთვის. მაგალითს მოგიყვანთ: ვთქვათ, რიკარდინიოს მიდლსბროული ისტორია. მას იქ, ფაქტობრივად, არ ათამაშებდნენ. ადგა და წავიდა "სან პაულოში", საიდანაც მერე ბრაზილიის ნაკრებში მოხვდა. ხედავთ? ანუ, სისტემა, მწვრთნელი, თამაშის სტილი... ეს ყველაფერი ფეხბურთელზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს.

**- როგორ ეგუებით სიტუაციას, როცა კარიერის დასასრული კარსაა მომდგარი?**

- სიტუაციას სხვაგვარად ნამდვილად არ ვაფასებ, ანუ, ვაფასებ ისე, როგორც სხვები: კარგად მესმის, რომ 32 წლის ასაკში კარიერის დასასრული ახლოსაა. მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, ჯერ კიდევ ვგრძნობ შიმშილსა და ამბიციას, ვგრძნობ ძალას და ოლიმპიადაზეც მინდა თამაში. რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ წინ კიდევ რამდენიმე წარმატებული სეზონი მელოდება. და სხვათა შორის, არც "მარსელში" ყოფნით ვარ შეზღუდული.

**- ცოტა ითამაშეთ თუ ბევრი, მაინც გექნებათ შთაბეჭდილება იმაზე, თუ რა განსხვავებაა საფრანგეთის მთავარ დივიზიონსა და იმ ლიგებს შორის, სადაც მანამდე გითამაშიათ, ესპანეთის პრიმერა დივიზიონსა და ინგლისურ პრემიერლიგაში?**

- ესპანეთში შეტევა დაცვიდან იწყება, ფეხბურთელები არ ჩქარობენ იერიშის განვითარებას, იქ უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ბურთის ფლობას, შენარჩუნებას, სწორად გათამაშებას... ანუ, მთავარი აქცენტი გაკეთებულია სწორედ ბურთზე, რადგან ის არის სწორედ ამ თამაშის უპირველესი ატრიბუტი. საფრანგეთში, მცველებს სერიოზული ფიზიკური ძალა სჭირდებათ ინდივიდუალურად ძლიერი ფორვარდების შესაჩერებლად. ამას ყოველთვის ვგრძნობდი, როცა ჰოლანდიის ნაკრების შემადგენლობაში ფრანგების წინააღმდეგ მიწევდა თამაში. ინგლისში კი მთელი 90 წუთის განმავლობაში იბრძვიან, დარბიან... ვიტყოდი, რომ ეს არის ავანტიურისტული ფეხბურთი. ესოდენ სწრაფი თამაშის პირობებში გუნდური და ინდივიდუალური შეცდომები გარდაუვალია. ბოლოს კი, რჩება მხოლოდ სამი-ოთხი გუნდი, რომელიც ყველაზე ნაკლებ შეცდომას უშვებს.

**- მიგაჩნიათ, რომ თქვენთვის ყველაზე ეფექტური პოზიცია ნახევარდაცვის ცენტრშია, სადაც, "მარსელში" ყოფნისას, რამდენიმე დასამახსოვრებელი თამაში ჩაატარეთ?**

- დიახ, მეც ასე მგონია, რადგან ცენტრში ბურთთან უფრო მეტი შეხება გაქვს, უფრო მეტად ახდენ გავლენას თამაშის მსვლელობაზე, უფრო მეტად ხარ ჩართული პროცესებში, შეტევის განვითარება იქნება თუ დაცვითი ოპერაციები... ეს არ არის ჩემთვის ახალი პოზიცია. "მიდლსბროში" ყოფნისას, ნახევარდაცვის ცენტრში ხშირად მიწევდა თამაში და აქედან 8 გოლიც გავიტანე.

**- ფიზიკური დატვირთვის მხრივ, ფლანგზე თამაში უფრო რთულია?**

- 12 წლის წინათ, როცა პროფესიულ ფეხბურთში პირველ სერიოზულ ნაბიჯებს ვდგამდი, ხშირად მიწევდა 4-3-3 ტაქტიკით თამაში. "ეინდჰოვენში" დაცვითი მოვალეობები შეზღუდული მქონდა, მაგრამ ეს სისტემის გამო იყო. პრემიერლიგაში კი გუნდები, ძირითადად, 4-4-2 სქემით თამაშობენ. ამ შემთხვევაში, ოთხი ნახევარმცველი ერთ ხაზზეა განლაგებული და თითოეულს, საშუალოდ, 20 გარღვევა უწევდა 30 მეტრზე. ხოლო ჩემს შემთხვევაში, იყო საშუალოდ 15 რეიდი 50-მეტრზე. ფიზიკურად, რა თქმა უნდა, ეს გაცილებით მძიმეა. მერე კი, როცა წლები და გამოცდილება გემატება, ფეხბურთს უკვე სხვანაირად უყურებ, ბოლომდე არ ჯდები რაღაც ჩარჩოებში და უფრო მეტად გუნდურ თამაშზე ფიქრობ.

**- თქვენ ორ ევროპულ გიგანტში, "ბარსელონასა" და "ლივერპულში" თამაშობდით. რა განსხვავებას ხედავდით და ხედავთ მათ შორის?**

- პრემიერლიგაში ქომაგებისგან წნეხი ნაკლებია. "ენფილდის" ტრიბუნებიდან გაცილებით მეტი პოზიტივი მოდის მაშინაც კი, როცა საქმე ცუდადაა, როცა აგებ თამაშს... ასეთ დროს, გულშემატკივარი შენი უპირველესი მოკავშირეა, ის მუდმივად გამხნევებს, ბოლომდე გიჭერს მხარს, შენ კი, იძულებული ხარ, ფარ-ხმალი არ დაყარო, უკანასკნელ წუთამდე იბრძოლო და თამაში გადაარჩინო. ასეთ სიტუაციაში ხშირად ვყოფილვარ. მაგალითად, "ჩელსიში" (ზენდენი იქ 2001-03 წლებში თამაშობდა - რედ), როცა თამაშს წავაგებდით, ფეხბურთელები ამბობდნენ ხოლმე - მერე რა? დღეს კი დავმარცხდით, მაგრამ ერთი კვირის შემდეგ გავიმარჯვებთო. ესპანეთში სულ სხვა კულტურაა.

**- ჰოლანდიის ნაკრებში ყოფნისას, ბრწყინვალე თაობის გვერდით მოგიწიათ თამაში, თუმც ამ თაობამ ვერაფერი მოიგო. დღეს, როცა წარსულში იყურებით, იმედგაცრუებას არ გრძნობთ?**

- იმ ქვეყნის კვალობაზე, სადაც მხოლოდ 17 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ჩვენ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ძალიან ახლოს ვიყავით ფინალებთან 1998 და 2000 წლებში, მაგრამ ორივეჯერ პენალტების სერიაში დავმარცხდით... 1974 და 1978 წლების მუნდიალებზე კი ფინალებში მასპინძლებთან წავაგეთ. სწორედ ამ ჩემპიონატების შემდეგ, ჰოლანდიის ნაკრებისა უკვე ყველას ეშინია. დიახ, სწორედ ასე ვიტყოდი... ისე კი, ხანდახან იღბალიც უნდა გწყალობდეს, როგორც იტალიის ნაკრებს 2006 წლის მუნდიალზე. ჰოლანდია ყოველთვის ლამაზ თამაშს ანიჭებდა უპირატესობას და, შესაძლოა, ამის გამოც ვიხდიდით მწარე საფასურს. ეტყობა, თამაშის სხვა კულტურაც უნდა ავითვისოთ. ვგულისხმობ შედეგზე თამაშს. მესმის, რომ ჰოლანდიელ ქომაგებს სანახაობრივი ფეხბურთი ურჩევნიათ, მაგრამ ამ სანახაობით შედეგი ხშირად არ მოდის. ამაშია საქმე.

**- რით ახსნით იმას, რომ "აიაქსი", "ეინდჰოვენი" და "ფეიენოორდი" საკლუბო ფრონტზე წარმატებებს აღწევდნენ იმ პირობებშიც კი, როცა ყოველწლიურად კარგავდნენ საუკეთესო ფეხბურთელებს?**

- "ეინდჰოვენის" მაგალითზე შემიძლია ვთქვა, რომ იქ უმაღლეს რანგშია აყვანილი სასელექციო პოლიტიკა. იშვიათად, რომ რამეში შეცდნენ. მათ მოჰყავთ სრულიად უცნობი, მაგრამ კარგი ფეხბურთელები, განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკიდან, და მერე, ამ უცნობ მოთამაშეებს ვარსკვლავებად ზრდიან, გრანდებში ყიდიან და ამით არსებობენ. ეს არის ინდუსტრია, რომელიც კარგად მუშაობს. ასეთია ხვედრი იმ კლუბებისა, რომელთაც დიდი ფული არ აქვთ, მაგრამ პერიოდულად მაინც აღწევენ ხოლმე წარმატებებს. "აიაქსში", 8 წლის ბავშვებიც კი იმ ტაქტიკით თამაშობენ, რომელსაც მთავარი გუნდი იყენებს. როცა ეს ბავშვები პირველი გუნდის დონემდე იზრდებიან, მერე ადაპტაცია აღარ უჭირთ. დაახლოებით ასეა "ეინდჰოვენშიც". თან, აქ წნეხი უფრო ნაკლებია, რადგან "აიაქსი" მაინც დედაქალაქის გუნდია და...

**- ყველაზე ნათლად რა დაგამახსოვრდათ თქვენს კარიერაში?**

- 1998 წლის მუნდიალი და ნახევარფინალი ბრაზილიასთან... ან თუნდაც, ევრო 2000-ის ნახევარფინალი, სადაც იტალიასთან ასევე პენალტების სერიაში დავმარცხდით... გავიხსენებდი აგრეთვე "მიდლსბროსთან" ერთად ინგლისის ლიგის თასის მოგებასა და ჩემპიონთა ლიგის ფინალს "ლივერპულსა" და "მილანს" შორის...

**- არჩევანი რომ გქონდეთ იმ მწვრთნელებს შორის, ვისთანაც გიმუშავიათ, რომელს გამოჰყოფდით?**

- იცით, ძალიან ბევრია... ძნელია არჩევანი გაკეთება... მაგრამ, მაინც, აად დე მოსს მივანიჭებდი უპირატესობას. ეს ის კაცია, ვინც "ეინდჰოვენში" პირველი პროფესიული კონტრაქტი გამიფორმა.

**- ...და საუკეთესო ფეხბურთელები, ვისთან ერთადაც გითამაშიათ?**

- ოო, ისინიც ბევრნი არიან, ძალიან ბევრი... ნილისი და რონალდო "ეინდჰოვენიდან", კლუივერტი და კოკუ "ბარსადან", ბერგკამპი ეროვნული ნაკრებიდან, პეტი, დესაი და ძოლა "ჩელსიდან", ბოატენგი და ჟუნინიო პაულისტა "მიდლსბროდან", ჯერარდი "ლივერპულიდან"... შეიძლება, ყველა ვერც ჩამოვთვალე. ხომ გითხარით, ბევრნი არიან. ამ მხრივ, ნამდვილად გამიმართლა...

მოამზადა
**გიორგი ბელაშვილმა**

დაპირისპირება

# რონალდინიომ ბარსელონა ფეხებზე მკიდიაო

## გაუჩო ოლიმპიადაზე მაინც წავა

თითქოს "ბარსელონას" პრობლემები აკლდა. კატალონიურ გრანდს ახლა **რონალდინიოც** თავის ტკივილად ექცა. ჩვენი გაზეთის მკითხველებისთვის კარგად არის ცნობილი, რომ გაუჩომ კლუბის ხელმძღვანელობას ოლიმპიადაზე თამაშის უფლება სთხოვა, მაგრამ კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ რამდენიმე დღე ბრაზილიელისგან აღარაფერი ისმოდა, მაგრამ გუშინ გაუჩო ისევ გამოჩნდა და სკანდალური განცხადება გააკეთა. როგორც ჩანს, მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა კლუბში არსებული უმძიმესი სიტუაციის მისთვის სასარგებლოდ გამოყენება გადაწყვიტა. თავმდაბლობითა და მოკრძალებით ცნობილმა მოთამაშემ ისეთი რამ თქვა, მთელი საფეხბურთო სამყარო გააოცა: *"ოლიმპიადა ისეთი მოვლენაა, მასში მონაწილეობა ნებისმიერ სპორტსმენს მოუნდება. გამონაკლისი არც მე გახლავართ. საბედნიეროდ ბრაზილიის ნაკრების ხელმძღვანელობამ ჩემი წაყვანის სურვილი გამოთქვა და ოლიმპიურ თამაშებს არაფრის დიდებით არ დავაკლდები. ვიცი, რომ ჩემს კლუბში ვიღაც-ვიღაცებს ჩინეთში ჩემი გაშვება არ უნდათ, მაგრამ ეს სულ არ მაინტერესებს. მგონი იმდენს მაინც ვიმსახურებ, რომ პატივისცემით მომეპყრონ. ამასთან, ფიფას რეგლამენტით ეროვნულ გუნდებს ფეხბურთელების გამოძახების უფლება აქვთ. ამ უფლებით აუცილებლად ისარგებლებენ და ჩემგან დადებით პასუხს მიიღებენ. რაც არ უნდა მოხდეს, ოლიმპიადაზე მაინც ვითამაშებ. იმედია, "ბარსელონის" ხელმძღვანელობა ჩემს გადაწყვეტილებას გაგებით მოეკიდება."*

რონალდინიოს ამ სკანდალურ განცხადებას კატალონიური გრანდიდან არავინ გამოხმაურებია. ამის მიზეზი ისევ და ისევ დირექტორატში არსებული დაპირისპირებაა. სხვა დრო და სხვა სიტუაცია რომ ყოფილიყო, გაუჩოს თითს დაუქნევდნენ და კორექტული საუბრისკენ მოუწოდებდნენ, მაგრამ ახლა მისთვის არავის ცხელა. არადა, ჯერ კიდევ ორი კვირის წინ "ბარსაში" სიმშვიდე სუფევდა და ფეხბურთელების ცხოვრებას გაფაციცებით აკვირდებოდნენ. ალბათ, იცით, რომ ოლიმპიადაზე წასვლას **ლეო მესისაც** უკრძალავდნენ, მაგრამ არგენტინელმა რონალდინიოს მსგავსად კლუბს უკმეხი პასუხი შეუთვალა და საქვეყნოდ განაცხადა, რომ არგენიტინის ნაკრების ინტერესები მისთვის წმინდათა წმინდაა.

**ილია ნიკოლაიშვილი**



რონალდინიო

# ლელო წარმოგიდგენთ
# საქართველო ოლიმპიურ თამაშებზე

ტოკიო. XVIII ოლიმპიადა

# ტოკიო: 2, 4, 5: ეს ჩვენ ვართ!






1963 წელს, უკვე ტრადიციად ქცეული სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა მოსკოვში ჩატარდა. ეს იყო რიგით მესამე კომპლექსური ღონისძიება, რომელიც ამჟამადაც წინ უსწრებდა ოლიმპიურ თამაშებს. სპარტაკიადა იყო გრანდიოზული ასპარეზობა და მას მცირე ოლიმპიურ თამაშებსაც უწოდებდნენ. საქმე ის არის, რომ სპარტაკიადაში გამარჯვებული ევროპის, მსოფლიო პირველობისა და ოლიმპიურ თამაშებზე საპატიო კვარცხლბეკის რეალური კანდიდატი ხდებოდა. არც ტოკიოს ოლიმპიადის წინმსწრები 1963 წლის სპარტაკიადა ყოფილა გამონაკლისი. საქართველო სპარტაკიადაზე საერთო გუნდურ ჩათვლაში, ისევე როგორც 1956 და 1959 წელს, V ადგილზე გავიდა. არაერთმა სპორტსმენმა საქართველოდან, რომლებმაც 1963 წელს წარმატებას მიაღწიეს სპარტაკიადაზე, თავი ოლიმპიურ ტოკიოშიც ისახელეს.

ამომავალი მზის ქვეყანამ ზაფხულის მეთვრამეტე ოლიმპიურ თამაშებს 1964 წლის 10-24 ოქტომბერს უმასპინძლა. მონაწილეობდა 94 (ზოგიერთი წყაროთი 93) ქვეყანა და 5133 თუ 5139 ათლეტი. მათ შორის 680 ქალი იყო. სპორტის 24 სახეობაში გათამაშდა მედლების 163 კომპლექტი. ჯილდოების რაოდენობამ მძლეოსნობასა და ცურვაში პროგრამის გაზრდის ხარჯზე მოიმატა. პირველად ამ თამაშებზე მოეწყო საჩვენებელი გამოსვლა ბეისბოლში.

ოლიმპიურმა თამაშებმა პირველად შეაბიჯა აზიის კონტინენტზე. ეს ისტორიული მოვლენა იყო. საქართველოდან ტოკიოს ოლიმპიურ სარბიელზე 18 სპორტსმენი გამოდიოდა. მათგან 11 შინ მედლით დაბრუნდა. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ორი ქართველი დადგა - მოფარიკავე **ნუგზარ ასათიანი** და ფრენბურთელი **ვაჟა კაჭარავა**. ვერცხლის ჯილდო დაიმსახურეს **რომან რურუამ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **გურამ სალარაძემ** (თავისუფალი ჭიდაობა), **შოთა ქველიაშვილმა** (ტყვიის სროლა), **ლევან მოსეშვილმა** (კალათბურთი). მესამე პრიზიორები გახდნენ და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს **გურამ კოსტავამ** (ფარიკაობა), **ნოდარ ხახაშვილმა** (თავისუფალი ჭიდაობა), **დავით გვანცელაძემ** (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), **ანზორ კიკნაძემ** და **ფარნაოზ ჩიკვილაძემ** (ორივე - ძიუდო). მოცურავე **ალექსანდრე ტუტაკაევს** წილად ხვდა IV ადგილი, მძლეოსანი **რობერტ შავლაყაძე** და "კლასიკოსი" **როსტომ აბაშიძე** მეხუთე ადგილზე გავიდნენ, წყალში მხტომელი **ბორის პოლულიახი** და **ზორბეგ ბერიაშვილი** - მეექვსეზე, **შოთა ლომიძე** (ორივე - თავისუფალი ჭიდაობა) - მეცხრეზე, ველომრბოლი **ომარ ფხაკაძე** ტურნირს გამოეთიშა მეოთხედფინალიდან. მონაწილე ქვეყნებიდან მხოლოდ ნახევარმა მოიპოვა ამა თუ იმ ხარისხის მედალი. 10 ქვეყანა ორ-ორი "ოქროთი" (13-22 ადგილი) დაჯილდოვდა. მედლების საერთო რაოდენობით კი საქართველო მე-13 ადგილზე გავიდოდა, "ვეცხლით" - მე-11, ხოლო "ბრინჯაოთი" მე-18 იქნებოდა.

ბოლოს ვიტყვით, რომ ტოკიოში 81 ოლიმპიური და მსოფლიოს 32 რეკორდი დამყარდა. რეკორდების რაოდენობით ეს ოლიმპიადა თავად იქცა "რეკორდსმენად".

ამ თამაშებზე აშშ-მა პირველად გაუსწრო სსრ კავშირს მოპოვებული მედლების რაოდენობით. სამეული ასე გამოიყურება:

| | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|
| აშშ | 36 | 26 | 27 | 89 |
| სსრკ | 31 | 30 | 36 | 97 |
| იაპონია | 16 | 3 | 8 | 27 |

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

### ოლიმპიური ვიქტორინა
**ეძღვნება 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებს**

*პასუხებს ამ თამაშებისადმი მიძღვნილ მასალებში "ლელოს" ოლიმპიური გვერდის მომდევნო გამოშვებაში ამოიკითხავთ.*

**1. სად ჩატარდა 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადა?**
ა - მიუნხენში
ბ - მონრეალში
გ - მეხიკოში

**2. ხსენებულ თამაშებში რამდენი სპორტსმენი გამოდიოდა საქართველოდან?**
ა - 14
ბ - 16
გ - 17

**3. დაასახელეთ 1968 წლის ოლიმპიადის ჩემპიონები**
ა - რომან რურუა და დიტო შანიძე
ბ - ვიქტორ სანეევი და რომან რურუა
გ - ომარ ფხაკაძე და ვიქტორ სანეევი

**4. ვინ მონაწილეობდა საქართველოდან ზემოხსენებულ თამაშებში ფარიკაობაში?**
ა - ნუგზარ ასათიანი
ბ - გურამ კოსტავა
გ - არავინ

**5. სპორტის რომელ სათამაშო სახეობაში გახდნენ საქართველოს სპორტსმენები 1968 წლის ოლიმპიადის პრიზიორები?**
ა - კალათბურთში
ბ - ხელბურთში
გ - ფრენბურთში


ნუგზარ ასათიანი


ვაჟა კაჭარავა

ჭიდაობა. მწვრთნელთა სამზარეულო

# ვიდრე დუღილის ტემპერატურა აიწევს

პეკინის ოლიმპიადამდე სულ უფრო ნაკლები დრო რჩება. თამაშების მოახლოებასთან ერთად მატულობს ეიფორია, ციებ-ცხელება. დუღილის ტემპერატურა უმაღლეს ნიშნულს 8 აგვისტოს ადგილობრივი დროით საღამოს 8 საათსა და 8 წუთზე მიაღწევს, როცა საზეიმოდ გაიხსნება 21-ე საუკუნის რიგით მეორე სპორტული ფორუმი, რომელშიც ქართველი ათლეტებიც იასპარეზებენ. ცხადია, უპირველესად მოჭიდავეების გვეიმედება. ქართველი ფალავნები მონდომებით ემზადებიან ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის.

ამჟამად "თავისუფლებიცა" და "კლასიკოსებიც" თბილისში იმყოფებიან. დრო ვიხელთე და ნაკრები გუნდების მთავარ მწვრთნელებს გავესაუბრე.

**ზაზა თურმანიძე:** პეკინში ხუთი კაცით გავემგზავრებით. ორიენტირი, ცხადია, კვარცხლბეკი იქნება. გახსოვთ, ალბათ, შარშან ბაქოში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატზე მხოლოდ **ოთარ თუშიშვილმა** (66 კგ.) და **გელა სალირაშვილმა** (74) დაიბევეს ოლიმპიადის საგზურები. წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე **რევაზ მინდორაშვილმა** (84) ვერცხლისა და **გიორგი გოგშელიძემ** (96) ოქროს მედლებთან ერთად პეკინში გამგზავრების უფლებაც მოიპოვეს. აქვე გაიმარჯვა მძიმეწონოსანმა **დავით მოძმანაშვილმა**, მაგრამ, ანალიზებში მას აკრძალული ნივთიერება აღმოუჩინეს, რის გამოც "ოქროც" ჩამოართვეს და ლიცენზიაც. ახლა იგი **ფილასგან** საბოლოო განაჩენს ელის. სამწუხაროა, ახალგაზრდა, პერსპექტიული ათლეტი ასე დაუფიქრებლად სავალალო მდგომარეობაში რომ აღმოჩნდა.

**ბესიკ გოჩაშვილს** (55) პეკინში გასამგზავრებლად უფრო გრძელი გზის გავლა მოუწია და მხოლოდ პოლონეთის სალიცენზიო საერთაშორისო ტურნირზე მიაღწია საწადელს.


ზაზა თურმანიძე

ოლიმპიელებმა ორი საწვრთნელი შეკრება ბორჯომში გაიარეს, ორი კვირა ნახკაძორის ბაზაზე გავატარეთ, სადაც უმთავრესად საერთო ფიზიკურ მომზადებას გავდიოდით. ხუთივე სპორტსმენმა კარგად ივარჯიშა. მართალია, ზოგიერთს მცირე ტრავმები აწუხებს, მაგრამ, იმედია, მალე ყველაფერი მოგვარდება და ჩვენი ბიჭები ორთაბრძოლებისთვის მზად იქნებიან.

ბუნებრივია, ძალიან გვინდა ჩინეთიდან მედლებით დავბრუნდეთ, თუმცა [illegible] კვარცხლბეკზე ასვლა გაცილებით [illegible]თული იქნება, ვიდრე ათენში. უმთავრეს კონკურენტებად რუს, ირანელ, თურქ, უზბეკ და აზერბაიჯანელ სპორტსმენებს მივიჩნევთ. ეს ოლიმპიადაა და არ არის გამორიცხული, სხვა ქვეყნის წარმომადგენლებმაც გამოიჩინონ ფხა. უპირველესად ეს ამერიკელებზე, ჩინელებსა და ბულგარელებზე ითქმის. ძლიერი შემადგენლობა ეყოლებათ რუსებს, რომლებიც ბოლო წლებია, თავისუფალ ჭიდაობაში დომინირებენ საერთაშორისო სარბიელზე. როგორც ვიცი, 55 კილოში **ბესიკ კუდუხოვი** გამოვა, 66-ში - მსოფლიო ჩემპიონი **ფარნეევი**. ამ წონაში მედლის მოპოვების კანდიდატი იქნება ბულგარელი **ბარზაკოვი**, რომელმაც ნაკრების შემადგენლობიდან ცნობილი ფალავანი **პასლარი** ამოაგდო. 74 კილოში სარბიელს დაუბრუნდა ოლიმპიური თამაშების გამარჯვებული **ბუვაისა საიტიევი**, რომელმაც რუსეთის ჩემპიონატზე **მახაჩ მურთაზალიევს** სძლია. არადა, შარშან ამ უკანასკნელმა ერთბაშად ორი ოქროს მედალი დაიმსახურა და ორჯერ დაგვიმარცხა გელა სალირაშვილი, მათ შორის - ევროპის ჩემპიონატის ფინალში. გელას აზერბაიჯანელი **ჩამსულვარა ჩამსულვარაევის** სახითაც არანაკლებ საშიში მეტოქე ეყოლება. ანგარიშგასაწევია საბერძნეთის სახელით მოასპარეზე **ემზარ ბედინეიშვილი**, რომელიც საქართველოს სახელით ევროპის ჩემპიონი იყო, წლეულს კი კონტინენტის პირველობაზე მესამე ადგილი დაიკავა.

ქართველი მეტოქე ეყოლება 84 კილოში რევაზ მინდორაშვილს **გიორგი კეტოევის (ქეთიშვილი)** სახით. ჩვენმა მსოფლიო ჩემპიონმა რუსეთელთან წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ფინალი დათმო. პეკინში რევანშის საშუალება მიეცემა გიორგი გოგშელიძესაც, რომელიც შარშან კონტინენტის პირველობაზე დამარცხდა **მურადოვთან**. ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა წლეულს რუსეთის ჩემპიონატზე ოლიმპიურ ჩემპიონ ხაჯიმურატ გაცალოვს აჯობა და, რამდენადაც ვიცი, ოლიმპიური ნაკრებიდანაც ამოაგდო.

მეტოქეთა ჩამონათვალში უმთავრესად რუს მოჭიდავეებზე გავამახვილეთ ყურადღება. ეს როდი ნიშნავს, რომ მხოლოდ მათ წინააღმდეგ საპაექროდ ვემზადებით. მხედველობის არეში გვყავს ირანელი, თურქი, ამერიკელი, აზერბაიჯანელი, შუააზიელი ფალავნები. ბრძოლა იქნება უშელავათო. საამისოდ ჩვენც მზად ვიქნებით...

შეგახსენებთ, რომ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები პეკინს 11 აგვისტოს ეწვევიან, 19-21-ში კი პაექრობებში ჩაებმებიან. ოლიმპიადაზე ცხრა დღით ადრე გაემგზავრებიან "კლასიკოსები". მათი მთავარი მწვრთნელი **ბეგი დარჩია** იმედიანადაა. მართალია, საოლიმპიადოდ ვერც მან მოუყარა თავი "შესანიშნავ შვიდეულს", მაგრამ თავისი ხუთეულითაც კმაყოფილია. სამმა მოჭიდავემ, როგორც გახსოვთ, შარშან ბაქოში მოიპოვა პეკინში გამგზავრების უფლება. **დავით ბედინაძესა** (60) და **რამაზ ნოზაძეს** (96) "ოქროსთან" ერთად ერგოთ ლიცენზია, **ბადრი ხასაიამ** "ბრინჯაოთი" დაიბევა საგზური.

- წლევანდელ ევროპის ჩემპიონატზე შეგნებულად არ წავიყვანეთ **მანუჩარ კვირკველია** (74), რომელიც შარშან ბაქოში, ჩვენდა გასაკვირად, უსაგზუროდ დარჩა, - მითხრა ბეგიმ. - პირველსავე სალიცენზიო ტურნირზე რომში მანუჩარმა ყველა მეტოქეს სძლია, მათ შორის ოლიმპიურ ჩემპიონს - **ვარტერეს სამურგაშევს** და ისე აისრულა ოცნება. იგი თამაშებზე მეორედ იასპარეზებს. პირველად მოსინჯავს ოლიმპიურ ხალიჩას **ლაშა გოგიტაძე** (55), მან რომში მესამე ადგილი დაიკავა.

ამას წინათ, ბაქოს გრანპრიზე გამოვედით. ტრავმამოუშუშებული ნოზაძე და ხასაია შეჯიბრებაზე არ წავიყვანია. აზერბაიჯანის დედაქალაქში სუსტად იასპარეზა ბედინაძემ, სამაგიეროდ, კვირკველიამ პირველი ადგილი დაიკავა, გოგიტაძემ - მეორე, მან მხოლოდ ფინალური ორთაბრძოლა დათმო ორგზის ევროპის ჩემპიონ **ბაირამოვთან**. ჩვენი ფალავნების მომზადების დონე ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს, თუმცა პროგრამით გათვალისწინებული წვრთნის პროცესი ჯერ არ დაგვიმთავრებია. კვირა დილით მინსკში გავემგზავრებით და სათხილამურო ბაზაზე მასპინძლებთან, ფრანგებთან, სომხებთან და ბერძნებთან ერთად საწვრთნელ შეკრებას გავივლით. 2 აგვისტოს ჩინეთში გავემგზავრებით და 10 დღის შემდეგ მედლებისთვის ბრძოლაში ჩავებმებით. სახელოვან ფალავნებთან მოგვიწევს შეჭიდება. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ამიტომ წონითი კატეგორიების მიხედვით ზოგიერთის ვინაობას გაგაცნობთ. ესენი არიან: 55 კილოში - რუსი **მაკიევი**, აზერბაიჯანელი ბაირამოვი, 60 კილოში - რუმინელი დიაკონუ, რუსი **ალბიევი**, აზერბაიჯანელი **რაჰიმოვი**, იაპონელი **მაცუმოტო კავასაკი**, 74-ში - რუსი სამურგაშევი, ბელარუსი **კიკინოვი**, უკრაინელი **შაცკი**, 84-ში - რუსი **მიშინი**, თურქი **ავლუჯა ნაზმი**, 96-ში - რუსი **ხუშტოვი**, ეგვიპტელი **ქარამ იბრაჰიმი**, ჩეხი **მარეკ შვეცი**, ლიტველი **მინდაუსკას ეზერსკისი**.

ერთი სიტყვით, სერიოზული მეტოქეები გვეყოლება, წინასწარ გადაჭრით რამის თქმა შეუძლებელია, კვარცხლბეკზე ასვლის შანსი ყველას აქვს. მთავარია, ვინ როგორ გამოიყენებს.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოჭი-2014

# იმერეთის ველი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში



გუშინ, 2008 წლის 10 ივლისს, აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან **კონდოლიზა რაისთან** თბილისში შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა **მიხეილ სააკაშვილმა** ახალი ინიციატივა გააჟღერა სოჭში 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით. ის, რომ ვითარება რეგიონში უაღრესად გამწვავებულია ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გამო, სერიოზულ და საფუძვლიან შეშფოთებას იწვევს მსოფლიო ოლიმპიურ მოძრაობაში. მაგრამ საქმე არც მარტო კონფლიქტშია, საოლიმპიადოდ უამრავი ორგანიზაციული საკითხი რჩება მოსაგვარებელი, ხოლო, რაც შეეხება ოლიმპიური ობიექტების მშენებლობას, საქმე ზოზინით მიდის და ეს პრობლემა ისე გამწვავდა, 2014 წლის თამაშების მასპინძლის ალტერნატიულ ვარიანტზე წამოიწყეს ლაპარაკი ოლიმპიურ წრეებში. სწორედ ამ დროს, სოჭის ოლიმპიადის ბედზე დაფიქრებულებს, სეულმა წამოაშველა იმედიანი ხმა – აგერ ვართ, მზად ვართ 2014 ოლიმპიადის მასპინძლობა ვიკისროთ, მოდით, ნახეთ ისეთაც გეგმიურად რა მშენებლობები მიდის, რა ინფრასტრუქტურა გაგვაჩნია და გადაწყვეტილებაც შესაბამისი მიიღეთო. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება ადვილი სულაც არ არის და არა მხოლოდ ოლიმპიური პრინციპების შეუვალად დაცვის გამო. იმთავითვე საქმეში ხომ დიდი პოლიტიკაა ჩართული. **პუტინს,** თავის პრეზიდენტობისას, ამხელა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე თითქმის არ აუღია არანაირ სხვა საქმეში და ახლა, როგორც ჩანს, ნანობს. სოჭის მომხიბვლელობამ, მთისა დაზლვის ჯადოსნურმა შერწყმამ, იმერეთის ისტორიული ველის ზღაპრულმა დიდებულებამ ექსპერტებს საფუძველი მისცა, უამრავი არგუმენტების მოშველიებით, სოჭის სასარგებლოდ დაეწერათ დასკვნა, რაც გაიზიარა ოლიმპიურმა სესიამ. მოკლედ, სოჭი ოლიმპიადისათვის მზადების ტემპებს ჩამორჩება, მაგრამ პოლიტიკას რაც შეეხება, მას ზემოხსენებული ქართულ-აფხაზური დაძაბული ურთიერთობა აძლევს არასასურველ შეფერილობას. და აი, ამ ფონზე, საქართველოს პრეზიდენტმა ისეთი განცხადება გააკეთა, რუსეთი, ალბათ, ნამდვილად რომ არ მოელოდა და ამ სიურპრიზმა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს, უნდა ვიფიქროთ, რომ ოლიმპიადის შენარჩუნების იმედი ჩაუსახა, თუ მათ ეს მართლა გულით წადიათ. მეტიც, ჩვენმა ქვეყანამ რუსეთს თანამშრომლობა შესთავაზა, რადგან მ. სააკაშვილის სიტყვებით, რომ ვთქვათ, „სოჭში ოლიმპიადის ჩატარებით საქართველოცაა დაინტერესებული და მზადაა რუსეთთან ერთად შეიქმნას რეგიონში უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის კომიტეტი".

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

# გიორგი ნასიძე ევროპაში მესამეა

გერმანიაში, ქალაქ ფორცჰაიმში გაიმართულ ევროპის ჩემპიონატზე ძალისმიერ სამჭიდში (პაუერლიფთინგი) წარმატებულად იასპარეზა ქართველმა სპორტსმენმა **გიორგი ნასიძემ,** რომელიც ევროპის ჩემპიონატზე 82.5 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამოდიოდა, მესამე ადგილის მოპოვება მოახერხა და საყოველთაო ყურადღებაც დაიმსახურა.

თავად სპორტსმენის თქმით, - აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სპორტის ამ სახეობაში ასეთი დონის ტურნირზე საქართველოს წარმომადგენელმა შეძლო მაღალი ადგილის დაკავება. ფორცჰაიმში ევროპის ჩემპიონატზე კონტინენტის საუკეთესო ათლეტები იყვნენ წარმოდგენილნი, რაც ნასიძის შედეგიანობას კიდევ უფრო მეტ ფასს სძენს. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, გიორგი ნასიძე მსოფლიოს ჩემპიონატისათვის აგრძელებს მზადებას. მსოფლიოს ჩემპიონატი ძალისმიერ სამჭიდში 2008 წლის 13-16 ნოემბერს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართება.

**სპორტის დეპარტამენტის პრესსამსახური**



ხელბურთი. მსოფლიო უნივერსიადა

# თურქებმა ნახევარფინალში არ გაგვიშვეს

ვენეციაში მიმდინარე მსოფლიო უნივერსიადაზე, გუშინ ჩვენმა ნაკრებმა მეოთხედფინალური მატჩი გამართა თურქეთის წინაღმდეგ. შეხვედრა საკმაოდ დაძაბულად, ბურთი-ბურთზე წარიმართა. საფინალო სირენამდე 10 წუთით ადრე, ტაბლოზე 27:27 ენთო. სამწუხაროდ, დასკვნით 10-წუთიან მონაკვეთში, უფრო მეტი ენერგია თურქებს აღმოაჩნდათ, რომლებმაც სამბურთიანი სხვაობით (33:30) იმარჯვეს და ნახევარფინალში გავიდნენ.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები V-VIII ადგილებისათვის გააგრძელებს ბრძოლას. ჩვენი პირველი მეტოქე სერბეთი იქნება, რომელთანაც ჯგუფში 21:32 წავაგეთ.

გუშინვე, იტალიაში შევეხმიანეთ საქართველოს ნაკრების წევრ **რატი მსხვილიძესა** და გუნდის მთავარ მწვრთნელ **ირაკლი კეკელიძეს.**

**რატი მსხვილიძე:** - მთლიანობაში, თურქეთთან თანაბარი თამაში გვქონდა. პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით წავაგეთ, მეორის დასაწყისში კი 4 ბურთით ჩამოვრჩით მეტოქეს, მაგრამ მერე გათანაბრება მოვახერხეთ. შეხვედრის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე, ორი წუთით გამაძევეს. მოედანზე რომ დავბრუნდი, ისეთი გახურებული ვიყავი და ისეთი დაძაბული მატჩი იყო, რომ წინა შეხვედრაში დაშავებული ხელის ტკივილს ველარ ვგრძნობდი. სამწუხაროდ, მატჩის მიწურულს დაღლა დაგვეტყო და შეცდომები დავუშვით, რითაც მეტოქემ ისარგებლა, სამბურთიანი სხვაობით დაწინაურდა და გაგვტეხა.

რას ვიზამთ, ახლა ისლა დაგვრჩენია, რომ მეხუთე ადგილისთვის ვიბრძოლოთ. შემდეგი მატჩი სერბეთთან გვაქვს, რომელმაც დღეს რუსეთთან წააგო. შევეცდებით, რომ ჯგუფში განცდილი მარცხისთვის რევანში ავიღოთ.

**ირაკლი კეკელიძე:** - თურქეთი ჩვენზე უკეთ იყო მომზადებული. ბიჭებმა მთელი მატჩი იბრძოლეს, თავი არავის დაუზოგავს, მაგრამ გადამწყვეტი სიტყვა მეტოქის უკეთესმა ფიზიკურმა მდგომარეობამ თქვა. ზედიზედ სამი მატჩის თამაშმა დაგვღალა, გუნდს თურქეთთან შეხვედრისთვის საკმარისი ენერგია აღარ შერჩა.

საერთოდ, არავის გამორჩევა არ მიყვარს, მაგრამ თუ მაინცდამაინც ამაზე მიდგა საქმე, გამოვყოფდი **ვლადიმერ რუსიას, რეზო ჭანტურიასა** და მეკარე **შოთა თევზაძეს.**

**კობა ხატისაშვილი**

ჩოგბურთი

# ლაბაძემ მსოფლიოს პირველ ჩოგანს მოუგო

სათაურს აუცილებლად უნდა დავამატოთ, ირაკლიმ ახალგაზრდულ რეიტინგში მსოფლიოს პირველ ჩოგანს მოუგო და არა **როჯერ ფედერერს.** ლაბაძე სხევინგენშია (ჰოლანდია), სადაც „ჩელენჯერის" სერიის ტურნირი მიმდინარეობს, რომლის საპრიზო ფონდი 100 ათასი დოლარია. მერვედფინალში ირაკლი ლაბაძე ლიტველ **რიჩარდას ბერანკისს** (506) ხვდებოდა. ირაკლიმ პირველი სეტი იოლად დათმო, თუმცა შემდეგ „უაილდ ქარდით" მიწვეულ ბალტიელ ტალანტს ძალა გამოელია – 1:6, 6:3, 6:3. ლაბაძე მეოთხედფინალში, სავარაუდოდ, ბელგიელ **კრისტოფ როხუსს** (112) შეხდება, რომელიც „სიმენს ოუფენზე" მე-3 ნომრადაა განთესილი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ირაკლი ლაბაძე

# პირველად, WTA-ს მეოთხედფინალში



25 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (208) კარიერაში პირველად გავიდა WTA-ს ტურნირის მეოთხედფინალში, მან ეს პალერმოში შეძლო. სიცილიაში 145-ათასიანი საპრიზო ფონდის ტურნირი მიმდინარეობს. ძირითად ბადეში მაკა საკვალიფიკაციოს დაძლევის შემდეგ მოხვდა. მაკა აქაც ყოჩაღობს. ჯერ მსოფლიოს 66-ე ჩოგანი **იანინა ვიკმაიერი** დაამარცხა, ახლა კი „უაილდ ქარდით" მიწვეულ იტალიელ **კორინა დენტონის** (158) მოუგო – 2:6, 6:1, 6:1. მეოთხედფინალში მაკა ტურნირის პირველ ჩოგანს, იტალიელ **ფლავია პენეტას** შეხვდება. პენეტა მაკას ტოლია, თუმცა რეიტინგით ის ქართველს საგრძნობლად უსწრებს – იტალიელი მსოფლიოს 21-ე ჩოგანია, ამიტომ აქამდე მათი გზები არ გადაკვეთილა. მაკამ უკვე გაინაღდა 30 სარეიტინგო ქულა. ასე რომ, მან შესაძლოა დაიბრუნოს ორშაბათს დაკარგული საქართველოს პირველი ჩოგნის სახელი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ბაქოს მხოლოდ ჩიხლაძე შემორჩა

ბაქოში გრძელდება საერთაშორისო ტურნირი (10 ათასი დოლარი) ვაჟ ჩოგბურთელთა შორის, რომელშიც პირველ ნომრად **ლადო ჩიხლაძეა** (452) განთესილი. ქართველთაგან მეოთხედფინალურ ეტაპს სწორედ ჩიხლაძელა შემორჩა. ლადო სერიოზული ტრავმის შემდეგ დაბრუნდა კორტებზე, მან უკვე მეორე შეხვედრა მოიგო – ამჯერად 21 წლის ხორვატი **სტეფანო ვუკოვი** დაამარცხა – 6:2, 6:1. მერვედფინალში კიდევ ერთი ქართველი იყო, 17 წლის **დემეტრე თაქთაქიშვილი,** რომელმაც მე-5 ნომრად განთესილ რუს **მიხაილ ვასილიევთან** (755) წააგო – 1:6, 0:6. მეოთხედფინალში ჩიხლაძის მეტოქე მე-8 ნომრად განთესილი ლიბანელი **ქარიმ ალაილი** (1020) იქნება. წესით და რიგით, ჩიხლაძემ ეს ბარიერიც იოლად უნდა დაძლიოს. ტურნირის წყვილთა თანრიგის ბადეს ქართველები აღარ შემორჩნენ.

### რომს შაფათავა დაემშვიდობა

რომის ტურნირ „ტევერე რემოში" ასპარეზობა **სოფიო შაფათავამ** (302) მეოთხედფინალურ სტადიაზე დაასრულა. მე-8 ნომრად განთესილი ქართველი მე-4 ნომრად განთესილ ავსტრიელ **პატრიცია მაირს** (221) შეხვდა და სამ სეტში დამარცხდა – 6:3, 5:7, 2:6. შეგახსენებთ, რომის ტურნირის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



ლადო ჩიხლაძე

კალათბურთი. ევროჩელენჯი. ენერჯი vs სუმიქიმპრომი

# სუმელები უკვე შეიკრიბნენ, რუსთაველები ყალიბდებიან

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გაცნობეთ, რომ რანგით მესამე ევროტურნირზე, ევროჩელენჯზე რუსთავის "ენერჯი ინვესტი" უკრაინულ "სუმიქიმპრომს" შეხვდა. აქვე გეტყვით, რომ პირველი მატჩი თბილისში 14 ოქტომბერს გაიმართება, განმეორებითი - 21-ში, სუმში. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გავლის შემთხვევაში, ქვემოქართლელები "შიროკსა" (ბოსნია) და "სვენდბორგს" (დანია) შორის საუკეთესოს დაუპირისპირდებიან.

გუშინ ასევე დაგპირდით, რომ როგორც ქართულ, ასევე უკრაინულ კლუბებზე და მათ შანსებზე დღეს გესაუბრებოდით. ჯერ "ენერჯიზე" ვილაპარაკებთ და მისი მთავარი მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის ინტერვიუს დავურთავთ, შემდეგ "სუმიქიმპრომს" შევეხებით და შემოგთავაზებთ ინტერვიუს გუნდის უფროს იგორ მანოილენკოსთან.

## ენერჯი ახალი ენერგიით

გასულ წელს რუსთავის "ენერჯი" ევროჩელენჯზე (მაშინ ევროთასი ერქვა) ჰოლანდიის "ამსტერდამ ასტრონავტსს" დაუპირისპირდა, შინაც წააგო და გასვლაზეც. თუმცა, ჰოლანდიის მომავალ ჩემპიონთან ქართველები არ შერცხვენილან - თბილისის სპორტის სასახლეში, მართალია მეტოქემ ქართველებზე 20-ით მეტი მოხსნა მიითვალა, მაგრამ **ბელტონ რივერსის** წყალობით "ენერჯი" გამარჯვების შანსს ბოლო წუთებამდე ინარჩუნებდა. რივერსი ერთ-ერთი იყო იმ სამ ლეგიონერს შორის, რომლებიც რუსთაველებმა ევროტურნირის წინ დაიმატეს. ბელტონი "ამსტერდამთან" 33 ქულით გამოირჩა, სერბმა **იოვან სტეფანოვმა** ბევრი ვერაფერი გააკეთა, ხოლო მესამე უცხოელმა **ანვარ ფერგიუსონმა** ვერ გაამართლა, სწორედ ამ ცენტრის "დამსახურება" იყო მეტოქემ მოხსნებში ამდენით რომ გვაჯობა. ისიც უნდა გითხრათ, რომ ეს სამი უცხოელი "ენერჯის" დაგვიანებით შეუერთდა და გუნდთან შეთამაშება ვერ მოასწრო.

რუსთაველთა შარშანდელი გამოსვლის შემდეგ კლუბის უფროსობამ იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სეზონში გუნდი თავს უკეთ უჩვენებდა. 2007 წლის ამბებიც სწორედ ამიტომ გავიხსენეთ, რომ მიგვენიშნებინა ამ სეზონში წესითა და რიგით "ენერჯი" შარშანდელთან შედარებით დროულად უნდა შეიკრიბოს, შეთამაშდეს და რაც მთავარია - უკეთესად წარდგეს საერთაშორისო სარბიელზე.

სადღეისოდ ქვემოქართლელები არ შეკრებილან და შესაბამისად, ვერც შემადგენლობაზე ვისაუბრებთ კონკრეტულად, თუმცა რამდენიმე შტრიხი მაინც გამოჩნდა: "ენერჯის" აუცილებლად დაემატება ორი-სამი ლეგიონერი. მათ ალბათ, ამერიკის კოლეჯების ლიგიდან ჩამოიყვანენ. როგორც წესი მათი დამატება გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე მათი დარი ევროპელი მოთამაშეებისა. თუმცა ჯერჯერობით, არავინ იცის ისინი ევროტურნირების ბოლომდე დარჩებიან რუსთავში, თუ 2008-09 წლების სეზონის დასრულებამდე. მაგალითად, შარშან, ბელტონ რივერსმა ევროთასიდან გამოვარდნისთანავე დატოვა საქართველო, ანვარ ფერგიუსონი "ამსტერდამთან" მეორე მატჩამდე გაუშვეს, ხოლო იოვან სტეფანოვი ქვემოქართლელებს ჩემპიონატის ფინალშიც დაეხმარა. იოვანმა თუ უკეთესი კლუბი ვერ მონახა "ენერჯის" მომავალ სეზონშიც დაეხმარება. რაც შეეხება ბელტონ რივერსს, მისი დაბრუნება კარგი იქნებოდა, მაგრამ ჯერ ეს საკითხი გარკვეული არ არის.



სამაგიეროდ საბოლოოდ გადაწყვეტილია რუსთაველთა შემადგენლობაში გასული ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელის **კოტე ტულუშის** ჩარიცხვის საკითხი. იგი "ენერჯის" ღირსებას 2006-07 წლების სეზონშიც იცავდა, გასული სეზონი კი "ავიამშენში" გაატარა და ვერცხლის მედალს დაეუფლა. კოტესთან ერთად 2006-07 წლებში ცენტრი **დავით უგრეხელიძეც** "ენერჯიში" თამაშობდა, შარშანდელი სეზონი კი ბოსნიურ "ბორაჩ ნექტარში" გაატარა. თუ დათო რომელიმე ევროპული კლუბიდან სერიოზულ წინადადებას არ მიიღებს, ევროჩელენჯზე რუსთაველებს დაეხმარება. იყო საუბარი **ვიქტორ სანიკიძეზე**, მაგრამ ნაკლებად სარწმუნოა, მან კარიერა საქართველოში გააგრძელოს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ქვემოქართლელთა ღირსებას ნაკრების წევრი **ლაშა გამყრელიძე** იცავს, თუმცა საბოლოოდ არც მისი დარჩენის საკითხია გადაწყვეტილი.

ახლა მოვუსმინოთ "ენერჯი ინვესტის" მთავარ მწვრთნელს დავით უსტიაშვილს.

- ამჟამად ჩამოყალიბების პროცესში ვართ. ჯერ არ შევკრებილვართ და შემადგენლობის შესახებ გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი. ევროჩელენჯზე გამსვლელი გუნდის კონტურები თვის ბოლოდან გამოიკვეთება და კონკრეტული საუბარი მას შემდეგ შემეძლება.

**- კოტე ტულუშის დამატება გადაწყვეტილია?**

- დიახ. იგი "ენერჯიში" დაბრუნდა. ევროჩელენჯზე კოტეც დაგვეხმარება. იგი სეზონის ბოლომდე რუსთავში ითამაშებს. ტულუში საგრძნობლად გაგვაძლიერებს.

**- იყო საუბარი ცენტრის, დავით უგრეხელიძის დამატებაზეც...**

- ჯერჯერობით, არც უგრეხელიძის საკითხია გადაწყვეტილი.

**- არც ვიქტორ სანიკიძის?**

- ვიქტორი ახლა ამერიკაშია და საზაფხულო ლიგაზე სათამაშოდ ემზადება. ნაკლებად სავარაუდოა, მან ევროპაში კარგი გუნდი ვერ მონახოს... სანიკიძე შარშან ტრავმებმა შეაფერხა, თორემ ევროპაში აპირებდა თამაშს.



**- როგორ ფიქრობთ, შარშანდელზე ძლიერი კლუბი გეყოლებათ?**

- ამის იმედი მაქვს. მოვძლიერდებით, მაგრამ კონკრეტულად რა სახეს მიიღებს "ენერჯი", ამაზე შემდეგ ვისაუბროთ.

**- ალბათ, ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას გეგმავთ.**

- ამისთვის საჭიროა ჯერ "სუმიქიმპრომის" ძლევა, შემდეგ "შიროკისა" და "სვენდბორგის" დამარცხება. ვფიქრობ, მეორე ეტაპსა და მითუმეტეს ჯგუფურ ტურნირზე მოხვედრაზე საუბარი ნაადრევია. ჯერ მხოლოდ უკრაინელებზე ვფიქრობთ.

**- "სუმიქიმპრომის" შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?**

- ჯერ მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია გვაქვს. ვიცით, რომ უკრაინის ჩემპიონატის რეგულარულ ეტაპზე მეხუთე ადგილი დაიკავა, 13 მატჩი მოიგო და 9 წააგო. უკრაინის პირველობაზე ასეთი შედეგი გუნდის სიძლიერეზე მიუთითებს. მაგრამ, ისიც ვიცი, რომ გასული სეზონის შემდეგ "სუმიქიმპრომში" შემადგენლობა შეიცვლება. რამდენად შეიცვლება, ეს მომავალში გამოჩნდება.

## სუმიქიმპრომში ძირეული რეფორმებია

"ენერჯის" მთავარი მწვრთნელის, დავით უსტიაშვილის ნათქვამს დავამატებთ, რომ "სუმიქიმპრომმა" უკრაინის ჩემპიონატის მეოთხედფინალში "პოლიტექნიკასთან" ვერაფერი გააწყო, სერია 1:3 დათმო. რა გუნდი ეყოლებათ სუმელებს მომდევნო სეზონში, ამაზე ზოგად წარმოდგენას კლუბის ხელმძღვანელის იგორ მანოილენკოს ინტერვიუდან შევიტყობთ.

- გასულ სეზონში პროგრამა-მინიმუმი უკრაინის რეგულარულ ჩემპიონატში მეხუთე ადგილის დაკავება, ხოლო საბოლოოდ ოთხეულში შესვლა იყო. აქედან პირველი მისია შევასრულეთ, თუმცა თუნდაც მეოთხე ადგილი ვერ დავიკავეთ. ამიტომ, ვეცდებით მომავალ სეზონში კომპენსირება მოვახდინოთ და მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლოთ როგორც უკრაინის პირველობაზე, ასევე ჩელენჯთასზე.

**- გუნდში რა ცვლილებები ხორციელდება?**

- კლუბი უკვე დატოვეს ძმებმა კრივიჩებმა, რომლებმაც "დონეცკს" მიაშურეს. ახლახან ამავე გუნდში გადავიდა ოლეგ კოჟევეცი. მათ გარდა "სუმიქიმპრომიდან" წავიდნენ ალექსანდრ ზაგრიბელნი, ანდრიუს ლეპინაიტისი, ვილიუს გაბშისი და ნიკოლაი ერიომინი. ჯერჯერობით ბუნდოვანი სიტუაციაა ბრანისლავ ტომიჩის, იური ზოზულეის, ანდრეი მალიშევის და ტროემ დე ვრიზომის ირგვლივ.

**- წასულებს ვინ შეცვლის?**

- სასელექციო მუშაობა ახლაც მიმდინარეობს. უამრავი აგენტი გვიკავშირდება და კანდიდატურებს გვთავაზობს. ასე რომ, არჩევანი გვაქვს. კონტრაქტები უკვე გავუფორმეთ ლიტველ მცველ ოსვალდს მაჩერნისსა და ევგენი პოდორვანის, რომელიც "აზოვმაშიდან" გადმოვიყვანეთ. ასევე შეგვემატა ექს-დნეპრელი ვადიმ მატიუკევიჩი. გუნდის ლიტველი მთავარი მწვრთნელი რიმანტას ენდრიაიტისი უკრაინაში პირველ ივლისს ჩამოვიდა და თან ჩამოიყვანა "საკალაის" ყოფილი კალათბურთელი, 24 წლის ლინოს ლეკავიჩუსი, რომელსაც საკალათბურთო განათლება ამერიკაში აქვს მიღებული. ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდებიან ნიგერიელი აბდულახი კუსო და ამერიკელი ფორვარდი ბრაიან გრინი.

**- მზადების გეგმა როგორია?**

- გუნდი 1 ივლისს სუმში შეიკრიბა, ხოლო 9-ში მარიუპოლთან მდებარე ქალაქ სედოვოში ჩავიდა. იქ კარგი ბაზაა და ყველა პირობა იქნება ფიზიკურად კარგად მოსამზადებლად. ბურთთან სამუშაოდ გუნდი სუმში დაბრუნდება და ვარჯიშს 4 აგვისტოდან შინაურ არენაზე გააგრძელებს. სექტემბრის დასაწყისში იგეგმება შეკრება ლიტვაში სადაც რამდენიმე საკონტროლო მატჩს გავმართავთ. ვფიქრობ, "სუმიქიმპრომს" ყველა პირობა ექნება იმისთვის, რომ უკრაინის ჩემპიონატისთვისა და ევროჩელენჯისთვის სათანადოდ მოემზადოს.

**ვაჟა სიმონიშვილი**

ჭადრაკი

# ორი ტური ჩავლილია

**ნანა ალექსანდრიას** სახელობის საჭადრაკო ფესტივალი ძალაში შედის. უკვე ორი ტურია ჩატარებული და მართალია, ლიდერებზე და აუტსაიდერებზე საუბარი ნაადრევია, მაგრამ საინტერესოა, ფავორიტებმა როგორ აიღეს სტარტი. ცხრა ტური ბევრი არ არის, ამიტომ დასაწყისში დაკარგული ქულები შესაძლოა გადამწყვეტი აღმოჩნდეს ფინიშის სწორზე, - როცა კოეფიციენტი პროგრესის სისტემით ითვლება, სასურველია ადრიანი ქულათა კარგვა აიცილო თავიდან. ცხადია, ამისგან დაზღვეული ვერავინ იქნება და უკვე არის რამდენიმე შემთხვევა, მაგრამ ამაზე ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. იქამდე შევნიშნავთ, რომ ტურნირი ერთგვარად ორ ნაწილად არის გაყოფილი: დილის ათ საათზე საასპარეზოდ 8 და 12-წლამდელები გამოდიან, ხოლო 15 საათზე დაფებს 10 და 16-წლამდელები შემოუსხდებიან ხოლმე. ასეთი გაყოფა იმით არის განპირობებული, რომ დაბალი ასაკის მოჭადრაკეების გარკვეულ ნაწილს უფროსებში თამაშიც სურს.

8-წლიან გოგონებში პირველმა ნომერმა **მარიამ ბალათელიამ** ორჯერვე წააგო. ორქულიანები აქ ხუთია: **მარიამ დოლიძე, თეკლა ლომიძე, მარიამ ყორყოლიანი, ნინო ჯალალონია** და **ნათია ჯიბუტი.**

ვაჟებში 15 ორქულიანია, მაგრამ ყველას გასაკვირად უმეტესად დაბალი განთესვის მქონეები არიან წინ; პირველ და მესამე ნომრებს ჯერ ქულაც არ აქვთ, მეორე ნომერი - აზერბაიჯანელი **ვულარ არადლი** კი ერთი ქულით ცხრილის შუაშია.

10-წლამდე გოგონებში განთესვით პირველი ნომერი **ნინო ხომერიკია** და ჯერჯერობით იგი უდანაკარგოდ მიიწევს წინ. ასეთივე წარმატებულია მეორე ნომერი **ქეთევან აბრამიშვილი.** მესამე და მეოთხე ნომრებს - **თამთა ჩაგელიძეს** და **ანი ჭანტურიას** კი ხელი მოეცარათ და მხოლოდ ერთი ქულა აქვთ.

10-წლამდე ვაჟებში პირველი ნომერი აზერბაიჯანელი **ულვი სადიხოვია.** იგი ჯერჯერობით უდანაკარგოა. სამაგიეროდ, ვერ იყოჩალა **მამუკა ანთაძემ**, რომელსაც განთესვის მეორე ნომერი აქვს - ორჯერვე ქულა გაუყო მეტოქეს და ერთი ქულით ცხრილის შუა წელშია. ვერც მესამე ნომრად განთესილმა **ირაკლი აბრამიანმა** გამოიჩინა თავი და მასაც ერთი ქულა აქვს. სანაცვლოდ ორი რამდენიმე ქართველს აქვს: **არჩილ ჩაკვეტაძე, გიგი აბრამიძე, ნიკოლოზ კიზირია, რომან ბელქანია, დემეტრე ფიფია, ალექსანდრე ბიბილაშვილი** და **ლევან ხიზანიშვილი** ეცდებიან სტუმრების ჯობნას. ამ ასაკში სომხებსაც დიდი პრეტენზიები აქვთ და ამტკიცებენ კიდეც - სამი სომეხი მოჭადრაკეა მაქსიმალური ქულით.

12-წლამდე გოგონებში სულ 21 მონაწილეა. ორ-ორი ქულით ლიდერობენ **მარიამ ჭოლაძე, დეა გოგიშვილი, თეკლა მაჭარაშვილი** და **ანა შამათავა.** ოთხივე თავისი თაობის გამორჩეული გოგონაა და ისინი მუდამ თანასწორად მეტოქეობენ ერთმანეთში. ხან ერთი იმარჯვებს, ხანაც მეორე, თუმცა დეა გოგიშვილს ბოლო დროს უკეთესი შედეგები აქვს და ვნახოთ ამჟამად როგორ გაართმევს თავს სატურნირო ციებ-ცხელებას, მით უფრო, რომ დეამ 16-წლამდელ ვაჟებშიც გადაწყვიტა ასპარეზობა. იქ პირველ პარტიაში დამარცხდა, მაგრამ მეორეში იმარჯვა, რაც კარგი განწყობის საფუძველს ნამდვილად აძლევს.

12-წლამდელ ვაჟებში 8 ორქულიანია, რომელთა შორის 5 ქართველია: **ნიკოლოზ ქუმსიაშვილი, გიორგი დანგაძე, ლევან ხიზანიშვილი, მამუკა ანთაძე** და **ნოე თუთისანი.** სტუმართაგან სომეხი **ჰარუნ ბარსეგიანი**, აზერბაიჯანელები - **ნურლან შაბანოვი** და **ომარ ბაკირლი** უწევენ ჩვენებურს კონკურენციას.

ჯერჯერობით უკონკურენციოდ არიან 16-წლამდელ გოგონებში **ნინო ანაკიძე** და **ნათია ჯალაბაძე**, - მათ ორი ქულა აქვთ. ანაკიძე მეხუთეა განთესვით, ჯალაბაძე კი მეორე; პირველ ნომერ **ფატი რიჟამაძეს** ერთი ქულა აქვს. სულ აქ 18 გოგონა ასპარეზობს.

სამაგიეროდ, ბევრად მეტი მონაწილეა 16-წლამდე ვაჟთა შორის - 64. აქ ახალი თაობის თითქმის ყველა გამორჩეულმა ქართველმა მოჭადრაკემ მოიყარა თავი, რომელშიც პირველობა რეიტინგით **ლევან ბრეგაძეს** უჭირავს. მეორეა **ნოდარ დავარაშვილი**, მესამე **გიორგი ნიკოლაშვილი.** ნიკოლაშვილმა ნახევარი ქულა უკვე დაკარგა და 1.5 ქულით მეთექვსმეტე-მეცხრამეტე ადგილებს იყოფს. ორი ქულა 15 მოჭადრაკეს აქვს, მათ შორის მხოლოდ ორია აზერბაიჯანელი: **სარიევ რუსტამ ოღლუ** და **ალიაკბაროვ სამირ ოღლუ.** ჩვენებურთაგან ლიდერებში არიან: **ლევან ბრეგაძე, ნოდარ ლორთქიფანიძე, ნოდარ დავარაშვილი, კახაბერ წერეთელი, ირაკლი ჯანიაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, ალექსანდრე ხახუტაშვილი, ალექსანდრე მერაბიშვილი, დიმიტრი კვარაცხელია, თორნიკე ხურციძე** და **ვაჟა დვალიშვილი.**

**ზვიად შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA. სატრანსფერო ბაზარი

# ბრენდი ფილადელფიაში და სხვა ამბები



ელტონ ბრენდი ახალი კლუბის მაისურით

გუშინდელი დღიდან, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებმა თავისუფალ აგენტებთან კონტრაქტების გაფორმების უფლება მიიღეს. პირველივე დღეს რამდენიმე საინტერესო გარიგება განხორციელდა.

მთავარი შენაძენი "ფილადელფია სიქსერზმა" გააკეთა, როცა "ლოს ანჯელეს კლიპერსიდან" წასული მძიმე ფორვარდი, **ელტონ ბრენდი** გაიფორმა. ხელშეკრულება ხუთწლიანია და 1999 წლის დრაფტის პირველი ნომერი, მომავალი ხუთი წლის განმავლობაში 82 მილიონ დოლარს მიიღებს.

*"მოხარულები ვართ, რომ ასეთი დონის მოთამაშესთან შევძელით კონტრაქტის გაფორმება. ამ შენაძენისა და შარშანდელი ჩემპიონატის ბოლოს ნაჩვენები შედეგების გათვალისწინებით, ჩვენს გუნდს 2008-09 წლების სეზონში წარმატების იმედი უნდა ჰქონდეს"*, - ამბობს "ფილადელფიას" გენერალური მენეჯერი **ედ სტეფანსკი**.

ბრენდის გადაბირება ბევრ კლუბს სურდა. "კლიპერსიც" ცდილობდა ფორვარდის შენარჩუნებას, მაგრამ მან 20 მილიონზე ნაკლები შესთავაზა თავის აწ უკვე ყოფილ ლიდერს. ძალიან აქტიური იყო "გოლდენ სტეიტ უორიორზი", რომელიც 90 მილიონს იმეტებდა ბრენდისთვის, მაგრამ 29 წლის თავდამსხმელმა "ფილადელფიაში" გადასვლა ამჯობინა.

შარშან, ტრავმის გამო, ბრენდმა თითქმის მთელი სეზონი გამოტოვა. მან მხოლოდ რვა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 17.6 ქულისა და 8.0 მოხსნის დაგროვება შესძლო.

"სიქსერზს" ბრენდის ტრანსფერი საკმაოდ ძვირი დაუჯდა და ამის გამო, კლუბმა სახელფასო ფონდში გარკვეული თანხის გამონთავისუფლება გადაწყვიტა. ამიტომაც, "ფილადელფიას" ხელმძღვანელობამ "მინესოტასთან" ტრეიდი განახორციელა და 2010 წლის დრაფტში არჩევანისთვის ფორვარდი **როდნი კარნი** და ცენტრი **კელვინ ბუტი** დათმო.

■ ■ ■

ჯერჯერობით, ოფიციალურად დადასტურებული არ არის, მაგრამ თითქმის გადაწყვეტილია "გოლდენ სტეიტში" "ლოს ანჯელეს კლიპერსის" კიდევ ერთი მოთამაშის, ფორვარდ **კორი მაგეტის** გადასვლა.

ESPN-ის ინფორმაციით, კალათბურთელის წლიური ხელფასი 6 მილიონი დოლარი იქნება, თუმცა უცნობია, რამდენი წლით გაფორმდება კონტრაქტი.

შეგახსენებთ, "გოლდენ სტეიტის" გარდა, მაგეტის გადაბირებით "ბოსტონი", "სან ანტონიო" და "დეტროიტი" იყვნენ დაინტერესებულნი.

■ ■ ■

"ინდიანა პეისერსის" მიერ განხორციელებული ტრანსფერების შესახებ წინა ნომრებშიც ვწერდით, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამ, ოფიციალურად მხოლოდ ახლა დაადასტურა "პორტლენდთან" და "ტორონტოსთან" შემდგარი გაცვლები.

"პეისერსის" პრეზიდენტმა, **ლარი ბერდმა** გამოაცხადა, რომ **იკე დიოგუ** და **ჯერიდ ბეილესი** "პორტლენდში" გადავიდნენ, მათ ნაცვლად კი, "ინდიანამ" **ბრენდონ რაში, ჯოშ მაკრობერტსი** და **ჯარეტ ჯეკი** მიიღო.

ასევე ცნობილი გახდა "ტორონტოსთან" განხორციელებული ტრეიდის დეტალები. კანადურმა კლუბმა NBA-ის ვარსკვლავი ცენტრი, **ჯერმეინ ო'ნილი** და **ნესენ ჯავაი** მიიღო, საპირისპირო მიმართულებით კი, **ტი ჯეი ფორდი, რადოსლავ ნესტეროვიჩი, მასეო ბასტონი** და **როი ჰიბერტი** გაემგზავრნენ.

*"ეს გარიგებები "ინდიანას" დიდ სარგებლობას მოუტანს"*, - ასეთი იყო ბერდის მოკლე კომენტარი.

■ ■ ■

გუშინვე, სხვა მნიშვნელოვანი კონტრაქტებიც გაფორმდა, რომელთა მიხედვით, რამდენიმე კლუბმა საკუთარი კალათბურთელების შენარჩუნება შესძლო.

ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული იყო "მილუოკი ბაქსის" ხელმძღვანელთა ნაბიჯი - მათ ხელშეკრულება გაუხანგრძლივეს ავსტრალიელ ცენტრს, **ენდრიუ ბოგუტს**. ახალი კონტრაქტი 5-წლიანია და მისი ღირებულება 72.5 მილიონ დოლარს შეადგენს.

ბოგუტმა შარშან 78 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 14.3 ქულა და 9.8 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

თითქმის მთლიანად ინარჩუნებს შარშანდელი შემადგენლობის ძირითად ბირთვს "საკრამენტო კინგზი". ცნობილი იყო, რომ "მეფეების" რიგებში თამაშს აგრძელებს, გუნდის ლიდერი **რონ არტესტი**. ახლა კი, "კინგზის" ხელმძღვანელობამ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა სლოვენიელ მცველთან, **ბენო უდრიხთან**, რომელმაც შარშან, კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩაატარა და 65 მატჩში 12.8 ქულა, 4.3 პასი და 3.3 მოხსნა დააგროვა.

უდრიხს ეს გარჯა დაუფასდა და მან 32-მილიონიან კონტრაქტს გამოკრა ხელი. სწორედ ამ თანხას მიიღებს ევროპელი "კინგზში" ხუთი წელიწადი თამაშის სანაცვლოდ.

■ ■ ■

"ინდიანადან" **ჯერმეინ ო'ნილის** მიღების შემდეგ, "ტორონტომ" საკუთარი მოთამაშეებისთვისაც მოიცალა. კანადელებმა კონტრაქტი გაუგრძელეს ესპანელ გამთამაშებელ **ხოსე კალდერონს**. ხელშეკრულება მრავალწლიან თანამშრომლობას ითვალისწინებს, მაგრამ გარიგების დეტალები პრესისთვის უცნობი დარჩა.

მას შემდეგ, რაც ტი ჯეი ფორდი "ინდიანაში" წავიდა, კალდერონს გარანტირებული აქვს ადგილი სასტარტო ხუთეულში. შარშან, ესპანელს საუკეთესო სეზონი ჰქონდა - საშუალოდ 11.2 ქულა და 8.3 პასი მოიხვეჭა და ამ მაჩვენებლით, ლიგაში მეხუთე ადგილი დაიკავა.

■ ■ ■

"დალასმა" **დესაგანა დიოპი** დაიბრუნა. ექვსი თვის წინათ, "მავერიქსს" ეს კალათბურთელი "ნიუ ჯერსიდან" **ჯეისონ კიდის** გადასაბირებლად დასჭირდა. ახლა კი, ცენტრალურმა თავდამსხმელმა "კლივლენდის" წინადადება უარჰყო და ისევ "დალასში" ამჯობინა კარიერის გაგრძელება. დიოპი მომავალ ხუთ წელიწადს "კოვბოების" რიგებში გაატარებს და 31 მილიონ დოლარს მიიღებს.

აფრიკული წარმოშობის ცენტრს "დალასის" რიგებში 214 მატჩი (72 სასტარტოში) აქვს ჩატარებული. მისი სტატისტიკური მონაგარი 2.5 ქულასა და 5.1 მოხსნას შეადგენს.

■ ■ ■

დაბოლოს, ერთი ჭორის შესახებ. გამოცემა Flint Journal წერს, რომ "დეტროიტ პისტონზი" "ჰიუსტონის" ლიდერ **ტრეისი მაკგრეიდის** მიმართ გამოთქვამს ინტერესს.

უფრო ადრე, "პისტონზის" ხელმძღვანელობას "დენვერ ნაგეტსის" თავდამსხმელის, **კარმელო ენტონის** გადაბირება სურდა, მაგრამ ამ უკანასკნელმა კლუბის გამოცვლა არ მოინდომა. ახლა კი, "დეტროიტის" ადმინისტრაცია "ჰიუსტონს" შესაბამისი წინადადებით მიმართავს.



ენდრიუ ბოგუტი

ჰოკეი. NHL

# ფიოდოროვი ვაშინგტონში დარჩა




სახელოვანი რუსი ვეტერანი **სერგეი ფიოდოროვი** კიდევ ერთ სეზონს გაატარებს ჰოკეის ეროვნულ ლიგაში. "ვაშინგტონმა" ფორვარდს ერთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ, 4 მილიონი დოლარი შესთავაზა და ფიოდოროვიც დათანხმდა ამ პირობებს.

შეგახსენებთ, რომ რუსი ჰოკეისტი დედაქალაქურ კლუბში თებერვალში, "კოლამბუსთან" განხორციელებული ტრეიდის შედეგად აღმოჩნდა. ფიოდოროვმა დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ "ვაშინგტონმა" ბოლო მომენტში მოიპოვა პლეი ოფის საგზური. რეგულარული ჩემპიონატის ბოლო 18 მატჩში, მის ანგარიშზე 2 გოლი და 11 შედეგიანი პასი მოდიოდა. სტენლის თასის პირველ ეტაპზე, "ფილადელფიასთან" წაგებულ შვიდმატჩიან სერიაში, თავდამსხმელმა 5 ქულა დააგროვა.

ფიოდოროვი NHL-ის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი რუსია. 17 სეზონში მან 1196 მატჩი ჩაატარა და 1146 ქულა (472+674) მოიხვეჭა.

კრივი. სუპერმძიმე წონა

# ვიტალი კლიჩკო ოქტომბერში იჩხუბებს



პრაქტიკულად გაირკვა პროფესიულ რინგზე უკრაინელი **ვიტალი კლიჩკოს** დაბრუნების თარიღი. WBC-ის ვერსიით მსოფლიოს საპატიო ჩემპიონი, ამავე ვერსიით საჩემპიონო ქამრის მფლობელს, ნიგერიელ **სამუელ პიტერს** 4 ან 11 ოქტომბერს ბერლინში, O2-World-ის არენაზე შეხვდება, რომელიც 17 ათას მაყურებელს იტევს. თუმცა ნიგერიელი მოკრივის პრომოუტერი **დონ კინგი** არ გამორიცხავს, რომ ეს საინტერესო ბრძოლა პიტერის სამშობლოში, ნიგერიის დედაქალაქ ლაგოსში გაიმართოს.

*"რამდენიმე წელიწადია, მონდომებით ვვარჯიშობ და ბრწყინვალე ფიზიკურ ფორმაში ვიმყოფები"*, - განაცხადა უფროსმა კლიჩკომ, რომელიც ბრძოლისთვის მზადების საწყის ეტაპზე იმყოფება.

უკრაინელი მოკრივე იტყობინება, რომ პიტერთან ბრძოლის თაობაზე მოლაპარაკებები ჯერ არ დასრულებულა: *"დღეს, გაზეთმა "ბილდმა" ექსკლუზიური ინფორმაცია გამოაქვეყნა იმის შესახებ, რომ პიტერთან ბრძოლა 4 ოქტომბერს ბერლინში გაიმართება. სინამდვილეში კი, მხოლოდ წინასწარი თარიღებია ცნობილი - 4 ან 11 ოქტომბერი. საბოლოოდ რომელს ავირჩევთ, ეს ოდნავ მოგვიანებით გაირკვევა. მოლაპარაკებები კიდევ გრძელდება და სავარაუდოდ, ყველა საკამათო საკითხი 2-3 კვირაში მოგვარდება"*.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

კალათბურთი

## იაო მწყობრშია

ჩინური კალათბურთის მთავარი ვარსკვლავი **იაო მინი** გამოჯანმრთელდა. "ჰიუსტონ როკეტსის" ცენტრი სრულფასოვან ვარჯიშებს შეუდგა და აქტიურად ემზადება პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის.

როგორც ცნობილია, მინმა გასული სეზონის დაახლოებით ნახევარი, მარცხენა მუხლის მძიმე ტრავმის გამო გამოტოვა. ჩინელმა ოპერაცია გადაიტანა და მხოლოდ ახლა შეძლო მწყობრში ჩადგომა.

*"ახლა იაო კარგ ფიზიკურ ფორმაშია და გუნდთან ერთად დიდი მონდომებით ემზადება ოლიმპიადისთვის"*, - ასე შეაფასა იაოს მდგომარეობა NBA-ის კიდევ ერთმა ჩინელმა ლეგიონერმა **იი ძიანლიანმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი

# ფრანგულ ტურს ახალი ლიდერი ჰყავს

ტურ დე ფრანსის გუშინდლ, მე-6 ეტაპზე, რბოლის მონაწილეებს პირველი სამთო მონაკვეთის გავლა მოუხდათ, რომლის ფინიშზეც, პირველი მთის იტალიელი სპეციალისტი **რიკარდო რიკო** მივიდა, ლიდერის ყვითელი მაისურა კი ლუქსემბურგელმა **კიმ კირხენმა** მოირგო, ვინც ეტაპი მეხუთე ადგილზე დაასრულა.

ბოლო 50 წელიწადში კირხენი პირველი ლუქსემბურგელი ველომრბოლია, ვინც ფრანგული ტურის ლიდერის ყვითელი მაისურა მოირგო. და ეს მეტოქის, გერმანელი **შტეფან შუმახერის** უილბლობის წყალობით შეძლო – შუმახერი, ვინც ეტაპი ლიდერის რანგში დაიწყო, ფინიშამდე 500 მეტრით ადრე დაეცა, რის გამოც, კირხენთან თითქმის ნახევარი წუთი წააგო.

ეტაპი მოწინავე სამეულში დაასრულეს წლევანდელი ტურის ფავორიტებმა – ესპანელმა **ალეხანდრო ვალვერდემ** და ავსტრალიელმა **კეიდელ ევანსმა**. კიდევ ერთი ლუქსემბურგელი, **ფრანკ შლეკი** კი მეოთხე ადგილს დასჯერდა. ალსანიშნავია, რომ ეტაპის ფინიშზე პირველ ხუთეულში მისული ველომრბოლები სამთო სპეციალისტები არიან. არადა, გუშინ რბოლის მონაწილეებს არც ისე ძნელი სამთო მონაკვეთების გავლა მოუხდათ.

*"ძალიან მინდოდა ტურის ეტაპის მოგება და ეს უკვე მეექვსე ეტაპზე შევძელი. ჯერჯერობით, ჩემს შანსებზე ლაპარაკისგან თავს შევიკავებ. რბოლისთვის კარგად ვარ მომზადებული, მიზნებს კი ეტაპიდან ეტაპამდე ჩამოვაყალიბებ. გადამწყვეტი ბოლო კვირა იქნება და სწორედ მაშინ გამოჩნდება, ვის რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს"*, - განაცხადა რიკომ, ვისთვისაც ეს სულ მეორე ტურია. ფრანგულ ველომარათონზე მან პირველად მონაწილეობა ორი წლის წინათ მიიღო და მაშინ რბოლა 98-ე ადგილზე დაასრულა.

ბოლო, მეორე კატეგორიის ალმართ სუპერ ბესეზე ასვლა ძალიან გაუჭირდა იტალიელ **დამიანო კუნეგოს**, ვინც რიკოს ნახევარ წუთზე მეტით ჩამორჩა. რა თქმა უნდა, მთის სპეციალისტი ამით უკმაყოფილო დარჩა. თუმცა, როგორც მისი გუნდის პრესმდივანი **ანდრე აპიანი** ამბობს, კუნეგო ველომარათონების პირველ კვირაში ყოველთვის უხეიროდ ასპარეზობს, თუმცა შემდეგ უმატებს ხოლმე.



რიკომ პირველად მოიგო ტურის ეტაპი

რაც შეეხებათ ლუქსემბურგელებს. ამ ქვეყნის ბოლო ველომრბოლი, ვინც ფრანგული ტურის ყვითელი მაისურა მოირგო, **შარლი გაულია**, რომელმაც ყველაზე პრესტიჟული ველომარათონი 1958 წელს მოიგო. კირხენს სჯერა, რომ ჯერ დიდ გამარჯვებაზე ფიქრი ნაადრევია, თუმცა თუ პირენეებში ბევრ დროს არ დავკარგავ, ალპებში მოწინავეთა შორის ვიქნებიო, - ამბობს ლიდერი.

ისევე, როგორც წინა ეტაპზე, ამჯერადაც პელოტონს დასაწყისშივე სამი ფრანგი გამოეყო, რომლებმაც ეულად სცადეს ფინიშამდე მიღწევა. ამ სამეულში ყველაზე ძლიერი **სილვენ შავანელი** იყო, მაგრამ მათ ლიდერობის ბოლომდე შენარჩუნება ვერ შესძლეს. მეორე კატეგორიის მთა კრუა მორანიდან, ვალვერდეს თანაგუნდელებმა (კაისე დ'ეპარნი) ტემპი გაზარდეს და ბოლო ალმართის დაწყებამდე, ფრანგთა სამეული ისევ პელოტონს შეუერთდა.

11-კილომეტრიანი სუპერ ბესეს დასაწყისში, შეტევა რამდენიმე ველომრბოლმა სცადა. ფინიშამდე 5 კილომეტრი რომ რჩებოდა, ვალვერდემ დაწინაურება შესძლო. მას იტალიელი **ლეონარდო პიეპოლი** მიჰყვა, ვისაც ესპანელის დახმარებით თავი არც შეუწუხებია. ვალვერდე მალე დაილალა და რიკოც, ვინც წლევანდელი ჯირო მეორე ადგილზე დაასრულა, ადვილად დაწინაურდა და კარიერაში პირველად მოიგო ფრანგული ტურის ეტაპი.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

მე-6 ეტაპი. ოგურანდიდან სუპერ ბესემდე (195.5 კმ)

1. რიკარდო რიკო (იტალია, სონიე დუვალი) 4:57.52 (39.38 კმ/სთ); 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 0.01; 3. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.01; 4. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) 0.04; 5. კიმ კირხენი (ლუბსემბურგი, კოლუმბია) 0.04; 6. მოისეს დუენას ნევადო (ესპანეთი, ბარლოუორლდი) 0.07; 7. რომან კროიციგერი (ჩეხეთი, ლიკვიგაზი) 0.07; 8. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC) 0.07; 9. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 0.07; 10. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, სონიე დუვალი) 0.07...

კლასიფიკაცია 6 ეტაპის შემდეგ

1. კიმ კირხენი (ლუბსემბურგი, კოლუმბია) 24:30.41; 2. კეიდელ ევანსი (ავსტრალია, სილენს-ლოტო) 0.06; 3. შტეფან შუმახერი (გერმანია, გეროლშტაინერი) 0.16; 4. კრისტიან ვანდე ველდე (აშშ, გარმინ-ჩიპოტლე) 0.44; 5. დევიდ მილარი (ბრიტანეთი, გარმინ-ჩიპოტლე) 0.47; 6. ტომას ლოვკვისტი (შვედეთი, კოლუმბია) 0.54; 7. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) 1.03; 8. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.12; 9. სტიინ დეფოლდერი (ბელგია, ქვიკ სტეპი) 1.12; 10. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, კაისე დ'ეპარნი) 1.12...

## TV სპორტი

**11 ივლისი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 უიქ-ენდის მატჩების ანონსი.
12:25 გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ბორდო-მარსელი.
14:15 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-არსენალი.
16:05 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა 2007-08. სელტიკი-შახტარი.
18:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
18:35 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-მანჩესტერ იუნ.
20:30 სასტვენი.
21:00 საფეხბურთო კლუბი.
21:55 FUTBOL MUNDIAL - საფეხბურთო ჟურნალი.
22:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
22:40 ევრო 2008. ფინალი. გერმანია-პოლონეთი.
00:40 საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

07:20 ფეხბურთი. ბრაზილიის ჩემპიონატი. ფლამენგო-ნაუტიკო.
09:05 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
09:30 სპორტის სამყარო.
10:00 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დეტროიტი-პიტსბურგი.
11:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სიენა-ფიორენტინა.
13:30 სპორტდოსიე. თევზაობა.
13:55 მძლეოსნობა. Lagerdere Athletics Tour. სტრასბური. საფრანგეთი.
16:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბირმინგემი-არსენალი.
18:30 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. დორტმუნდი-ბაიერნი.
20:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. შვედეთი.
00:15 კრივი. რინგ-საიდი.
10:00 ჰოკეი. NHL სტენლის თასი. საუკეთესო მატჩები. დეტროიტი-პიტსბურგი.
03:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. სიენა-ფიორენტინა.
04:45 სპორტდოსიე. თევზაობა.
05:10 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ბირმინგემი-არსენალი.

**EUROSPORT**

10:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია (LIVE).
12:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
13:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია.
13:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია (LIVE).
15:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
15:15 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია (LIVE).
15:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VI ტური.
16:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი (LIVE).
16:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ტური (LIVE).
19:30 რალი. რალის ახალი სერია IRC. I დღე. რუსეთი (LIVE).
20:00 ფეხბურთი. ევროგოლი - ახალი ამბები.
20:15 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. პოლონეთი (LIVE).
22:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა. ლატვია.
23:00 პოკერი.
00:00 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ტური.
01:00 ექსტრემალური სპორტი.
01:30 მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი იუნიორებში. პოლონეთი.
02:30 ველოსპორტი. ტურ დე ფრანსი. VII ტური.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
09:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
10:00 ახალი ამბები.
10:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
11:00 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
12:00 არენა-ფეხბურთი. პლეიოფი. ჯორჯია ფორსი-კლივლენდი.
13:15 რალი. რალის ახალი სერია IRC. I დღე. რუსეთი (LIVE).
13:45 სერფინგი. მსოფლიო ტური. ს. აფრიკა.
14:00 ახალი ამბები.
15:00 მოტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი. გერმანიის გრან პრი. პრაქტიკა (LIVE).
18:00 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ოლიმპიზმი. პეკინი 2008. ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. ევროპის ლიგა. ჯგუფური ეტაპი. ბრიტანეთი-პორტუგალია (LIVE).
23:30 ფრენბურთი. მსოფლიო გრანპრი. ფინალები. III დღე. იაპონია.
01:00 ახალი ამბები.
01:30 ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. V ტური. სერბეთი-ვენესუელა.
02:30 ახალი ამბები.
03:15 რალი. რალის ახალი სერია IRC. I დღე. რუსეთი.

მძლეოსნობა. ვარსკვლავი

# პაუელი კმაყოფილია

იამაიკელი სპრინტერი, მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი **ასაფა პაუელი** კმაყოფილია იმ ფაქტით, რომ პეკინის ოლიმპიადაზე, 100 მეტრზე სპრინტში ის მთავარ ფავორიტად არ მოიხსენიება. პაუელი დღეს ოქროს ლიგის მორიგ შეხვედრაზე, რომში იასპარეზებს.

*"როცა ფავორიტი ხარ, ეს ზედმეტ ფსიქოლოგიურ ზეწოლას იწვევს, რაც ჩემს შემთხვევაში, უარყოფითად მოქმედებს. მირჩევნია, არავის ვახსოვდე, ასე თავს უფრო კომფორტულად ვგრძნობ და შესაძლოა, ასე გაცილებით მეტსაც კი მივაღწიო. ამ სეზონში, ყველა ბოლტსა და გაიზე ლაპარაკობს. მე კი ჩრდილში ვარ. მოკლედ, ასეთი სიტუაცია ჩემთვის ბევრად უფრო სასარგებლოა"*, - ამბობს პაუელი, ვინც მსოფლიოს შარშანდელ ჩემპიონატზე, რომელიც ოსაკაში (იაპონია) ჩატარდა, როგორც მსოფლიო რეკორდსმენი, გამორჩეული ფავორიტი იყო, მაგრამ მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა.

შეგახსენებთ, რომ მაისში პაუელის რეკორდი (9.74 წამი) 0.02 წამით გააუმჯობესა მისმა თანამემამულე **უსაინ ბოლტმა**, ორიოდ კვირის წინათ კი, აშშ-ის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირზე, ამერიკელმა **ტაისონ გაიმ** ყველა დროის საუკეთესო დრო (9.68 წამი) დააფიქსირა, მაგრამ ეს შედეგი ოფიციალურად არ დაუმტკიცდა, რადგან დასაშვებზე ძლიერი ზურგქარი ეხმარებოდა.

*"ახლა არც ბოლტზე ვფიქრობ და არც გაიზე. თუ ისე ვირბენ, როგორც შემიძლია, ნებისმიერის დამარცხებას*



პაუელი აუტსაიდერობით კმაყოფილია

*შევძლებ. ჰოდა, არც არავის შიში არ უნდა მქონდეს"*, - დასძენს პაუელი, ვისაც რომში ზემოთ ნახსენები არც ერთი სპრინტერი მეტოქედ არ ეყოლება.

თუმცა, ამით რომაული ტურნირი ინტერესს მაინც არ დაკარგავს. იქ არაერთი ვარსკვლავი იასპარეზებს, დუელებიდან კი ალბათ, ყველაზე საინტერესო ორი იქნება: მათგან ერთია ქალთა სიმაღლეზე ხტომა, სადაც ერთმანეთს მსოფლიოს ორი საუკეთესო მხტომელი, ხორვატი **ბლანკა ვლასიჩი** და იტალიელი **ანტონიეტა დი მარტინო** დაუპირისპირდება. ვლასიჩი მსოფლიო ჩემპიონია, დი მარტინო კი ოსაკაში ვერცხლის მედალს დაეუფლა.

არანაკლებ საინტერესო უნდა იყოს მამაკაცებს შორის 400 მეტრზე სპრინტი, რომელშიც ორი ამერიკელის – მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ **ჯერემი უორინერის** და აშშ-ის ახალი ჩემპიონის, **ლაშოუნ მერიტის** დუელია მოსალოდნელი. უორინერი ოთხი სეზონის განმავლობაში, დაუმარცხებელი იყო, მაგრამ მერიტისგან ამ სეზონში ზედიზედ ორი მარცხი იწვნია. არადა, მსოფლიოს ჩემპიონისგან ბევრი მსოფლიო რეკორდსაც კი ელის. თავად უორინერმა კი აშშ-ის ოლიმპიურ შესარჩევზე მერიტთან წაგების შემდეგ განაცხადა, ფორმის აღდგენას ევროპაში ვეცდებიო.

400 მეტრზე სპრინტი იმითაცაა საინტერესო, რომ მასში მონაწილეობას სამხრეთ აფრიკელი **ოსკარ პისტორიუსი** მიიღებს. შეგახსენებთ, რომ პისტორიუსს ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და კომპოზიციური მასალებით დამზადებული პროთეზებით დარბის. და თუ ოლიმპიურ საკვალიფიკაციო დროში (მაქსიმუმ 45.55 წამი) გაირბენს, მაშინ ის პეკინში გამოსვლის უფლებასაც მოიპოვებს, რაც თავისთავად, განსაკუთრებული მოვლენა იქნება.

მოამზადა
**მერაბ ლორთქიფანიძემ**

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| დუბნიცა-ვიქტორია | 2:1 |
| ლუცერნი-დორტმუნდი | 2:2 |
| ჟლინი-რუხი | 1:0 |
| ბაზელი-ლეგია | 6:1 |
| **შვედეთის თასი** | |
| ნორჩოპინგი-ენჩოპინგი | 2:2, პენ. 4:5 |
| სუნდსვალი-გიოტეგორგი | 2:3 |
| **ფინეთი. II დივიზიონი** | |
| ტპვ-ვიიკინგიტი | 2:1 |
| **ისლანდია** | |
| რეიკიავიკი-ვალური | 1:2 |
| **ბრაზილია** | |
| კურიტიბა-პორტუგეზა | 4:0 |
| ინტერნასიონალი-გოიაში | 1:0 |
| ფლუმინენსე-ატ. პარანაენსე | 3:0 |
| ვიტორია-ბოტაფოგო | 5:2 |
| სანტოსი-გრემიო | 1:1 |
| ნაუტიკო-სან პაულუ | 2:1 |
| ატ. მინეირო-ფლამენგო | 1:1 |
| **ჩილე** | |
| ევერტონი-კობრესალი | 2:0 |
| **ეკვადორი** | |
| ლიგა დე კიტო-მაკარა | 1:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ბაშტადი | |
|---|---|
| ნიემინენი-დარცისი | 6:3, 6:1 |
| ფერერი-პაშანსკი | 7:5, 6:1 |
| რობრედო-ბიორკმანი | 6:2, 6:3 |
| სიოდერლინგი-ო. როხუსი | 6:3, 6:3 |
| **ATP. გშტაადი** | |
| შარდი-მეფერტი | 6:7, 7:6, 7:6 |
| იუჟნი-ჩიპოლა | 6:3, 6:2 |
| კარლოვიჩი-ჰანესკუ | 7:6, 6:7, 6:7 |
| კიფერი-გარსია ლოპესი | გადაიდო |
| **ATP. ნიუპორტი** | |
| ანდერსონი-ნავარო პასტორი | 6:7, 6:3, 4:6 |
| სანტორო-ქურეში | 7:6, 6:2 |
| ბოპანა-არმიტრაჟი | 4:6, 3:6 |
| მაუ-სპეიდი | 2:6, 3:6 |
| იანგი-პეია | 6:7, 3:6 |
| დანჩევიჩი-კუნიცინი | 7:5, 6:3 |
| **ATP. შტუტგარტი** | |
| ჰერნიხი-დაბული | 7:6, 0:6, 7:6 |
| ბოლელი-დელ პოტრო | 3:6, 6:3, 3:6 |
| კოლშრაიბერი-შჩუკინი | 6:3, 6:3 |
| შვანკი-ბეკი | 7:6, 6:2 |
| **WTA. ბუდაპეშტი** | |
| ზაკოპალოვა-იოჰანსონი | 6:0, 6:1 |
| კვიტოვა-მიულერი | 6:2, 6:1 |
| პირონკოვა-მაროში | 2:6, 6:7 |
| არნი-კუჩოვა | 6:2, 6:1 |
| **WTA. პალერმო** | |
| კორიტცევა-პანი | 6:4, 3:6, 6:3 |
| დენტონი-ჩახნაშვილი | 6:2, 1:6, 1:6 |
| პავლიუჩენკოვა-დე ლოს რიოსი | 6:1, 6:2 |
| გარბინი-სანჩესი | 7:5, 6:4 |
| მედ. გარიგესი-ლაგ. ვივესი | 6:0, 6:4 |

ჩოგბურთი

# ანა კორტზე ბრუნდება




ანა კურნიკოვას ერთ-ერთი ბოლო ფოტო

სულ მალე, რუსი **ანა კურნიკოვა** კიდევ ერთხელ გავა კორტზე. ჩოგბურთელის თაყვანისმცემლებს მისი თამაშის ხილვა 16 ივლისს შეეძლებათ. ამერიკაში ყოველწლიურად იმართება მსოფლიო საკლუბო ჩოგბურთის (WTT) ლიგის ჩემპიონატი. წლეულს, კურნიკოვა "სენტ ლუის ეისიზის" რიგებში ითამაშებს და პირველ მატჩში ამ გუნდის მეტოქე "ნიუპორტ ბიჩ ბრეიკერზი" იქნება.

კურნიკოვასთვის, რომელიც ბოლო სამი წელიწადი "საკრამენტო კეპიტალზის" შემადგენლობაში ირიცხებოდა, ეს WTT-ში მეექვსე სეზონი იქნება. სხვათა შორის, "სენტ ლუისში" ანას ერთ-ერთი თანაგუნდელი, ამერიკელი **ენდი როდიკი** გახლავთ.

WTT თავისი არსებობის ისტორიაში რიგით 35-ე სეზონს ატარებს. თითოეული გუნდიდან მატჩებზე 2-2 ქალი და მამაკაცი ჩოგბურთელი და მათი მწვრთნელი გადის.

გუნდების ყოველი შეხვედრა ხუთი სეტისგან შედგება: ორი მატჩი იმართება ერთეულებში, ორი - წყვილებში და ერთიც - მიქსტში. წლევანდელ ჩემპიონატში 11 გუნდი ითამაშებს. ისინი ორ კონფერენციად არიან დაყოფილნი.

**გია თვალაბეიშვილი**

დაჯილდოება

# ESPN სეზონს აჯამებს

20 ივლისს, ამერიკული ტელეკომპანია ESPN გასული სპორტული სეზონის ლაურეატებს გამოავლენს. დაჯილდოების ცერემონია ნიუ იორკში გაიმართება და სულ 37 ნომინაციაში დასახელდება გამარჯვებული.

ESPN ამ პრესტიჟულ პრიზებს მეთექვსმეტედ არიგებს. წლეულს, შოუს წამყვანი ცნობილი ამერიკელი მომღერალი და მსახიობი, **ჯასტინ ტიმბერლეიკი** იქნება.

აქვე გაგაცნობთ რამდენიმე პრესტიჟულ ნომინაციაში წარდგენილ სპორტსმენებსა თუ გუნდებს:

**საუკეთესო სპორტსმენი (მამაკაცი):** ტაიგერ ვუდსი (გოლფი), ტომ ბრეიდი (ამერიკული ფეხბურთი), კობი ბრაიანტი (კალათბურთი), ალექს როდრიგესი (ბეისბოლი);

**საუკეთესო სპორტსმენი (ქალი):** ლორენა ოჩოა (გოლფი), კენდის პარკერი (კალათბურთი), დანიკა პატრიკი (ავტოსპორტი), ლინდსი ვონი (თხილამურები);

**საუკეთესო გუნდი:** ბოსტონ რედ სოქსი (ბეისბოლი), ნიუ იორკ ჯაიანტსი (ამერიკული ფეხბურთი), ბოსტონ სელტიქსი (კალათბურთი), კანზასის ვაჟთა საკალათბურთო გუნდი, ტენესის ქალთა საკალათბურთო გუნდი, დეტროიტ რედ უინგზი (ჰოკეი);

**საუკეთესო მწვრთნელი:** ტერი ფრანკონა (ბოსტონ რედ სოქსი), ტომ კაფლინი (ნიუ იორკ ჯაიანტსი), დოკ რივერსი (ბოსტონ სელტიქსი), პეტ სამიტი (ტენესის ქალთა საკალათბურთო გუნდი);

**საუკეთესო მატჩი:** ჯაიანტსი-პეტრიოტსი (სუპერბოული), კანზასი-მემფისი (NCAA, კალათბურთი), სელტიქსი-ლეიკერსი (NBA, ფინალური სერიის მეოთხე მატჩი);

**საუკეთესო საჩემპიონო გამოსვლა:** ვენუს უილიამსი (2007, უიმბლდონი), ჯოშ ბეკეტი (2007, ბეისბოლის პლეიოფი), რაფაელ ნადალი (2008, როლან გაროსი), ტაიგერ ვუდსი (2008, აშშ-ის ღია);

**საუკეთესო უცხოელი სპორტსმენი (მამაკაცი):** კაკა (ფეხბურთი), მანუ ჯინობილი (კალათბურთი), კრისტიანო რონალდო (ფეხბურთი), რაფაელ ნადალი (უიმბლდონი);

**საუკეთესო უცხოელი სპორტსმენი (ქალი):** მარტა (ფეხბურთი), ლორენა ოჩოა (გოლფი), ლორენ ჯექსონი (კალათბურთი), ჟუსტინ ანენი (ჩოგბურთი);

**საუკეთესო კალათბურთი (NBA):** ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი), კრის პოლი (ნიუ ორლეანი), დუაიტ ჰოვარდი (ორლანდო), კევინ გარნეტი (ბოსტონი);

**საუკეთესო ჰოკეისტი (NHL):** ჯერომ იგინლა (კალგარი), ალექსანდრ ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ევგენი მალკინი (პიტსბურგი), პაველ დაციუკი (დეტროიტი), სიდნი კროსბი (პიტსბურგი);

**საუკეთესო მოკრივე:** ფლოიდ მეივეზერი, ჯო კალზაგე, კელი პავლიკი, ჰოლი ჰოლმი;

**საუკეთესო ჩოგბურთელი (მამაკაცი):** როჯერ ფედერერი, რაფაელ ნადალი, ნოვაკ ჯოკოვიჩი, ბობ და მაიკ ბრაიანები;

**საუკეთესო ჩოგბურთელი (ქალი):** ჟუსტინ ანენი, მარია შარაპოვა, ანა ივანოვიჩი.



ჯასტინ ტიმბერლეიკი

ავტოსპორტი. ფორმულა 1

# მზადება სინგაპურისთვის

სექტემბრის ბოლოს, ფორმულა ერთის ისტორიაში პირველად, ღამის რბოლა ჩატარდება – დიდი პრიზების ცირკს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მდებარე საპორტო ქალაქი სახელმწიფო სინგაპური უმასპინძლებს. რა თქმა უნდა, ამ მოვლენისთვის რბოლის ორგანიზატორების გარდა, თადარიგი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეებსაც აქვთ დაჭერილი, რომლებიც ამ დღეებში, სინგაპურში თავიანთი ექსპერტების მივლენას აპირებენ.

"ჰონდას" ტექნიკური დირექტორი **როს ბრაუნი** ამბობს, რომ ღამის რბოლა მასპინძლების გარდა, გუნდებისთვისაც სერიოზული გამოწვევაა, რომლისთვისაც სათანადოდ მომზადებაა საჭირო. *"ჩვენ უნდა შევამოწმოთ ტრასა, მისი განათების ხარისხი და ბევრი ასპექტი, რომელთა გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება. სხვა გუნდების მსგავსად, ჩვენც სპეციალური კომპიუტერული სიმულატორი დავაპროგრამეთ, რომელიც პილოტებს ხელოვნური განათების პირობებში რბოლას შეაჩვევს. თუმცა, ესეც არაა საკმარისი იმისთვის, რომ ყველა პრობლემა წინასწარ გათვალო. ამიტომ, ჩვენ იქ სპეციალისტებს გავგზავნით"*, - ამბობს ბრაუნი.

რბოლის ორგანიზატორები აცხადებენ, რომ ტრასის გასწვრივ 1 500 პროჟექტორია განლაგებული, რომლებიც უსაფრთხოებისთვის აუცილებელ განათების ხარისხს უზრუნველყოფენ. უფრო მეტიც, ახლავე შეიძლება იმის თქმა, რომ სარბოლო ტრასა ოთხჯერ უფრო ძლიერი განათებითაა აღჭურვილი, ვიდრე საერთაშორისო სტანდარტების საფეხბურთო სტადიონი. რა თქმა უნდა, ტელეკომპანიებს ჩვენების ხარისხთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა არ შეექმნებათ.



ბრაუნის თქმით, რბოლის მონაწილეებს ყველაზე მეტი პრობლემა იმასთან დაკავშირებით ექნებათ, რომ მათ საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით მოუწევთ რბოლა. გარდა ამისა, ბოლიდებზე დასაყენებელი იქნება ძალიან მკვეთრი შუქის მქონე უკანა შუქ-ფარი, რაც უკან მომავალი პილოტებისთვის პრობლემებს შექმნის. ბრაუნი ამბობს, რომ ღამის რბოლები სხვა სერიებშიც ტარდება, მაგრამ ფორმულა ერთში ეს სიახლეა და ამიტომ, პილოტებს შესაგუებლად გარკვეული დრო დასჭირდებათ. მათ პრობლემას ისიც შეუქმნის, რომ ეს ტრასა სრულიად ახალია და მასზე არავის ურბოლია.

დამატებითი სამუშაო ექნება საბურავების მიმწოდებელ კომპანია "ბრიჯსტოუნსაც" – ღამით ტრასა შედარებით გრილი იქნება, რაც საბურავების შემადგენლობისადმი მოთხოვნებს გარკვეულწილად შეცვლის. თუმცა, ბრაუნი ამბობს, რომ ამ რბოლისთვის სპეციალური საბურავების შექმნას იაპონური კომპანია არ აპირებს.

ღამის რბოლას ერთი დადებითი მომენტი ახლავს – პილოტებს არ უნდა გაუჭირდეთ დროით სარტყელთან შეგუება, რადგან სინგაპურში რბოლა სტარტს ზუსტად იმ დროს აიღებს, რა დროსაც ევროპაში იწყება. შესაძლოა, ეს ვინმეს უმნიშვნელო ფაქტორად ეჩვენოს, მაგრამ ისეთ ექსტრემალურ სპორტში, როგორიც ფორმულა ერთია, ამას მნიშვნელობა აქვს.

*"სინგაპურში რომ ჩავალთ, შეგვიძლია, საათები არც გადავწიოთ და ევროპის დროზე ვიმუშაოთ. რა მნიშვნელობა აქვს, ღამე იქნება თუ დღე. ზუსტად იმ დროს მოგვიწევს საქმის კეთება, როგორც ევროპაში და ეს ძალიან მოსახერხებელია"*, - დასძენს ბრაუნი.

შეგახსენებთ, რომ სინგაპურის დიდი პრიზი 28 სექტემბერს გაიმართება.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

ოლიმპიზმი. პეკინი 2008

# ესეც პრესცენტრი






პეკინში მუშაობა დაიწყო ოლიმპიური თამაშების მთავარმა პრესცენტრმა, სამაუწყებლო ცენტრმა და საერთაშორისო პრესცენტრმა.

მთავარი პრესცენტრის ფართობი 63 ათას მეტრს შეადგენს. იქ დაახლოებით 6 ათასი აკრედიტირებული ჟურნალისტი იმუშავებს. საერთაშორისო სამაუწყებლო ცენტრის ფართობი - 140 ათასი მეტრია და ის მსოფლიოს სატრანსლიაციო ოპერატორების შტაბი გახდება. რაც შეეხება საერთაშორისო პრესცენტრს, ის არააკრედიტირებულ ჟურნალისტებზე იქნება გათვლილი.

*"პრესცენტრში ძალიან კარგი სამუშაო ატმოსფეროა. უახლოესი რამდენიმე კვირის განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები აქ, როგორც საკუთარ სახლში, ისე იგრძნობენ თავს"*, - განაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის საკოორდინაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, **ჰეინ ვერბრუტენმა.**

**გია თვალაბეიშვილი**



